ინტერვიუ

#1 INTERVIEW
მაისი 2014

ISSN 2346-7703
5 ფასი ლარი

5 რჩევა
თუ როგორ მოვიდეთ ფორმაში გაზაფხულისთვის

ვოტე თოლორდავა
პროფესიით მსახიობი კარგი კულინარი აღმოჩნდა

თიკო სადუნიშვილი
ჩემი სამყარო საკმაოდ განსხვავებულია იმ თიკოსგან, რომელსაც მაყურებელი ეკრანზე ხედავს

S/S 2014
წლის მოდის ტენდენციები

ყველაფერი რაც უნდა ვიცოდეთ პლასტიკური ქირურგიის შესახებ

რჩევები გია გვარამიას ვლინიკისგან

ქეთა თოფურია

ჩემი მეუღლე არაფერს მიკრძალავს, ჩვენ შორის არ არსებობს ჩარჩოები

გვ. 10

FREY**WILL**E.COM | ვენა

თბილისი რუსთაველის გამზ. 26
TBILISI 26 Rustaveli Avenue
+995 32 299 0957

18კტ. ოქრო ბრილიანტებით

ალფონს მუხას მიმართ მიძღვნილი კოლექცია

FREYWILLE
ფრაივილე
ჭეშმარიტი ხელოვნება

CONTENT

გვ. 76

მოდა

30 LADY IN GOLD

2014 წლის
გაზაფხული/ზაფხულის
მოდის ტენდენციები

38 POP ART
39 ზოლები
40 დახეული ჯინსი
41 მოკლე ტოპები
42 ორმაგი პრინტი
44 MUST HAVE
47 STREET STYLE

30

ეკ. 127

ყდაზე:
ქეთა თოფურია

ფოტოგრაფი:
Natali Arefieva

44

კულტურა

80 VOGUE-ს ტალანტი NINO SEPO
ინტერვიუ დიზაინერ ნინო სეფიაშვილთან

89 გემრიელი და სასარგებლო
„ჭოლო“ ჟურნალისტებისთვის,
სცენაზეა... მაყურებელი!

92 ოსპარი პიცის არომატით

96 პინო პოსტიუმები



ეკ. 80

ეკ. 38

ეკ. 41

ეკ. 72

ეკ. 39

ფსიქოლოგია

86 რა გავლენას
ახდენენ ფერები ჩვენზე

ქორწილი

50 | საქორწილო თაიგულის ისტორია

ხელნაკეთი

46 | DIY BY MISS KRIS TURNER

მოგზაურობა

99 | საგამოფენო ცენტრი „ექსპო ჯორჯია“ ტურიზმის გამოფენას მასპინძლობს

102 | NEW YORK
ბაია დავითაია ნიუ-იორკიდან

კულინარია

118 | პოტე თოლორდავა: „მაგიდაზე მრავალფეროვან საკვებთან ერთად აუცილებელია, იდოს პური.“

122 | ბერძნული სამზარეულო

125 | აფიშა
127 | სამიზნე

სილამაზე & ჯანმრთელობა

56 ყველაფერი, რაც უნდა ვიცოდეთ პლასტიკური ქირურგიის შესახებ
რჩევები გია გვარამიას კლინიკისგან

66 ჯანსაღი კვება = ჯანსაღ ცხოვრებას

70 5 რჩევა გაზახფულისთვის ფორმაში მოსასვლელად

72 შენ ალამაზებ სამყაროს

74 5 მაპიაჭის ფონი მათთვის, ვინც მას ვერ იტანს

76 2014 წლის გაზაფხული/ გაფხულის თმის აქსესუარების ტენდენციები

33. 74

33. 56

მთავარი თემა

10 ქეთა თოფურია:
„ყველაზე სასაცილო და მეგობრული გადაღებები იგორ კრუტოისთან ერთად მქონდა.“

ჩემი სამყარო

20 თიკო სადუნიშვილი:
„პრაქტიკული ადამიანი, შემიძლია ვთქვა, რომ საერთოდ არ ვარ.“

ჰობი

118 ვოტე ბათმანიდი:
„ყველაფერი მაშინ იწყება, როდესაც გაიფიქრებ, რომ მოტიციკლზე უნდა დაჯდე.“

20

INTERVIEW

გამომცემელი/PUBLISHER
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
ანუკი ნაცვლიშვილი/Anuki Natsvlishvili

არტ დირექტორი/ART DIRECTOR
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov

მთავარი რედაქტორები/EDITORS IN CHIEF
თათული ფაღავა/Tatuli Pagava
ლიკა მენაღარიშვილი/Lika Menagarishvili

აღმასრულებელი რედაქტორი/EXECUTIVE EDITOR
ნიკა გომართელი/Nika Gomarteli

კრეატიული დირექტორი/CREATIVE DIRECTOR
საშა პრიშვინი/Sasha Prishvin

მოდის რედაქტორი/FASHION EDITOR
ანანო დოლაბერიძე/Anano Dolaberidze

ლიტერატურული რედაქტორი/LITERARY EDITOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

ჟურნალისტები/JOURNALISTS
ნინო ლომიძე/Nino Lomidze
დავით ფარულავა/David Parulava
სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
ლევან ბუაძე/Levan Buadze

დიზაინი/DESIGN
დავით სამსონიძე/David Samsonidze
სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov

ფოტოგრაფი/PHOTOGRAPHER
ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili

კორექტორი/CORRECTOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF EXECUTIVE OFFICER – ქეთი ნაცვლიშვილი/Kathy Natsvlishvili
ოპერაციების აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF OPERATIONS OFFICER – ნინიკო ელიზბარაშვილი/Niniko Elizbarashvili
გაყიდვების სამსახურის უფროსი/HEAD OF SALES DEPARTMENT – ლიკა მენაღარიშვილი/Lika Menagarishvili
გაყიდვების მენეჯერი/SALES MANAGER – ეკო ცეცხლაძე/Eko Tsetskhladze
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი/PR MANAGER – სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
კლიენტსერვისის უფროსი/HEAD OF CLIENT SERVICE – გვანცა სალთხუციშვილი/Gvantsa Saltkhutsishvili
დისტრიბუტორი/DISTRIBUTOR – დავით კუპრაძე/David Kupradze
ბუღალტერი/ACCOUNTANT – მარინა ალექსაური/Marina Aleksauri

Flit Media publishing house

რედაქცია: საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ., 11; ტელ.: +995 322 946446; მარკეტინგის სამსახური: interview@flit.ge
გამოცემის თარიღი: 20.04.2014; გამომცემლობა „ფლიტ მედია“, საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. 11; ელ.ფოსტა: flitmail@flit.ge
პერიოდული გამოცემა: გამოდის 2014 წლის აპრილის თვიდან.

EDITORIAL OFFICE: 11, D. Uznadze str., 0102, Tbilisi, Georgia; TEL.: +995 322 946446; FAX: +995 322 922898; MARKETING DEPARTMENT: interview@flit.ge

დაბეჭდილია სტამბა „დიოსში“ DIOS PRINTING HOUSE

© შპს „ფლიტ მედია“, 2014
© Flit Media LLC, 2014

იკითხეთ ეგო

• ქართულ-ინგლისური ჟურნალი ქალებისათვის •

ჩემი

პირველი რედაქტორის წერილი დაახლოებით 12-13 წლის წინ დავწერე. ალბათ, ახლა თვალი ჩემი ფოტოსკენ გაგექცათ და სავარაუდოდ, მიხვდით, რომ მაშინ ასეთი პრიალა და მრავალფეროვანი ჟურნალისთვის არ ვწერდი.

მახსოვს, როგორ ვისხედით სამზარეულოს მაგიდასთან მე და ჩემი მეგობარი და ფანქრებით ვაფერადებდით საკუთარი ხელით გამოჭრილი ჟურნალის გარეკანს.

ახლა, როცა ჩემი ოცნება რეალობად უნდა იქცეს, ერთდროულად მღელვარების და სიხარულის განცდა მაქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის არის რომ, დღესაც, როცა ბავშვური გატაცება ნამდვილმა საქმემ და გამოცემამ შეცვალა, მუშაობის პროცესი ჩემთვის ისევ ისეთი სასიამოვნოა, რადგან საყვარელი საქმის კეთება არც ახლა მიწევს მარტოს.

ყოველთვის ვფიქრობთ, რისი წაკითხვა დაგვაინტერესებდა ჩვენ, როგორც მკითხველს. იმედია, მცდელობა შედეგიანი აღმოჩნდება და ყოველთვე ინტერესით დაელოდებით ახალი ნომრის გამოსვლას.

თათული ფაღავა

აპრილში,

როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი სულ უფრო მძაფრად იგრძნობა, თავისთავად გვეცვლება განწყობა და ველით სიახლეებს. „ფლიტ მედია“ კიდევ ერთ, ახალ ჟურნალს წარმოგიდგენთ – საინტერესოს, მრავალფეროვანს, ფერადს და ლამაზს – სწორედ ისეთს, როგორიც გაზაფხულია. მაშ ასე, „ინტერვიუ“ პირველი ნომრის ფურცლებიდან მოგესალმებათ! ეს ჩემთვის პირველი გაზაფხულია, რედაქტორის ამპლუაში. ვღელავ და იმ თვეებს ვიხსენებ, როცა „ინტერვიუს“ შექმნაზე ვმუშაობდით. ჩვენი გუნდის დახმარებით, ის ახლა თქვენს ხელშია. გუნდზე უნდა მოგიყვეთ, „ინტერვიუს“ შექმნა ხომ მათი დამსახურებაა. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი მუშაობდა იმისთვის, რომ ჟურნალი, რომელსაც თქვენ ახლა კითხულობთ, ყოფილიყო სხვადასხვა სახის ინფორმაციით გაჯერებული, სახალისო, სასარგებლო, ორიგინალური და ჰქონოდა დახვეწილი დიზაინი. მადლობა მინდა გადავუხადო „ფლიტ მედიას“ მთელ გუნდს და განსაკუთრებით, ანუკი ნაცვლიშვილს. ხშირად მეკითხებიან, რაზეა ჟურნალი. მარტივად ვპასუხობ: „ყველაფერზე, რაც თქვენ გაინტერესებთ“. თუმცა ამაში, თავადაც დარწმუდებით! ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ერთგული მკითხველი გახდებით და როგორც გრძელი ზამთრის შემდეგ გაზაფხულს, ყოველთვე დაელოდებით „ინტერვიუსაც“.

ლიკა მენაღარიშვილი

KETA TOPURIA

ქეთა თოფურია

ღმერთმა მას ერთდოულად გარეგნობაც მისცა და ნიჭიც. საქართველოში 9 წელია, აღარ ცხოვრობს. დღეს საკუთარი ადგილი აქვს რუსეთის შოუბიზნესში. მისი მუსიკალური კარიერა თბილისს და ბავშვობის წლებს უკავშირდება. სცენაზე აქტიურად გამოსვლა 10 წლის ასაკში დაიწყო. ბუნებით ლაღი ქეთა მოსკოვში ერთერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული მომღერალია, ის ჯგუფ A-Studio-ს სოლისტია. ყოველწლიურად ჯგუფს უამრავ ქვეყანაში იწვევენ, შესაბამისად, მისი ცხოვრება თვითმფრინავსა და გასტროლებთან ასოცირდება. „ინტერვიუს" სტუმარი ქეთა თოფურია გახლავთ.

ყველაზე ხმაურიანი და ბრჯყვიალა ქორწილი მოსკოვში, ქეთას მეუღლე, რუსეთში გატარებული წლები და მონატრებული თბილისი.

INTERVIEW. **როგორია თქვენი ცხოვრება კულისებს მიღმა?**

KETA TOPURIA. ჩემი ცხოვრება ძირითადად დაკავშირებულია სცენასთან. საკმაოდ გადატვირთული დღის გრაფიკით მიწევს მუშაობა. ხასიათზე ვარ თუ არა, ამის მიუხედავად მუდმივად ფორმაში უნდა ვიყო. დრო ძირითადად სასიამოვნო ფორიაქს მიაქვს. იშვიათად ხდება, მაგრამ თუ გადაღება ან კონცერტი არ მაქვს, ვცდილობ, გარკვეული დრო მეგობრებთან ურთიერთობას დავუთმო. თბილისში ცხოვრების პერიოდში ხმაურიანი თავშეყრის ადგილები მხიბლავდა და ჩემი სამეგობროც, ძირითადად, მსგავსი ტიპის ადგილებში იკრიბებოდა; დღეს კი უპირატესობას მშვიდ და შინაურულ გარემოს ვანიჭებ, მაგალითად, ჩემთან სახლში, აგარაკზე ან რომელიმე მეგობართან. ჩემთვის მთავარია, სიმშვიდე იყოს, რომ დასვენება შევძლო.

I. **რამდენად რთულია მოსკოვში, იყო ცნობილი და აღიარებული მომღერალი?**

K.T. თუ გაგიმართლა ადამიანს და მოხვდი რუსულ შოუბიზნესში, მე ვფიქრობ, ეს უკვე დიდი აღიარებაა. ბევრი უნდა იშრომო, რომ შენი კოლეგების ყურადღება დაიმსახურო და მათგან აღიარება მოიპოვო. რუსეთი დიდი ქვეყანაა, მე, პირადად, ძალიან მსიამოვნებს, როდესაც დავდივარ ქუჩაში, შევდივარ მაღაზიაში, და მცნობენ. მიხარია, როდესაც ჩემს მიმართ სიმპათიას უბრალო ადამიანები გამოხატავენ. კარგი შეგრძნებაა, ქუჩაში ყველა გიღიმის. პოპულარობა ყოფით საკითხებში ბევრად უფრო მეხმარება, ვიდრე ხელს მიშლის.

I. **საკმაოდ პატარა ასაკში მოხვდით რუსული შოუბიზნესის ეპიცენტრში, რამდენად რთული იყო ახალ მოცემულობებთან შეგუება?**

K.T. განსაკუთრებით გამიჭირდა პირველი ერთი წელი მოსკოვში ყოფნა. თბილისში მიჩვეული ვიყავი პატარა ქალაქს, ხალხს, რომელიც მხოლოდ სითბოს ასხივებდა, ჩემს მეგობრებს, რომლებსაც ყოველდღიურად ვხედავდი, მზეს, ჩემს სახლს. მოულოდნელად მოვხვდი უზარმაზარ ქალაქში, მოსკოვში. საშინელი ნოსტალგია დამეწყო. მივხვდი, რომ თბილისში მინდოდა. ის, რომ მე დღეს, ჩემი ადგილი მაქვს რუსულ ესტრადაზე დედაჩემის დიდი დამსახურებაა. ძალიან დამეხმარა, რომ მე სიძნელეები გადამელახა. მართლაც საკუთარ თავს მივეცი სიტყვა, რომ ერთ წელს მოვითმენდი. გავიდა ერთი წელი და ვიგრძენი, რომ რეალობასთან შესაგუებლად დრო კიდევ მჭირდებოდა. კარგად მახსოვს მესამე წელი, როდესაც გასტროლებიდან სახლში ვბრუნდებოდი. მთელი გზა მქონდა განწყობა და შეგრძნება, რომ მე მართლა სახლში ვბრუნდებოდი და არა მეორე ქალაქში. ჩემთვის მოსკოვი ამ დრომდე სამუშაო გარემოდ აღიქმებოდა. ყოველთვის მინდოდა თბილისში დაბრუნება, ამიტომ დედაჩემის დიდი დამსახურება არის ის, რომ მე მოსკოვში ვარ და ვაგრძელებ კარიერას. >

A-Studio

პოპმუსიკის ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად ყაზახი მუსიკოსებისგან შედგებოდა 1982 წელს ალმა-ატაში ჩამოყალიბდა და თავიდან მას Alma-Ata Studio ერქვა. შემდეგ ეს სახელი შემოკლდა და A-Studio-დ გადაკეთდა.

I. თბილისში ყველაზე მეტად რა გენატრებათ?

K.T. ყოველთვის მეცინებოდა იმ უაზრო გამონათქვამებზე უცხოეთში წასული ადამიანები, რომ ამბობდნენ ყველა ქუჩას რაღაც ნოსტალგიური „სუნი" აქვსო. დღეს მეც მათ ბედს ვიზიარებ. ზუსტად ვიცი, რომ თბილისის სუნი მენატრება, იმ ქუჩების სუნი მენატრება, სადაც ბავშვობა გავატარე და მეგობრობა ვისწავლე. ჩემი ნათესავები და მეგობრები მენატრებიან, რადგან ეს ყველაფერი ჩემთვის ბავშვობის საუკეთესო წლებთან ასოცირდება.

I. რითი განსხვავდება ქართული და რუსული შოუბიზნესი ერთმანეთისგან?

K.T. ორი უდიდესი განმასხვავებელი ნიშანი აქვს ქართულ და რუსულ შოუბიზნესს, ეს არის – მასშტაბი და მატერიალური კეთილდღეობა.

I. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში მომღერლის პროფესია დაფასებული იყოს?

K.T. 14 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი კუთვნილი ჰონორარი პირველად ავიღე. მას შემდეგ ყოველთვის საკუთარი ფული მაქვს. ადამიანების დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, თუ გვინდა, რომ მომღერლის პროფესია დაფასებული იყოს.

I. საინტერესოა, როგორია ერთი ჩვეულებრივი დღე თქვენს ცხოვრებაში?

K.T. ოცნება მქონდა, ჩემი ბიორითმი ისე გადამეწყო, რომ დღის განმავლობაში ყველაფერი მომესწრო. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ყოველდღიურად დაგეგმილ დროს, ანუ დილის 10 საათზე ვიღვიძებ. ამის შემდეგ მივდივარ გამაჯანსაღებელ კომპლექსში, სადაც ვვარჯიშობ. თუ გასული დღეები დაძაბული იყო, მასაჟის ცენტრს ვსტუმრობ და განტვირთვის ამ ფორმას მივმართავ. დღის ბოლოს კი, თუ საქმეები მოგვარებული მაქვს, უკვე თავს უფლებას ვაძლევ, თუნდაც ერთი საათით ვიყო უსაქმოდ.

I. განვლილ ცხოვრებაში რაიმეს თუ შეცვლიდით?

K.T. არ აქვს მნიშვნელობა, შეცდომა დამიშვია თუ არა, ყოველი ჩემ მიერ გადადგმული ნაბიჯით ცხოვრებაში ყოველთვის რაღაცას ვსწავლობ. არაფერს შევცვლიდი განვლილ ცხოვრებაში და პირიქით, გეტყვით იმასაც, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ, ისე მოვედი დღემდე, უკან მიხედვის ნამდვილად არ მრცხვენია. >

SERGEI KUMIN
(guitar)

EVGENII
DALSKIY
(drummer)
BAIGALI
SERKEBAEV
(keyboard)
VLADIMIR
MIKLOSHICH
(bass guitar)

ოჯახის შექმნას ჩემთვის ხელი
არაფერში შეუშლია.

ჩემი მეუღლე არაფერს მიკრძალავს

ჩვენ შორის არ არსებობს ჩარჩოები

I. **რომ არ ყოფილიყავით მომღერალი, რა პროფესიას აირჩევდით?**

K.T. ალბათ ვიქნებოდი ფსიქოლოგი. ვიდრე მოსკოვში გადმოვიდოდი საცხოვრებლად, თბილისში ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს კურსები ძალიან მეხმარება სცენაზე ადამიანებთან და მსმენელთან ურთიერთობისას.

I. **გაგვაცანით თქვენი ოჯახი – მეუღლე?**

K.T. სიამოვნებით – ჩემი მეუღლე არის ლევ გეიხმანი, ის უკვე წლებია, სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობით არის დაკავებული. ჩვენი საერთო მეგობრები ხშირად ამბობენ, რომ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ნამდვილად გამიმართლა ცხოვრებაში, რადგან ვიპოვე საკუთარი მეორე ნახევარი. საკმაოდ კომუნიკაბელურია, უყვარს სასიამოვნო სიურპრიზების კეთება, ყოველთვის გვერდით მიდგას, როგორც მამაკაცი.

I. **რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ოჯახი შექმენით?**

K.T. თითქმის არაფერი შეცვლილა. როგორიც ვიყავი დაოჯახებამდე, ზუსტად ისეთივე ვარ ახლაც. ოჯახის შექმნას ჩემთვის ხელი არაფერში შეუშლია. ჩემი მეუღლე არაფერს მიკრძალავს, ჩვენ შორის არ არსებობს ჩარჩოები. ერთადერთი, რაც უფრო დრო გადის მით უფრო მზრუნველობითი შეგრძნებები მიჩნდება ჩემი ქმრის მიმართ. ასაკთან ერთად ვისწავლე, რა არის დათმობა და როგორ უნდა „ელოდო" მშვიდად. მთავარი საკუთარ თავზე მუშაობაა.

I. **რამდენად ხშირად გიწევთ გასტროლებზე სიარული?**

K.T. კვირაში სამჯერ დავფრინავ. გააჩნია პერიოდს, თუ საახალწლო დღეებია, მაშინ თვეში 10 ჯერ, კვირაში ოთხჯერ. ამ თვეში მაგალითად სამჯერ მომიწია კონცერტის გამო გადაფრენა. გაზაფხულის დასაწყისში საზოგადოებაში ჩნდება მოთხოვნა, აჟიოტაჟია, ხალხი იწყებს გართობას. ყველას ჩვენი სიმღერების მოსმენა სურს და შესაბამისად, გასტროლების რიცხვიც იზრდება.

I. **მოგზაურობა თუ გიყვართ?**

K.T. მოგზაუროობა არ მიყვარს. მთელი ჩემი ცხოვრება მოგზაურობაა, სულ გზაში ვარ. ჩემი კარიერა ეს არის – მუდმივი თვითმფრინავი, ზოგჯერ ბევრად უფრო კარგად მძინავს თვითმფრინავის სავარძელში, ვიდრე საკუთარ ლოგინში.

I. **რომელია თქვენი საყვარელი კერძი/ქართული და უცხოური?**

K.T. ძალიან მიყვარს აჭარული ხაჭაპური. ბოლო დროს იშვიათად გეახლებით, რადგან ასაკის მატებასთან ერთად ქალბატონებმა ფიგურაზეც უნდა ვიფიქროთ. მიყვარს იაპონური და იტალიური სამზარეულოები. >

ყველაზე სასაცილო და მეგობრული გადაღებები ᲘᲖᲝᲠ ᲕᲠᲔᲢᲝᲘᲡᲢᲐᲜ ერთად მქონდა

I. **როგორი კულინარი ხართ?**

K.T. საჭმლის კეთება იშვიათად მიწევს, ჯერჯერობით ამის საჭიროება არ მქონია. ექსპრომტად რა კერძიც მომიმზადებია გემრიელი გამომსვლია. ჩემს მეუღლეს ჩემი გაკეთებული „ჩიჟი პიჟი“ უყვარს.

I. **რას აკეთებთ თავისუფალ დროს/რაიმე ჰობი თუ გაქვთ?**

K.T. ძალიან მიყვარს თხილამურებზე სრიალი. თავისუფალ დროს ზამთრის კურორტებს ვსტუმრობ. სასრიალოდ ხშირად გუდაურში ან საფრანგეთში დავდივარ.

I. **მრავალი წელია ა სტუდიოს სოლისტი ხართ, რა სიახლეებს სთავაზობს ჯგუფი მსმენელს?**

K.T. ცოტა ხნის წინ გადავწყვიტეთ, რომ აპრილის თვეში კონცერტები ჩავატაროთ ალმაატაში (ყაზახსტანი) და კაზანში (რუსეთი). ეს იქნება დაუვიწყარი საღამო ცოცხალი ორკესტრის თანხლებით. ერთხელ უკვე მქონდა ბედნიერება, ცოცხალი ორკესტრის აკომპონირებით თბილისში, პატარა ქართულ ხმებთან ერთად მემღერა, დაუვიწყარი შეგრძნებაა, მოუთმენლად ველოდები აპრილს.

I. **თქვენს ქორწილზე უამრავი ადამიანი საუბრობს დღემდე. ეს არის დღე, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს თუ შეგიძლიათ, რომ გაიხსენოთ...**

K.T. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ნამდვილად იყო ის დღე, რომელზეც ვოცნებობდი და ბავშვობაში წარმომედგინა. თავიდან გამიჭირდა იმის აღქმა, რომ ჩემი ქორწილი იყო. უფრო მეტად კონცერტის შეგრძნება მქონდა. სამი სადღეგრძელოს და ტაშის შემდეგ აზრი იმის შესახებ, რომ საკუთარ ქორწილში ვერ გავერთობოდი წამში შეიცვალა. რუსული შოუბიზნესის წევრებმა, ჩემმა კოლეგებმა სიურპრიზი გამიკეთეს, თავიანთი საქმეები გვერდზე გადადეს და დღე მთლიანად მე დამითმეს. საღამოს მაქსიმ გალკინი უძღვებოდა, ბოლოს მას ალექსეი ჩუმაკოვიც შეუერთდა. ჩემი და ლევ გეიხმანის ქორწილი მართლაც, რომ საოცნებო და დაუვიწყარი იყო.

I. **არაერთ ცნობილ რუს მომღერალთან ერთად გიმღერიათ, რომელიმე დუეტს თუ გამოარჩევდით?**

K.T. ყველაზე სასაცილო და მეგობრული გადაღებები იგორ კრუტოისთან ერთად მქონდა, შესაბამისად სწორედ ამ დუეტს გამოვარჩევდი.

I. **გაქვთ თუ არა ნივთი, რომელიც სულ თან დაგაქვთ?**

K.T. ვცდილობ არასდროს მოვიხსნა ჯვარი.

I. **რას ურჩევდით გოგონებს, რომლებიც თქვენსავით ფერად ცხოვრებაზე ოცნებობენ...**

K.T. გოგონებო, გახსოვდეთ, რომ სასურველი მიზნის მისაღწევად საჭიროა: დიდი მონდომება, შრომა, სიყვარული და კეთილგანწყობა.

სოფიო დვალიშვილი

თიკო სადუნიშვ

TIKO SADUNISHVILI

წითელი ტუჩსაცხი, სუნამო, ტანისამოსი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეს იმ ნივთების არასრული ჩამონათვალია, რომელში ფულის გადახდაც მას არასდროს ენანება. პროფესიით ბალერინა ზედმეტ კილოგრამებს ჯანსაღი ცხოვრების წესით უმკლავდება. მისი ყოველდღიური ცხოვრება ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მისი სამყარო. ცდილობს, მუდმივად იყოს ფორმაში. თავს განსაკუთრებულად უვლის და ხშირად მიმართავს ექსპერიმენტებს. წელიწადში ორჯერ თმას ხასიათის მიხედვით იღებავს. განწყობის ადამიანია, ამიტომ, მის სამყაროში ფერებიც სწორედ ხასიათის მიხედვით იცვლება. რუბრიკის სტუმარია ტელეწამყვანი თიკო სადუნიშვილი.

ყელსაბამი *H&M*
კაბა *NAF NAF*
ქამარი *ZARA*

INTERVIEW. თიკო, როგორია თქვენი თვალით დანახული სამყარო?

TIKO SADUNISHVILI. ჩემი სამყარო საკმაოდ განსხვავებულია იმ თიკოსგან, რომელსაც მაყურებელი ეკრანზე ხედავს. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ მიყვარს მარტო ყოფნა, ამ დროს ვკითხულობ წიგნებს, ვუყურებ ფილმს და საკუთარ თავთან განმარტოებული ჩემს სამყაროში ვიკეტები. ის ფერადია. ჩემი სამყარო ფერებს ხასიათის მიხედვით იცვლის.

I. რამდენად პრაქტიკული ადამიანი ხართ და რაში გამოიხატება ეს?

T. S. პრაქტიკული ადამიანი, შემიძლია ვთქვა, რომ საერთოდ არ ვარ. წამიერად რა ემოციაც მოვა, იმის მიხედვით ვმოქმედებ. ამსტერდამში ვიყავი, უამრავი სულელური ნივთი შევიძინე. არც კი ვიცი, რას რა დანიშნულება უნდა მივცე. ერთადერთი, რომ კარგ მოგონებად დამრჩა. ხშირად მიყიდია ფეხსაცმელი ერთი ზომით დიდი და არაპრაქტიკული, უამრავი ნივთი მაქვს არაპრაქტიკული, მაგრამ ლამაზი.

I. რამდენად მრავალფეროვანია თქვენი გარდერობი?

T. S. არ მიყვარს ძველი ნივთები, ერთხელ ჩაცმული ტანისამოსი ბედნიერებას მეორედ ჩაცმის დროს აღარ მგვრის. ტანსაცმელს ხშირად ვყიდულობ. ჩემი გარდერობი იმდენად მრავალფეროვანია, რომ დაწყებული კაბით დამთავრებული მამაკაცის პერანგით, ყველაფერს აღმოაჩენთ. ჩაცმულობა ჩემთვის არის განწყობა, ახალი ტანსაცმელი ყოველთვის მახალისებს. მგონია, რომ ახალ სამოსში ყველაზე ლამაზი და ბედნიერი ვარ.

I. ძირითადად როგორ ტანისამოსს ანიჭებთ უპირატესობას?

T. S. ყველაზე კომფორტულად თავს ყოველდღიურ სამოსში ვგრძნობ - პერანგი, ჯინსი და კეტი. ამოვიჩემე იზაბელ მარანტის ე.წ „UGG". ზამთარში უპირატესობას ვანიჭებ ყველაფერ იმას, რაც სიმყუდროვეს და სითბოს მგვრის.

I. რაიმე ნივთი თუ გაქვთ, რომელიც გამორჩეულად მოგწონთ?

T. S. ნივთები იმ პერიოდულობით მომწონს, რა პერიოდულობითაც ხასიათი მეცვლება. მაქვს ჯვარი, რომელიც მომწონს, მაგრამ არ ვატარებ ყოველდღიურად. ასევე მაქვს ბებიაჩემის ნაჩუქარი ოქროს სამკაული. ნივთი იმ მომენტშია ჩემთვის გამორჩეული, როდესაც მომწონს.

I. თიკო და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი...

T. S. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მიყვარს, რადგან მას ბევრი ნაკლის დაფარვა შეუძლია. მაგალითად, თუ სადღესასწაულო კილოგრამები გაქვთ მომატებული არ ჩანს, მოკლე ქვედაბოლოს თუ იცვამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფეხს ლამაზს აჩენს, მაღალი >

1. ჩანთა **CHANEL**;
2. ტანის დამატენიანებელი საცხი **GUERLAIN**;
3. ყელსაბამი **H&M**;
4. თვალის ჩრდილები **GIVENCHY-RAINBOW**;
5. სუნამო **BALENCIAGA**;
6. სათვალე **MYKITA**;
7. ფრჩხილის ლაქი **DIOR**;
8. ტუჩის საცხი **GUERLAIN**;
9. სათვალე **HANDMADE**;
10. პორტმანე **GIVENCHY**;
11. მარაო **HANDMADE**.

კაბა
MARNI

კაბა
RIVER ISLAND

ჩანხარ. ანუ ქალს საშუალებას აძლევს, გამოჩნდეს უფრო მეტად სექსუალური. თუ შევეხებით მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის კომ-ფორტულობის საკითხს, ჩემთვის ცოტა რთულია... ხშირად დამღლელია. ყოველთვის ვცდილობ, ხარისხიანი ფეხსაცმელი შევიძინო.

I. იმისთვის, რომ თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი, როგორ ფორმაში უნდა იყოთ?

T. S. მეტი თავდაჯერებულობისათვის საჭიროა, მეცვას ახალი სამოსი, თმა მქონდეს შეღებილი ჩემთვის სასურველ ფერზე, ვიყო გამოძინებული, მქონდეს ნამზეური და ზედმეტი კილოგრამები არ მაწუხებდეს.

I. აქსესუარები - რომელია თქვენი საყვარელი ნივთი?

T. S. ამ ეტაპზე საყვარელ ნივთად შეიძლება ჩაითვალოს ბეჭედი.

I. თქვენი სისუსტე არის...

T. S. „შოპინგი" - საყიდლებში შემიძლია ბოლო კაპიკები დავხარჯო.

I. ყოველდღიურად როგორ გამოიყურება თქვენი ჩანთა?

T. S. ჩანთას ყოველ დილას იმის მიხედვით ვირჩევ, თუ რისი გაკეთება მომიწევს დღის განმავლობაში. ჩანთაში ყოველთვის მიდევს წითელი ტუჩსაცხი, ტელეფონი, სუნამო, მართვის მოწმობა, ყურსასმენები და სახარჯო ფული.

I. თმის ფერი - რამდენად ხშირად მიმართავთ ექსპერიმენტებს და იცვლით თმის ფერს?

T. S. ექსპერიმენტების არ მეშინია. თმის ფერს საკმაოდ ხშირად ვიცვლი. ამჟამად თმა წითელ ფერზე შევიღებე და კმაყოფილი ვარ, ამ საკითხში სითამამით გამოვირჩევი. ჩემი თმა არ მეცოდება, შესაბამისად ვუვლი, კერატინის აღმდგენ ნიღბებს ვიკეთებ.

I. დასვენების დღე - როგორ ატარებთ შაბათ-კვირას?

T. S. შაბათ-კვირას ჩემს შვილთან ერთად ვსეირნობ, დროს მეგობრების წრეში ვატარებ. დავდივარ კინოში.

I. როგორ ახერხებთ მუდმივად ფორმაში ყოფნას?

T. S. სულ ცოტა ხნის წინ დავიწყე ვარჯიში კლუბ „არენაში" ტრენაჟორებზე, დავდივარ ცურვაზე, ხშირად ვსტუმრობ სპა პროცედურებს. ვცდილობ, სულ ვიყო ფორმაში, აქტიური ვარჯიში კი ამ ყველაფერში ძალიან მეხმარება. ჯანსაღად ვიკვებები. განსაკუთრებულად ვუვლი სახის კანს და დღეში 2 ლიტრამდე წყალს ვსვამ.

I. ტანისამოსის ყიდვის დროს რას აქცევთ დიდ ყურადღებას?

T. S. დიდ ყურადღებას ვაქცევ ხარისხს, ჩემთვის სასურველი სამოსი შემიძლია შევიძინო, როგორც ბრენდულ მაღაზიებში, ისე ე.წ Secondhand-შიც. ამ მხრივ კომპლექსები არ მახასიათებს, მთავარია მომეწონოს და ლამაზად გამოვიყურებოდე.

სოფიო დვალიშვილი

ყურსასმენი
BEATS BY DR DRE

ფეხსაცმელი
STEVE MADDEN

ფეხსაცმელები
MARNI

სათვალე
PRADA

მარაო
HANDMADE

წიგნი
ფილიპ როთი
„პორტნოის სინდრომი"

ქალი გაზაფხულისა

შეხვდით გაზაფხულს **F**REY**WILL**E-ს სამკაულებით, რომელიც თქვენს ნებისმიერ დღეს ნათელს შემატებს. მოხდენილი და ელეგანტური კოლექციები აერთიანებს ყველა აუცილებელ ელემენტს: მხატვრულ დიზაინს, კომფორტსა და ინოვაციას. **F**REY**WILL**E-ს მხატვრები თავიანთ კოლექციებში ყურადღებას ამახვილებენ სასიამოვნო შეგრძნებებზე, წარმატებაზე და სიყვარულზე. იყავით განსაკუთრებული და შემატეთ უნაზესი შტრიხები თქვენს ყოველდღიურ ან გამოსასვლელ ჩაცმულობას.

როდესაც გიყვარს გაუსწრო დროს

ინტერვიუ კომპანია რუსთავი 2-ის გაყიდვების განყოფილების უფროსთან, კონსტანტინე ბათმანიდთან

INTERVIEW. **როდიდან გიტაცებთ მოტოციკლები? მოგვიყევით თქვენი პირველი გამოცდილების შესახებ.**

KONSTANTIN BATMANIDI. 10 წლის ვიყავი და ჩემი ბავშვობის მეგობართან ერთად ეზოში ვთამაშობდი. მაშინ ყველა მსოფლიო ჩემპიონატს უყურებდა. მეგობრის მამამ თვითნაკეთი მოპედი გამოგვიყვანა და შესაბამისად, სწორედ მაშინ დავჯექი პირველად მოპედზე. ძალიან მომეწონა. ველოსიპედი ნაკლებად მიტაცებდა, სკეიდბორდები და ე.წ. „როლიკები" ახალი შემოსული იყო და ყველა მათზე იყო გადართული.

როდესაც ზაფხული გავიდა, მამაჩემს, რომელსაც ბავშვობაში ანალოგიური გამოცდილება ჰქონდა, ვუთხარი, მოტოციკლი მიყიდე-მეთქი. მან ასეთი პირობა წამიყენა: ჯერ ჩემით უნდა ამეწყო მოტოციკლი, შემდეგ კი მიყიდდა. იყო ასეთ მოდელი - „მინსკი", რამდენიმე მეგობარი ვისხედით ავტოფარეხში და ვაწყობდით. როდესაც ავაწყეთ, გავყიდეთ და სხვა მოდელი ვიყიდეთ. მაშასადამე, ჯერ იყო „მინსკი", შემდეგ „ვასხოდი", „იჟი"... უკვე 90-იანი წლებისკენ გამოჩნდა მოტოციკლი „კავასაკი" და ა.შ. სპორტულ მოტოციკლზე უკვე 2001-2002 წელს დავჯექი.

I. **როდიდან ჩაებით მოტორბოლაში, როგორც სპორტში?**

K. B. ვერ ვიტყვი, რომ სპორტში ჩავები, რადგან ეს ჩემი ჰობია. რეალურად, ასეთი მიდგომა მაქვს, რომ ჰობი - ჰობია და თუ პროფესსიონალურად ვუდგები, მაშინ სხვა მიამართულებით უნდა წავიდე. ბუნებრივია, რომ სამსახურის გამო, სრულფასოვნად ვერ მივყვები, ამასთან, უკვე სხვა ასაკშიც ვარ. >

SHOEI
DAINESE
DAINESE
MONSTER
ENERGY
YAMAHA

ვალენტინო როსი

ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იტალიელი პროფესიონალი მოტომრბოლელი. მსოფლიო ცხრაგზის ჩემპიონი სხვადასხვა სახეობებში.

მყავს მოტოციკლებით გატაცებული 7 მეგობარი, ოღონდ, ეს არ არის კლუბი. ჩვენ ვცდილობთ, რომ ცალკე ვიყოთ, რადგან ძალიან ვუფრთხილდებით ერთმანეთს. ძირითადად ვცდილობთ, ქალაქიდან გავიდეთ და ისეთ ტრასებზე ვატაროთ, ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც უსაფრთხო რომ იყოს. ჩვენ არავის ვეჯიბრებით, ამას საკუთარი სიამოვნებისთვის ვაკეთებთ.

I. ანუ ამ ყველაფერს არაოფიციალური სახე აქვს?

K. B. კი, ასეა. შარშან ერთ-ერთ შეჯიბრზე მიგვიწვიეს ესპანეთში როგორც მოყვარულები. მიგვიწვიეს დუკატის გუნდშიც, სადაც მოგვეცა საშუალება, ამ გუნდის წევრებთან გვქონოდა ურთიერთობა. სწორედ იქ, სრულიად შემთხვევით, შევხვდით ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პიროვნებას, Yamaha-ს გუნდის მრბოლელს, ვალენტინო როსის. შეგვეძლო მოტოციკლებსაც ახლოდან გავცნობოდით. რამდენიმე მათგანზე დავჯექით კიდეც.

I. რომელი მარკის მოტოციკლს ფლობთ და რომელი მარკა მოგწონთ?

K. B. ვფლობ Yamaha R1-ს, რომელიც ძალიან მიყვარს მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის მოდელია. ბოლო დროს მეგობრები მუდმივად ვკამათობთ იმის შესახებ, თუ რომელი მოდელი ჯობს და რომელი ვიყიდოთ, თუმცა ჩემი მოტოციკლის გაყიდვას არ ვაპირებ, ვერ ვემშვიდობები. უკვე ძალიან ბევრი განაცხადია გაკეთებული 2014-15 წლის მოდელებზე, მაგალითად - BMW 1000RR, რომლის დიზაინიც არ მომწონს, თუმცა ტექნიკურად საკმაოდ სერიოზული მოტოციკლია. ჯერჯერობით არ ვარ ჩამოყალიბებული, თუმცა ვნახოთ, რა იქნება შემდეგი მოდელი.

HONDA
CBR1000 RR

BMW
S1000 RR

YAMAHA
R1

ნებისმიერი მოტოციკლი ჩემთვის მოტოციკლია. მოპედიც კი მომწონს, ძველი, ჟანგიანი მოტოციკლიც; სკუტერზეც კი ვგიჟდები. ნებისმიერი სიჩქარით სვლა ჩემთვის სიამოვნებაა.

I. რა მახასიათებლებს აქცევთ ყურადღებას მოტოციკლში?

K. B. ვიზუალური მხარე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და ყურადღებასაც ვაქცევ. როდესაც მოტოციკლს ვყიდულობ, წინამორბედთან შედარებით ვიზუალურად განსხვავებული მინდა იყოს, ამიტომ ვაყენებ არასტანდარტულ ნაწილებს. ეს ერთგვარი კულტურაა და სხვის დასანახად არ კეთდება; პირადი სამყარო და პირადი ემოციებია, მით უმეტეს, როდესაც 200კმ/სთ სიჩქარით მიდიხარ, ვერავინ გაარჩევს, როგორ გამოიყურები.

ამავე კულტურის ნაწილია ფორმაც. მნიშვნელოვანია, რომ შესაფერისად გამოიყურებოდე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკურ მხარესაც. შეიძლება ვიზუალურად ძალიან საინტერესო მოტოციკლი იყოს, მაგრამ რაღაც ტექნიკურ მაჩვენებლებს ვერ აკმაყოფილებდეს და ამის გამო აღარ იყოს საინტერესო. არის კიდევ ერთი ფაქტორი - არსებობს „შენი მოტოციკლი" - შეიძლება ლამაზიც იყოს, ტექნიკურადაც ძალიან მაგარი იყოს, მაგრამ როცა მართავ, კომფორტი ვერ იგრძნო. მართვის დროს ყველაფერი ერთიან სამყაროდ უნდა ჩამოყალიბდეს. მაგალითად, ფანტასტიკური მოდელია Honda CBR1000RR, მაგრამ მე ვერ ვირგებ. ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მოტოციკლს თავისი ხასიათი აქვს: ეს არის ერთად, ერთ ემოციაში აღებული 185 ცხენის ძალა. ალბათ კარგად გამიგებს ის ადამიანი, რომელმაც იცის, რას ნიშნავს ერთი ცხენის მართვა და წარმოუდგენია, როგორი გრძნობა შეიძლება იყოს 185 ცხენის მართვა.

I. რა არის თქვენთვის მოტოციკლი?

K. B. ზოგადად, ძალიან მომწონს ტექნიკა. ძალიან აქტიური ადმიანიც ვარ. ზამთარში თხილამურებზე სრიალი მიყვარს, ზაფხულში - თევზაობა. ეს უკანასკნელი ზოგჯერ მხოლოდ ანკესის ხელში ჭერა ჰგონიათ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის მოსაწყენი საქმიანობა, ეს ბუნებასთან ურთიერთობაა. რაც შეეხება მოტოციკლებს, აქაც ანალოგიური მიდგომა მაქვს: ეს არის ცხოვრების რაღაც მომენტი, როდესაც გიყვარს დროისათვის გასწრება.

I. რამდენად უსაფრთხო პროცესია მოტოციკლის მართვა?

K. B. უსაფთხოება ადამიანზეა დამოკიდებული და მოტოციკლი აქ არაფერ შუაშია. უნდა გქონდეს ძალიან სტაბილური ნერვები და ამას საკუთარი თავისთვის უნდა აკეთებდე. ჩემი მშობლების სიტყვებს გავიხსენებ, მითხრეს, თუ რამეს გააფუჭებ, ჯობს არა სხვისი გავლენით, არამედ საკუთარი ჭკუით გააფუჭოო. მას შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი ჭკუით არაფერს ვაფუჭებ და არც სხვის ჭკუაზე დავდივარ. სტაბილური უნდა იყო და არავის აჰყვე.

8-9 წლის წინ ძალიან დიდი ტრავმა მივიღე უსაფრთხოების წესების არდაცვის გამო, თუმცა ფაქტია, ჩემი ბრალი იყო. ერთადერთხელ არ დავიცავი წესები და სწორედ მაშინ გადამირბინეს ბავშვებმა ტრასაზე. ოთხი მალა მქონდა მომტვრეული. ამიტომ, უსაფრთხოებას დიდ ყურადღებას ვაქცევ. ყოველთვის უნდა გაითვალისწინო, რომ საქართველოში ხარ და მოძრაობის წესებს ვიღაც ყოველთვის დაარღვევს. რაც მთავარია, უდნა ვიცოდეთ მაქსიმალური ზღვარი. ეს არის პირადი ფორმა, ეკიპირება რომელიც გიცავს.

I. იმდენად უსაფრთხოდ მიგაჩნიათ, რომ თქვენს ქალიშვილსაც ასწავლით?

K. B. ერთი წლის იყო, როდესაც პირველად დავსვი. პატარა, რა თქმა უნდა, არასპორტული გასეირნება გავაკეთეთ მოპედით. მამის გატაცება მოსწონს და ამაყობს. >

SHOEI
ASV
46
MONSTER

უსაფრთხოება აქ არაფერ შუაშია. ევროპასა და ამერიკაში მოტოციკლით ძალიან ბევრი ადამიანი დადის. არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც სპორტული და ჩემნაირი მოტოციკლი მართოს. ჩემს შვილს ამასაც ისევე ვასწავლი, როგორც სხვა ყველაფერს. მომავალში თვითონ გადაწყვეტს, რა მოუნდება. უკვე საკმაოდ კარგად მართავს და ძალიან კარგად იცის უკან ჯდომა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან უკან მჯდომი შენთან ერთად ერთ ორგანიზმად უნდა იქცეს, რომ ხელი არ შეგიშალოს. ასეთი მამა ვარ, ვცდილობ, ყველაფერი ვასწავლო.

I. სად ატარებთ ხოლმე მოტოციკლს? რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სიჩქარე?

K. B. მე მიყვარს აჩქარება, რომელსაც სიჩქარე მოაქვს. 2,8 წამი სჭირდება ნოლიდან ასამდე ასასვლელად. ჩემი მოტოციკლი ქალაქში სეირნობაზე არ არის გათვლილი. ჩვენ გავდივართ ფასანაურში, ბაზალეთის ასასვლელ გზაზე, ალგეთის გავლით ნინოწმინდაში, სადაც საკმაოდ კარგი გზებია და ხალხიც ნაკლებია ტრასაზე. არის გზები, სადაც სწრაფად დავდივართ და არის გზები, სადაც საშუალო სიჩქარით დავდივართ და ესეც გვსიამოვნებს.

I. რა გხიბლავთ მოტოციკლებში ყველაზე მეტად?

K. B. ყველაფერი მაშინ იწყება, როდესაც გაიფიქრებ, რომ მოტიციკლზე უნდა დაჯდე. ამ მომენტიდან ერთგვარი რიტუალი იწყება: ფორმას ჩაიცვამ, ჩახვალ, მოტოციკლს გამოიყვან, გადაამოწმებ, მეგობრებს გადაურეკავ, შეხვედრის ადგილს დათქვამთ – ეს არის ადამიანებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია. ეს ყველაფერი არ არსებობს ურთერთობის გარეშე.

შევხვდით ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პიროვნებას, YAMAHA-ს გუნდის მრბოლელს, ვალენტინო როსის

I. კუმირები გყავთ?

K. B. მე არ მომწონს სიტყვა კუმირი, იმიტომ, რომ თაყვანისცემას ჰგავს. უბრალოდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემზე კარგად მართავენ და ისეთ რაღაცებს აკეთებენ, ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტა მეც შემეძლოს-მეთქი.

I. რამდენ დროს უთმობთ მოტოციკლს?

K. B. ადამიანი, რომელიც მუშაობს, რომელსაც უნდა, რომ თავისი საქმის პროფესიონალი და კარგი მენეჯერი იყოს, სამსახურზეა ორიენტირებული. ამას ვერ გავექცევით, ეს ადამიანისთვის ნორმალური მდგომარეობაა. მომწონს კიდეც, რომ ასე ვარ. ვცდილობ, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი იყოს. მაგრამ, თუ არის შაბათი და თუ მცალია და თუ კიდევ ბევრი „თუ" დაემთხვა, მაშინ მოტოციკლზე დაჯდომის სიამოვნებას არასდროს მოვიკლებ.

დათო ფარულავა

LADY IN GOLD

photo
SASHÀ PRISHVIN
styling
ANANO DOLABERIDZE

model
MARIAM TSINAMDZGVRISHVILI
(Look Models Management)

mua
TEKO SHENKEN
hair
GEORGE ELIADZE

accessories
FRANCO FONTANA

ბეჭედი
Franco Fontana
ოქრო **585**

ყელსაბამი
სამაჯური
Franco Fontana
ოქრო **585**

ხამაჯური:
Harmony
Charm
Mondo
Franco Fontana
ოქრო **585**

ყელსაბამი
Gazelle
Franco Fontana
ოქრო **585**

ბეჭედი
საყურე
სამაჯური
Franco Fontana
თეთრი ოქრო **585**

ბეჭედი
სამაჯური
Franco Fontana
ოქრო **585**

Pop art

CHANEL, CÉLINE, KENZO, CHRISTIAN DIOR – ეს იმ მოდის სახლების მცირე სიაა, რომლებმაც გაზაფხული/ზაფხული 2014 წლის კოლექციებში დიდი აქცენტი ხელით მოხატულ ქსოვილებსა და პოპ-არტზე გააკეთეს, შესაბამისად თამამად შეგიძლიათ შეიმოსოთ, ამ დეტალებით გაფორმებული სამოსით და იგრძნოთ თავი მოდურ ადამიანად.

All Spring/Summer 2014: **1**. ***Kenzo***; **2**. ***Chanel***; **3**. ***Celine***; **4**. ***Jil Sander***; **5**.***Versace***; **6**. ***Christian Dior***.

ზოლები

ზოლები ***STRIPES*** უკვე 3 წელია აქტიურად გვხვდება წამყვანი მოდის ქალაქების კვირეულებზე, თუმცა დიზაინერები ყოველთვის ცდილობენ სიახლეები შემოგვთავაზონ. გაზაფხული 2014 წლის კოლექციებში, ზოლები სრულიად განსხვავებულია წინა კოლექციებიდან და საკმაოდ საინტერესო კომბინაციებია წარმოდგენილი მათი სახით.

1. კაბა ***Marni***; **2**. ქვედაბოლო ***Mother of Pearl***;
3. შორტი ***See by Chloe***; **4**. ქვედაბოლო ***Christopher Kane***.

დახეული ჯინსი

დახეული ჯინსი ***RIPPED JEANS*** კლასიკურ წვეტიან ფეხსაცმელზე, მართლაც რომ, სეზონის ჰიტია. განსაკუთრებით თუ ჯინსი არის ფართო და ამ ყველაფერს დიდი ზომის, ან თავისუფალი სტილის პერანგს, მაისურს შეუხამებთ.

მოკლე ტოპები

მოკლე ტოპები *CROP TOPS* უკვე რამოდენიმე სეზონია საკმაოდ აქტუალურია დიზაინერების მიერ წარმოდგენილ კოლექციებში, მაგრამ თუ აქამდე მსგავს სამოს მხოლოდ სპორტული და ყოველ-დღიური სტილისთვის გვთავაზობდნენ, გაზაფხული/ზაფხული 2014 წლის კოლექციებში ტოპმა უფრო მეტი ფუნქცია შეიძინა და ახლა უკვე კლასიკურ სტილზეც შეგვიძლია მოვირგოთ.

1. *Alexander Wang*; 2. *Calvin Klein*; 3. *Reed Krakoff*; 4. *DKNY*;
5. *Herve Leger by Max Azria*; 6,11. *Lacoste*; 7. *Narciso Rodriguez*;
8. *BCBG Max Azria*; 9. *Diane Von Fustenberg*; 10. *Blumarine*;

ორმაგი პრინტი

ბოლო რამდენიმე სეზონია პრინტიანი ქსოვილების ბუმია მოდის სამყაროში. 2014 წლის გაზაფხული/ზაფხული კოლექციებში დიზაინერებმა აქცენტი მსგავსი ქსოვილებისგან აწყობილ მთლიან ლუქზე გააკეთეს, გამოიყენეს, როგორც ცხოველის, ისე ყვავილებისა და მსგავსი ორნამენტებისაგან დაპრინტული ქსოვილები.

Elena Parminova

3

2

1

1. ***Proenza Schouler***; 2.***Christopher Kane***;
3. ***Dianev Von Fustenberg***; 4. ***Giambattista Valli***;
5.***Christopher Kane***; 6. ***Stella McCartney***; 7. ***Marc by Marc Jacobs***.

Must have

1. ხელჩანთა ***Chanel***; **2.** ფეხსაცმელი ***3.1 Phillip Lim***; **3**. ყელსაბამი ***Chanel***; **4**. სათვალე ***Miu Miu***; **5**. ფეხსაცმელი ***Valentino***.

6. ბეჭედი ***Balenciaga***; **7**. ჩანთა ***Pierre Hardy***; **8**. სამაჯური ***Linda Farrow***; **9**. ფეხსაცმელი ***Casadei***; **10**. ტუჩსაცხი ***Rihanna for MAC***; **11**. ფრჩხილის ლაქი ***Dior***; **12**. კედი ***Stella McCartney***.



ბიუსჰალტერი
და ტრუსი
Dolce&Gabbana

GIVENCHY-ის სპორტული სვიტერი

ელი ფენინგს (ELLE FANNING) ეს სვიტერი MISS VOGUE-ის გადაღებების დროს ემოსა. მიუხედავად ზოგადი სტანდარტულობისა, სვიტერი საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს და ეს სტილი შეგიძლიათ მოარგოთ როგორც საყვარელ და ბავშვურ, ისე მკაცრი ქალის იმიჯს.

ბლუზა
Givenchy

კეპი
Brian Lichtenberg

ბლუზა
Brian Lichtenberg

ქვედაბოლო
Stella McCartney

DIY by Miss Kris Turner

როგორ დავამზადოთ ზურმუხტისფერი ყელსაბამი მარტივად, ჩვენი ხელით

1

2

4

1. წვრილი მავთული, საშუალო ზომის ჯაჭვი და ყელსაბამის შესაკრავი; **2**. დაახლოებით 20 სმ სიგრძის მავთულზე ააცვით თქვენი ქვები; **3**. აიღეთ საშუალო ზომის ჯაჭვი და მავთულის ბოლოები დაახვიეთ ჯაჭვზე ისე, რომ არ ჩამოსრიალდეს და მოძვრეს. როდესაც მიხვდებით, რომ მავთული კარგად არის შემოხვეული, მოაჭერით ბოლოები; **4**. და ბოლოს, ჯაჭვის მეორე ბოლოში დაამაგრეთ შესაკრავები და ყელსაბამი მზად არის.

3

ნამდვილად მშურს მათი, ვისაც დაბადების დღე მაისში აქვს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ მათი ქვა ზურმუხტია. დაბადების დღე აგვისტოში მაქვს, ჩემი ქვა ხრიზოლიტია. ღია მწვანე ფერი არ მიხდება, ზურმუხტისფერი – პირიქით.

მინდა ვიცოდე, ვინ მოიგონა თვეებისათვის ქვების მინიჭება? იმას ვგულისხმობ, რომ ნამდვილად უფრო გახარებული ვიქნებოდი, ზურმუხტი, ბრილიანტი ან თუნდაც ლალი რომ ყოფილიყო ჩემი ქვა, მაგრამ აზრი ამასთან დაკავშირებით ჩემთვის არავის უკითხავს! იმის მიუხედავად რომ ზურმუხტს საკუთარ ქვად ვერ ვაქცევ, ის მაინც რჩება ჩემს რჩეულად. ნამდვილად აღმაფრთოვანა ფაქტმა, რომ ჩემი ფავორიტი ქვის ფერს წლის ფერი უწოდეს.

გამიხარდა, როდესაც დიდი ზომის ზურმუხტისფერ ქვებს გადავაწყდი, მაშინვე მივხვდი, რომ მსურდა მისგან ყელსაბამის შექმნა, ისეთის, როგორიც ელიზაბეტ ტეილორს ამშვენებდა.

Street style

დღესდღეისობით, მოდის სფეროში ქუჩის მოდას *(STREET STYLE)* ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კოკო შანელმა თქვა, რომ მოდა სწორედ ქუჩიდან მოდის, ხალხის ჩაცმულობა, კრეატიულობა დიზაინერებისთვის ხშირად ინსპირაციაც გამხდარა. *STREET STYLE* ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა:

1. მთლიანად აწყობილი ლუქი;
2. ბრენდები; 3. კარგად შეხამებული ტანსაცმლის დეტალები, ფერები, სტილი;
4. აქსესუარები.

street

style

„საქორწინო თაიგული პატარძლისთვის ისეთივე მნიშვნელობის აქსესუარია, როგორც სრულქმნილი ტილოსთვის მხატვრის ფუნჯის ბოლო, დამამთავრებელი მონასმი.“ – ეს ოსკარ დე ლა რენტას, მსოფლიოში ცნობილი ქორწილების დიზაინერისა და ორგანიზატორის სიტყვებია. ძნელია, არ დაეთანხმო. თაიგული ქორწილისთვის ხომ მართლაც არ არის ყვავილების უბრალო, ლამაზად გაფორმებული შეკვრა...

საქორწილო თაიგულის შესახებ...

ისტორია

პატარძლის მიერ საქორწინო თაიგულის ხალხში გადაგდების ტრადიცია შუა საუკუნეების ევროპაში გაჩნდა. მანამდე მიღებული იყო მინდვრის ყვავილების თმაში ჩაწნა ან კაბის და ფატის ყვავილებით გაფორმება.

კელტურ კულტურაში თაიგულებს სუროს, ერიკასა და ნარშავასაგან კრავდნენ. ასეთ აქსესუარში ყვავილები საერთოდ არ იყო და ის მარტო ბალახებისგან შედგებოდა. კელტები მიიჩნევდნენ, რომ ძლიერ არომატს მისტიკური ძალა გააჩნდა და ბოროტი სულების დაფრთხობაც შეეძლო.

ძველ რომში ქალს ქორწილის აღსანიშნად დაწნულ კალათაში ჩალაგებული როზმარინი და... ნიორი უნდა ჰქონოდა, აუცილებლად. ეს ორი მცენარე სიმდიდრის, სიუხვისა და ერთგულების სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

ბერძენი გოგონები ხვიარას ამჯობინებდნენ. მათი რწმენით, ხვიარა საუკუნო სიყვარულის ნიშანი იყო.

ესპანეთში ციტრუსის ხის ტოტებით ირთვებოდა ადგილი, სადაც საქორწილო სუფრა იმართებოდა. ასე ბედნიერების და ამქვეყნიური კეთილდღეობის მფარველი ღმერთების „მოქრთამვას" ცდილობდნენ ესპანელები. შუასაუკუნეებამდე არსებობდა კიდევ ერთი უცნაური ტრადიცია - გაუთხოვარ გოგონებს პატარძლის კაბისგან თუნდაც მცირე ნაჭერი უნდა ამოეჭრათ და თან წაეღოთ. მიიჩნეოდა, რომ ასე პატარძლის ბედს გაიზიარებდნენ უახლოეს მომავალში.

ძველ ეგვიპტეში ქორწილის დღისთვის აუცილებლად იმარაგებდნენ ლილიებს - უკეთესი მომავლის რწმენას სწორედ ეს უმშვენიერესი ყვავილები ბადებდა ეგვიპტელებში.

საქორწინო თაიგულის იმ სახით დამკვიდრებამდე, როგორც დღესაა, ყვავილებისგან დაწნულ გვირგვინს თითქმის ყველა პატარძალი იკეთებდა. სხვადასხვა ყვავილს სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა ენიჭებოდა, ასე რომ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თაიგული საქმის კარგად მცოდნეს შეეკრა, უცაბედად რაიმე ავისმომასწავებელი რომ არ „გაპარულიყო" ცერემონიალისას. >

სიმბოლიკა

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ყვავილს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ვარდები ახალგაზრდობისა და სიყვარულის სიმბოლოა. ზოგადად, კაშკაშა ფერის ყვავილები თითქმის ყველა ქვეყნის კულტურაში ხანგრძლივ, უბერებელ სიყვარულთან ასოცირდება. თუმცა, ფლორისტების რჩევით, ქორწინების ცერემონიაზე უმჯობესია უპირატესობა ღია ფერის ყვავილებს მიანიჭოთ. არჩევანი საკმაოდ დიდია. რაც შეეხება სიმბოლიკას: გლადიოლუსი მშვენიერების სიმბოლოა; ჰორტენზია - თავმდაბლობისა და მადლიერების; ყაყაჩო - ვნებას გამოხატავს; ხოლო გიორგინა - ბედნიერებასა და სიხარულს.

ძალიან მიმზიდველი და ორიგინალურია მინდვრის უბრალო ყვავილებისგან შექმნილი კომპოზიციები. მით უმეტეს,თუ გავითვალისწინებთ, რომ გვირილები ბედნიერების, იები კი ერთგულების სიმბოლოა. საინტერესო დატვირთვა აქვს მიხაკსაც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ეს ყვავილები საქორწინო ცერემონიის დროს პოპულარობით არ სარგებლობს. ვარდისფერი მიხაკი - სიმამაცის და გაბედულობის ნიშანია, თეთრი კი - ღვთაებრივი ნიჭის. ქრიზანთემას ჩასმა თაიგულში სიმდიდრის, ფინანსური კეთილდღეობის და უზრუნველი ცხოვრების „გარანტიად" მიიჩნევა. აუცილებელია, ვიცოდეთ იმ ყვავილების ჩამონათვალიც, რომელთა ადგილი ფლორისტების რწმენით, საქორწინო თაიგულში საერთოდ არ არის. ასეთებად მიიჩნევა: ყვითელი ვარდი (ეჭვიანობა), ყვითელი ლილია (სიცრუე და ორპირობა), ყვითელი ქრიზანთემა (ქარაფშუტობა), ყვითელი მიხაკი (სიძულვილი), სხვადასხვა ფერებშერეული მიხაკი (არამდგრადი სიყვარული, ხშირი ღალატი), წითელი მიხაკი (გულისტკივილი), ლავანდა (უნდობლობა).

ცხადია, ეს ზოგადი რჩევებია და უმრავლესობის აზრით, ამგვარ ცრურწმენებს საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან, რეალობასთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. თუმცა, ცრურწმენაც, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არა საუკუნეებით გამოცდილი კანონზომიერებები.

ასეა თუ ისე, საქორწინო თაიგულის დიზაინიცა და შემადგენლობაც, საბოლოო ჯამში, მაინც პატარძლის შესარჩევია და სწორედ მისი აზრი უნდა გახდეს გადამწყვეტი.

სპეციალისტების რჩევები

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქორწინო თაიგულის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა პატარძლის სიმაღლეს, შემდეგ კი კაბის ფერს ენიჭება.

თუ დედოფალი დაბალი, ან საშუალო ტანისაა, გრძელი და დიდი თაიგული არ მოუხდება. ასე ის ვიზუალურად უფრო დადაბლდება. ამიტომ გრძელი, მიხაკის ტიპის ყვავილები უნდა გამოირიცხოს.

მაღალმა პატარძლებმა პირიქით, ძალიან მოკლეღეროიან ყვავილებზე არ უნდა შეაჩერონ არჩევანი. სამაგიეროდ, თამამად შეუძლიათ, აირჩიონ გრძელღეროიანი ყვავილები.

კარგი იქნება, თუ თაიგულისთვის გამოიყენებთ გვირილებს, ჰერბერებს, ზიზილებს. მათ მყარი ყვავილები აქვთ და ხელმისაწვდომია მთელი წლის განმავლობაში.

თაიგული მოხერხებული და მსუბუქი უნდა იყოს. შესაძლოა, დამაგრდეს საყრდენზე ან შეიკრას ყვავილის ღეროებით. გააჩნია,

რომელ ყვავილზე შეაჩერებთ არჩევანს. მაგალითად, ვარდები, იორდასალამი, ჰერბერები, გვირილები მაგრდება საყრდენზე. კალები, შროშანი და ორქიდეები კი თავისივე ღეროებით იკვრება.

პატარძლის და სიძის იმიჯის ჰარმონიულობას, დიზაინერების რჩევით, ერთი პატარა დეტალი განაპირობებს: შესაძლებელია საქორწინო თაიგულის შემადგენელი რომელიმე ყვავილის საქმროს ფრაკზე მიმაგრება. თუ ამ რჩევას გაითვალისწინებთ, თადარიგში რამდენიმე ცალი ყვავილი უნდა გქონდეთ... (ფრაკზე მიმაგრებული ყვავილი უწყლოდ დიდხანს ვერ ძლებს).

ხშირად, თაიგულს მთლიანად ფლორისტის გემოვნებას მიანდობენ ხოლმე, თუმცა, აქაც გასათვალისწინებელია, რომ როცა თაიგულს უკვეთავთ, აუცილებელია, ფლორისტს აუხსნათ, როგორი ფერისა და რა სტილის კაბა ეცმევა დედოფალს. თუ ასე არ მოიქცევით, შესაძლოა, ცალკე აღებული თაიგული ულამაზესი იყოს, მაგრამ როგორც კი პატარძალი ხელში დაიჭერს... უცხო სხეულივით გამოჩნდეს.

დღესდღეობით საქორწინო თაიგულის დაუქორწინებელი მეგობრებისთვის სროლის ტრადიცია საკმაოდ გავრცელებულია. თუ გინდათ, რომ ქორწილის დღის მოსაგონებლად ფოტოებთან ერთად რაიმე სხვა რელიკვიაც დაგრჩეთ, შეგიძლიათ საქორწინო თაიგულიდან რამდენიმე ყვავილის გახმობა და ლამაზ ჩარჩოში მოთავსება - ოთახის დიზაინის საინტერესო, ორიგინალური გაფორმებაც იქნება და მშვენიერი დღის მოსაგონებელიც.

თანამედროვე თაიგული შეიძლება სულ ერთი ყვავილისგან შედგებოდეს, მაგალითად, შროშანისგან. ყვავილს ფოთლებს აცლიან და მის ღეროს ბისერებით, მარგალიტებით ან სვაროვსკის კრისტალებით რთავენ. მთავარია, რომ ასე მორთული ყვავილი პატარძლის კაბას უხდებოდეს. >



ყველაზე... ყველაზე...

ყველაზე ძვირფასი თაიგული კი, რომელიც გამოფენისთვის დაამზადეს – ასწლოვანი ფიკუსის რტოზე აწყობილი წითელი ბუმბულებით მორთული თეთრი ორქიდეების, ვარდების, შროშანებისა და სხვა ყვავილების კომპოზიციას წარმოადგენდა, 100 ცალი ძვირფასი თვლით იყო მორთული (მათ შორის რამდენიმე მაღალი ხარისხის ბრილიანტითა და 21-კარატიანი ვარსკვლავის ფორმის ნატურალური ლალით) და 125 ათასი დოლარი ღირდა...

ყველაზე სახელგანთქმული თაიგულის ნომინაცია პოლ მაკარტნის მეორე ცოლის – ჰიზერ მილზის – საქორწინო თაიგულს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. ეს მშვენიერება ორი ვარდისფერი პიონისა და ასეთივე ფერის თერთმეტი ცალი „პოლ მაკარტნის“ ჯიშის ვარდისაგან იყო აწყობილი.

ყველაზე შთამბეჭდავი კასკადისებური თაიგული პრინცესა დიანას ეჭირა და მას „მონტბატენის“ ჯიშის თეთრი ვარდები, ორქიდეები, ენძელები, ფრეზიები, გარდენიები და მირტის ტოტი ამშვენებდა. საქორწინო თაიგული 105 სანტიმეტრის სიგრძის იყო და მთელ 5 კილოგრამს იწონიდა!

ყველაზე ორიგინალური, სუროსა და არყის ხის ტოტებისგან შეკრული და ვაშლებითა და ხილით მორთული უზარმაზარი თაიგული ვიქტორია ბეკჰემის კუთვნილებაა.

ყველაზე გრძელი თაიგული 60 მეტრს აღწევდა და მის დასამზადებლად, საერთო ჯამში, 1500 ყვავილი დაიხარჯა. უჩვეულო ქორწილი 2003 წლის 6 სექტემბერს კანადაში, კერძოდ კი ქალაქ მისისოგაში გაიმართა. ცნობილია, რომ პატარძლის თაიგულის წონა 92 კილოგრამი იყო და, რა თქმა უნდა, იგი ზურგს უკან არავის უსვრია. სამაგიეროდ, ეს თაიგული გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. აღწერილობაში ვკითხულობთ, რომ თაიგულის გადატანაში პატარძალს 79 ქალი და 47 მამაკაცი ეხმარებოდა.

ინტერვიუ

BEAUTY&HEALTH

სილამაზე&ჯანმრთელობა

56 ყველაფერი, რაც უნდა ვიცოდეთ პლასტიკური ქირურგიის შესახებ

66 ჯანსაღი კვება=ჯანსაღ ცხოვრებას

70 5 რჩევა გაზაფხულისთვის ფორმაში მოსასვლელად

72 შენ ალამაზებ სამყაროს

74 5 მაპიაჭის ფონი მათთვის, ვინც მას ვერ იტანს

76 2014 წლის გაზაფხული/ზაფხულის თმის აქსესუარების ტენდენციები

ყველაფერი, რაც უნდა ვიცოდეთ

პლასტიკური ქირურგიის

შესახებ

პლასტიკური ქირურგიის დახმარების მსურველთა რიცხვი მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სფერო მედიცინის დარგში, დღესდღეობით, სწორედ პლასტიკური ქირურგიაა. სტატიაში თავმოყრილია ამომწურავი ინფორმაცია პლასტიკური ქირურგიული ოპერაციების შესახებ. ამ შემთხვევაში, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ესთეტიკური პლასტიკური ოპერაციების სახეობებზე, მათთან დაკავშირებულ რისკებსა და ამ რისკებისგან თავდაცვის საშუალებებზე. ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე კომპეტენტური პასუხების მისაღებად გია გვარამიას კლინიკას მივმართეთ.

ისტორიული ექსკურსი

პლასტიკური ოპერაციები ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე კეთდებოდა. უძველესი ისტორიული წყაროების თანახმად რომაელები დასახიჩრებულ სახეს და ყურებს ქირურგიული ჩარევით აღიდგენდნენ ხოლმე. ამასთან, ძველ რომში მამაკაცებში, განსაკუთრებით კი მეომრებში, საკმაოდ გავრცელებული იყო ზურგის პლასტიკა. გაგიკვირდათ? ამას რაციონალური ახსნა აქვს – რომაელი მამაკაცისთვის სამარცხვინოდ მიიჩნეოდა ზურგზე ნაიარევი. ეს ნიშნავდა, რომ მეომარმა მტერს ზურგი აჩვენა. ჰოდა, ისინიც ცდილობდნენ, ეს უსიამოვნო დამღა გაექროთ საკუთარი სხეულებიდან. ცნობებს ამის შესახებ რომაელი ექიმის, კორნელიუს კელსასის ჩანაწერებში ვხვდებით. იქვეა აღწერილი ტუჩების და თქვენ წარმოიდგინეთ, დუნდულების პლასტიკის შესახებაც.

შუა საუკუნეებში პლასტიკური ქირურგია ცოდვად მიიჩნეოდა! ქირურგებიც და პაციენტებიც ეშმაკის მოციქულებად და ჯადოქრებად ირაცხებოდნენ. მათ წმინდა ინკვიზიციის სახელით კოცონზე წვავდნენ.

მეთექვსმეტე საუკუნეში მოღვაწე იტალიელ ექიმს, გასპარ ტალიაკოცის დღეს პლასტიკური ქირურგიის მამად აღიარებენ და სწორედ მას მიაწერენ იმ დროისთვის ურთულესი ოპერაციის პირველად ჩატარებას – სიფილისით დაავადებულ პაციენტს მან ცხვირი გადაუნერგა და მიუხედავად იმისა, რომ ცხვირმა სამიოდე თვეს გაძლო, შემდეგ კი მოძვრა, სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ მნიშვნელოვან ძვრებს ამ სფეროში.

ცნობილია, რომ მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში ჩატარდა ცხვირის შედარებით წარმატებული ოპერაცია. ექიმმა ჯოზეფ კარპიუმ პაციენტს ახალი, ჯანსაღი ცხვირი აჩუქა. ოპერაცია სამ დღეს გრძელდებოდა!

აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნემდე პლასტიკური ქირურგიული ოპერაციები ანალგეტიკებისა და გაუტკივარების გარეშე ტარდებოდა. შესაძლოა, სწორედ იმ დროიდან დამკვიდრდა ცნობილი გამოთქმა – სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს.

INTERVIEW. **თქვენი, როგორც სპეციალისტის დაკვირვება – რატომ მიმართავენ ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელი ადამიანები პლასტიკურ ქირურგიას?**

GIA GVARAMIA. ზოგადად, სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა მოტივია. 20 წლამდე, ძირითადად, რადიკალური ცვლილებები სურთ. 25-30 წლის ასაკში იწყება ზრუნვა კანის ხარისხზე, თავს იჩენს ნაოჭები, ამ ასაკში საკმაოდ პოპულარულია მეზოთერაპია, ლიპოსაქცია, მკერდის ფორმის გაუმჯობესების სურვილი, უფრო მოგვიანებით წინა პლანზე სახის ოპერაციები იწევს. ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩვენი პაციენტების გადაწყვეტილებას. ჩვენ მოგვმართავენ ადამიანები, გვანდობენ საკუთარ ჯანმრთელობას, ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს და ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ყოველგარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ნებისმიერ ოპერაციას ისე უნდა უდგებოდეს ქირურგი, თითქოს საკუთარი ოჯახის წევრს უკეთებს. „ეს არის ის, რაც მინდოდა“ – როდესაც ასეთი რამ გესმის პაციენტისგან, როდესაც მისი ბედნიერების თანაზიარი ხდები, ამაზე სასიამოვნო არაფერია... >

მოტივაცია

პლასტიკური ქირურგები და ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ მათი პაციენტების უმეტესობა ბავშვობაში გადატანილი მძიმე ტრავმის, შოკის ან კომპლექსების გამო იღებს გარეგნობის რადიკალურად შეცვლის გადაწყვეტილებას, თუმცა პლასტიკური ქირურგია მხოლოდ თვითშეფასების ასამაღლებელი საშუალება არ გახლავთ. სასურველი ნაკვთების, იდეალური სილუეტის ან რაიმე ობიექტური მიზეზის გამო დამახინჯებული გარეგნობის აღდგენის სურვილში არაფერია სათაკილო და დღეს უამრავი ადამიანი ღიად, მორიდების გარეშე მიმართავს პლასტიკურ ქირურგს დახმარებისთვის.

I. **რამდენად ცვლის ცხოვრების ხარისხს ესთეტიკური ოპერაცია? ბევრს ჰგონია, რომ ეს ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის ერთგვარი გარანტიაა...**

G.G. როდესაც ადამიანი უკმაყოფილოა რაღაცით, როცა მას აწუხებს ან აკომპლექსებს საკუთარი გარეგნობა და გეგმავს გარკვეულ ცვლილებას, შედეგად კი იშორებს ამ პრობლემას, მისი თავდაჯერებულობა, ცხადია, იმატებს. კომპლექსებისგან გათავისუფლებული კი მეტ წარმატებასაც აღწევს, ასე რომ, გარკვეული კანონზომიერება მართლაც შეინიშნება. ეს არავითარ შემთხვევაში არ ეხება ისეთ პრობლემას, რასაც დისმორფოფობიას უწოდებენ (რეალურ ან წარმოსახვით ფიზიკურ ნაკლთან დაკავშირებული აკვიატებული ნევროტული შიში) ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ სწორად ვერ შევაფასეთ პაციენტის მდგომარეობა და ვერ ამოვიცანით, შესაძლებელია, დაიწყოს სერიული ოპერაციები, ასეთი პაციენტი კი შედეგით კმაყოფილი თითქმის არასდროსაა... სხვა შემთხვევაში, უმჯობესდება არა მარტო ადამიანის გარეგნობა, არამედ მისი დამოკიდებულებაც საკუთარი თავისადმი.

I. **არის თუ არა შემთხვევები, როდესაც უარის თქმას ამჯობინებთ პაციენტისთვის? როდესაც აშკარად ატყობთ, რომ არანაირ ჩარევას ის არ საჭიროებს...**

ბლეფაროპლასტიკა

ქუთუთოების პლასტიკა გახლავთ. ამ პროცედურის მეშვეობით ზედა და ქვედა ქუთუთოებიდან ზედმეტი კანის და კანქვეშა ცხიმის მოცილებაა შესაძლებელი. შედეგად ნაოჭები ქრება და კანი თავდაპირველ სიმკვრივეს იბრუნებს. ქრება ასევე კანის შეშუპება და მუქი წრეები თვალების ქვეშ.

გია გვარამია
კლინიკა

თქვენი ოცნება
ფორმას იძენს!

G.G. ცხადია, არის შემთხვევები, როდესაც პაციენტი დარწმუნებულია, რომ ოპერაცია სჭირდება, ექიმი კი არა. ასეთ დროს დელიკატურად ვცდილობთ ავუხსნათ პაციენტს ვითარება. ისეც ხდება, რომ ადამიანს არასწორი წარმოდგენა აქვს თავად ოპერაციის შესახებ. ჰგონია, რომ ეს მარტივი პროცედურაა და მეორე დღესვე შეძლებს მიღებული შედეგით ტკბობას. საკმარისია დეტალურად აუხსნა ოპერაციის მიმდინარეობა, ესაუბრო რისკზე, რაც ნებისმიერ ქირურგიულ ჩარევას ახლავს თან, გააცნო უკუჩვენებები და ხშირ შემთხვევაში ის თავადვე იღებს სწორ გადაწყვეტილებას და უარს ამბობს ჩარევაზე.

სტატისტიკა

მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, სხეულის კორექციისთვის ჩატარებულ ოპერაციებს შორის ყველაზე ხშირი ლიპოსაქციაა. მეორე ადგილს ცხვირისა და მკერდის ოპერაციები იყოფენ, მესამე კი იმ ქირურგიულ ჩარევებს უჭირავს, რომლებიც სახის გაახალგაზრდავების მიზნით კეთდება (მაგალითად, კანის დაჭიმვა).

რინოპლასტიკა

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ოპერაციაა მთელს მსოფლიოშიც და საკუთრივ, საქართველოშიც. მისი მეშვეობით ხდება ცხვირის დეფექტის კორექცია – კეხის გასწორება, ძგიდის, ასიმეტრიული ნესტოების, სუნთქვასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

I. **საინტერესოა, როგორ გამოიყურება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მოთხოვნადი ესთეტიკური პლასტიკური ოპერაციების ტოპ-სამეული? აღმოჩნდა, რომ...**

G.G. საქართველო, ფაქტობრივად, ასახავს იმ სურათს, რაც მსოფლიოშია – ცხვირი, მკერდი, ლიპოსაქცია. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში დარგისადმი ინტერესი და შესაბამისად, მომართვაც გაზრდილია. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. გაიზარდა ნდობა, უსაფრთხოების ხარისხი, მეტია ინფორმაციაც. ყველა ხედავს იმ შედეგს, რასაც მიაღწია ადამიანმა, რომელმაც უკეთესობისკენ შეცვალა საკუთარი გარეგნობა. აქედან გამომდინარე, იზრდება ოპერაციების რაოდენობა. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის იმ სტანდარტებსაც, რასაც ზოგადად, მედია აყალიბებს. უნდა ითქვას, რომ ადრე მეტად პოპულარული იყო პლასტიკური ესთეტიკური ოპერაციები, მაგალითად, მუცლის, ცხვირის ფორმის შეცვლა... დღესდღეობით უკვე წინ წამოიწია თერაპიულმა პროცედურებმაც – სახის გაწმენდა, ბოტოქსის ინექციები, ნაოჭების გასწორება...

ჩვენებები და კუჩვენებები

ესთეტიკური რინოპლასტიკა – ცხვირის ზომისა და ფორმის კორექცია პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე რთულ ოპერაციადაა მიჩნეული. რინოპლასტიკა ორი სახისაა – ნაწილობრივი და სრული. ალბათ, არ გაგიკვირდებათ – კავკასიის რეგიონში სტატისტიკურად ყველაზე დიდი მოთხოვნაა ცხვირის პლასტიკაა. რინოპლასტიკაზე, რაც ამავდროულად, პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე რთული ოპერაცია გახლავთ. ის ორი სახისაა – ნაწილობრივი და სრული. ნაწილობრივი რინოპლასტიკის შემთხვევაში ქირურგი შემოიფარგლება მცირე დეტალების კორექციით და არ ეხება ძვლოვან ქსოვილს, შესაბამისად, არ არის აუცილებელი თაბაშირისა და სპეციალური ტამპონების გამოყენება. ამ მეთოდს ზედაპირულ რინოპლასტიკასაც უწოდებენ. >

ეფექტი: სახის გამომეტყველება „რბილდება“, ცხვირის კონტურის მნიშნელოვანი ცვლილება – არ ხდება.

სრული რინოპლასტიკა ყველა ქსოვილს ეხება – ძვლოვან, ხრტილოვანს, რბილს და გარეგანი ცხვირის სტრუქტურის სრულ კორექციას მოიცავს. ეფექტი: ცხვირის სიგრძის შემცირება, კეხის მოცილება, ცხვირის ფართო ზურგის შევიწროვება, ნესტოების პლასტიკა.

ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს ორნაირად: ღია და დახურული მეთოდით. ოპერაციის შემდგომი პერიოდი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. პლასტიკის შემდეგ, სრული რინოპლასტიკის შემთხვევაში, ქირურგი ცხვირზე 7-10 დღით პაციენტს ადებს თაბაშირის ნახვევს. ოპერაციის შემდეგ გამოიყენება ტამპონები. შეშუპება და ჩალურჯებები უკვალოდ ქრება ამ პერიოდის განმავლობაში. უცხო თვალისთვის ფაქტობრივად შეუმჩნეველი კანქვეშა სიმკვრივე 5 თვიდან 1 წლამდე პერიოდში შეიძლება შენარჩუნდეს. პაციენტი აუცილებლად უნდა ეწვიოს ექიმს ოპერაციიდან 1,3,6, თვეში და 1 წელიწადში.

ცხვირის ოპერაციის გაკეთება არ არის მიზანშეწონილი გარდატეხის ასაკში. ამ პერიოდისთვის ძვალხრტილოვანი ქსოვილი ბოლომდე ჩამოყალიბებული არაა.

ოპტიმალური ასაკი 18 წელი და ზევით.

ბლეფროპლასტიკა, უმეტესწილად, 35 წლის და ამაზე უფროსი ასაკის ქალბატონების არჩევანია. ქუთუთოებზე და თვალის კუთხეებში ღრმა ნაოჭების, ქუთუთოების ცხიმოვანი ტომრების და თვალის კუთხეების აწევის საჭიროება სწორედ ამ ასაკიდან იჩენს თავს. ოპერაცია არ არის მიზანშეწონილი მათთვის, ვისაც აწუხებს მაღალი არტერიული წნევა, დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და სისხლის შედედების მოშლა. ოპერაცია ტარდება ზოგადი ან ადგილობრივი ანესთეზიით და ჩვეულებრივ, 0.5 საათიდან 3 საათამდე გრძელდება. პროცედურა მხედველობისთვის აბსოლუტურად უვნებელია. სტანდარტული ბლეფაროპლასტიკის შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი 10-12 დღეა. პირველ დღეებში ნაოპერაციევი შეშუპებული და შელურჯებულია. ამ დროს რეკომენდებულია ცივი საფენები. 2-3 კვირაში ეს დისკომფორტი მოხსნილია და პაციენტებს უკვე შეუძლიათ თავიანთი განახლებული, გაახალგაზრდავებული და მიმზიდველი მზერით დატკბნენ.



მამოპლასტიკა

მკერდის პლასტიკას ნიშნავს. საინტერესოა, რომ მამოპლასტიკას მიმართავენ არა მხოლოდ მკერდის გასადიდებლად, არამედ დასაპატარავებლადაც. ხდება აგრეთვე მკერდის ფორმის შეცვლა – აწევა, დეფექტების შესწორება.

გია გვახამია
კლინიკა

უკვალოდ ქრება!

ოპერაციის შედეგი 7-10 წლამდე გასტანს. ზოგჯერ – უფრო ხანგრძლივადაც. ეს ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე და პაციენტის ცხოვრების წესზეა დამოკიდებული.

იდეალური მკერდის საიდუმლო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლასტიკურ ქირურგს მკერდის „გასაუმჯობესებლად" მიმართავენ როგორც გაზრდის და ზომის მომატების, ასევე შემცირებისა და დაპატარავების მიზნით. არიან მკერდის აწევის მსურველებიც, ამ პროცედურას მასტოპექსია ეწოდება და სწორედ მისი საშუალებითაა შესაძლებელი მკერდის ფორმის შეცვლა მოცულობის ცვლილების გარეშე. რაც შეეხება საკმაოდ გავრცელებულ მოთხოვნას - მკერდის გადიდებას, ამას სამედიცინო ენაზე აუბმენტაციური მამოპლასტიკა ეწოდება. ამ რთულად წარმოსათქმელი ოპერაციის ჩატარების დროს იმპლანტი თავსდება სარძევე კირკვლის უკან. იგი სრულიად უსაფრთხოა, არ იწვევს ალერგიას, ინტოქსიკაციას, არ აქვს ძუძუთი კვების შეზღუდვა. ერთადერთი – ოპერაციის შემდეგ 3-4 თვე შეზღუდულია ფიზიკური დატვირთვა. რაც შეეხება მკერდის დაპატარავებას – თუ ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების უმეტესობა ესთეტიკური მიზნით ხორციელდება, დაპატარავება ხშირად აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდი ზომის მკერდს ქალისთვის მრავალი უსიამოვნება მოაქვს. ხშირია კანის გაღიზიანება, ოფლიანობა, წელისა და კისრის ტკივილი, ძილის დროს სუნთქვის გაძნელება. ყველა ეს სიმპტომი იხსნება რედუქციული მამოპლასტიკის წყალობით (სწორედ ასე ეწოდება მკერდის დასაპატარავებელ ოპერაციას). ნაკერებს ექიმი 10-14 დღის შემდეგ ხსნის. 1-1,5 თვის განმავლობაში აუცილებელია სპეციალური კომრესიული ბიუსჰალტერის ტარება, 2-3 თვე კი შეზღუდულია ფიზიკური დატვირთვა.

აბდომინოპლასტიკა
ეს რთული აღმნიშვნელი მუცლის კორექციას ნიშნავს. ოპერაცია ზედგამოჭრილია მათთვის, ვისაც მუცელზე ზედმეტი კანის ქსოვილი დარჩა მკვეთრი გახდომის ან ფეხმძიმობის შემდეგ.

I. **რამდენად შეიძლება მოსალოდნელი შედეგის წინასწარ განსაზღვრა? პაციენტი ყოველთვის იმას იღებს, რასაც ითხოვს?** >

ოტოპლასტიკა
ყურების ფორმის კორექციაა. ეს ოპერაცია ყურის დეფექტის გამოსასწორებლად ინიშნება ხოლმე. ადამიანს შესაძლოა, დაბადებიდანვე ჰქონდეს ზედმეტად გადმოწეული ან დიდი ზომის ყური, ნიჟარის სრული ან ნაწილობრივი განუვითარებლობა. ოტოპლასტიკა ყველა ამ დეფექტს წარმატებით უმკლავდება.

ტატუირების მოცილება
უახლესი ლაზერით



G.G. დღესდღეობით ტექნიკა იმდენადაა განვითარებული, რომ მოსალოდნელი შედეგების კომპიუტერული მოდელირება სირთულეს არ წარმოადგენს. ოპერაციამდე, წინასწარ კონსულტაციაზე, პაციენტი ისინჯება ქირურგის მიერ, შემდეგ ტარდება კომპიუტერული მოდელირება, ანუ ხდება სასურველი ზონისთვის ოპტიმალური ფორმის დაგეგმარება. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია როგორც პაციენტის სურვილი, ისე რეალური მონაცემებიც, რადგან ადამიანს შესაძლოა, გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდეს დარგის შესაძლებლობებზე. კომპიუტერული მოდელი ქირურგისთვის ერთგვარ სამუშაო გეგმას წარმოადგენს. კონსულტაციაზე პაციენტი შეიტყობს ოპერაციის მნიშვნელოვან დეტალებს, მიიღებს დეტალურ ინფორმაციას ოპერაციის მოსალოდნელ შედეგზე, შესაძლო გართულებებზე და მათი თავიდან აცილების გზებზე. ამის შემდეგ პაციენტი და ქირურგი უკვე „ერთ ენაზე" იწყებენ საუბარს და გაუგებრობებისგან და იმედგაცრუებებისგან, როგორც წესი, დაზღვეულები არიან.

ლიპოსაქცია

თეძოებზე, დუნდულებზე და მუცელზე დაგროვებული ზედმეტი ცხიმის მოცილება. ლიპოსაქციის მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ ზედმეტი ცხიმის მოცილება, არამედ სილუეტის კორექციაც. აუცილებელია, ვიცოდეთ, რომ ლიპოსაქციის შემდეგ არე, საიდანაც ამოტუმბეს ცხიმი, წონის მომატების შემთხვევაშიც კი არ იცვლის ფორმას. ლიპოსაქცია კეთდება მუცლის, თეძოების, ყელის, მხრების, მკერდის, ზურგის და წვივების არეებში. რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც შაქრიანი დიაბეტი, სისხლის შემადედებელი სისტემის დაავადებები ან ფილტვების და მუცლის ღრუს ორგანოების მძიმე დარღვევები აქვს.

მუცელი, როგორც რეკლამებშია... რინოპლასტიკის მსგავსად, მუცლის პლასტიკაც შეიძლება იყოს სრული და მცირე. ქირურგიული ჩარევის დროს, საჭიროების მიხედვით, ხდება ზედმეტი კანის მოცილება და დაჭიმვა. პროცედურა მომავალი დედებისთვის რეკომენდებული არ არის. ორსულობის დროს მუცლის ზრდას შესაძლოა პრობლემები მოჰყვეს. ოპერაციის შემდეგ ჭრილობაში ექიმი დრენაჟებს ტოვებს. 2-5 დღეში დრენაჟებს ხსნიან. ერთი თვის განმავლობაში აუცილებელია სპეციალური ბანდაჟის ტარება და 2-3 თვის განმავლობაში ფიზიკური დატვირთვის შემცირება. არ არის რეკომენდებული სიმძიმის აწევაც.

LVT – ქალური სექსუალურობის რევოლუციური საიდუმლო

LVT (Laser Vaginal Tighthening) – წარმოადგენს გინეკოლოგიის და ესთეტიკური მედიცინის მოწინავე ტექნოლოგიების შერწყმას და მიმართულია გარეთა სასქესო ორგანოების და საშოს ასაკობრივი ცვლილებების და დაქვეითებული სექსუალურობის აღდგენისკენ.

დრო და ასაკი – ეს ორი ფაქტორი ზემოქმედებს ყველა ადამიანის და პირველ რიგში, ყველა ქალის ცხოვრებაზე. ორგანიზმში მიმდინარე ბუნებრივი, ასაკობრივი ცვლილებები ხშირად დისკომფორტისა და ინტიმური დარღვევების მიზეზი ხდება. ასაკთან ერთად იცვლება ქალის სასქესო ორგანოების მდგომარეობა, უარესდება საშოს კედლების ტონუსი და ელასტიურობა (განსაკუთრებით მშობიარობის შემდეგ), მცირდება საშოს სეკრეცია, ვითარდება სიმშრალე, ქვეითდება აგზნებადობა, მგრძნობელობა. ხშირია საშოს გაღიზიანება, დისკომფორტი და ტკივილი სქესობრივი აქტის დროს, ძნელად მიიღწევა ორგაზმი.

ქალების 40-60 %–ს, მენოპაუზის პერიოდში, უვითარდება საშოს ჰიპოტროფია ან ატროფიული ვულვოვაგინიტი, რასაც თან ახლავს აქტიური სქესობრივი ცხოვრების დაქვეითება. გარდა ამისა, ასაკთან ერთად იცვლება გარეთა სასქესო ორგანოების ფორმა, ფერი, ვითარდება პიგმენტური ლაქები და ა.შ.

გარდა მშობიარობის და ასაკისა, ჭარბი წონა და ჰიპოდინამია, ასევე ასუსტებს მენჯის და საშოს კუნთების ტონუსს.

ამავე მიზეზებით ხშირია შარდის შეუკავებლობა ხველების, სიცილის და სტრესის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ უხერხულობა და სტრესი, სქესობრივი აქტის და ჰიგიენური პროცედურების დროს, არ არის ხილული სხვისი მზერისთვის, უცილობლად ამახინჯებს ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას და იწვევს ქალის თავდაჯერებულობის და თვითშფასების შემცირებას, სოციალურ დეზადაპტაციას.

თანამედროვე აქტიური ქალის ცხოვრების ხარისხს ყოველმხრივი ჯანმრთელობა განაპირობებს.

სქესობრივი სფეროს კორექციის მოთხოვნილება მთელს მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება. ეს მიუთითებს სქესობრივი სფეროს ნორმალიზაციის აუცილებლობაზე, თუმცა სასქესო ორგანობზე და საშოს პირვანდელი ზომებისა და ფორმის აღდგენის მიზნით ჩატარებული ოპერაციები საჭიროებს ხანგრძლივ რეაბილიტაციას. ზოგჯერ პროცედურას ახლავს დანაწიბურება, რაც დამატებით დისკომფორტს უქმნის პაციენტს.

ევროპელმა და ამერიკელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს სპეციალური ლაზერული აპარატურა და მეთოდიკა უოპერაციო ვულვო-ვაგინალური გაახალგაზრდავების მიზნით – LVT (Laser Vaginal Tighthening).

ქირურგიული ოპერაციებისგან განსხვავებით, ლაზერული ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, სასურველი შედეგები უსაფრთხოდ და ნაკლები დროის განმავლობაში, განსაკუთრებული მომზადების და ხანგრძლივი ანესთეზიის გარეშე იქნას მიღწეული. პაციენტი დაუყოვნებლივ უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს, რეაბილიტაციის პერიოდი კომფორტულია.

ვულვო-ვაგინალური ლაზერული გაახალგაზრდავება (LVT) ტარდება სპეციალური ერბიუმის ლაზერით, რაც გაცილებით უსაფრთხოა წინა წლებში გავრცელებულ CO2 ლაზერთან შედარებით და ქსოვილებზე მინიმალური ზემოქმედებით მიიღწევა მაქსიმალური თერაპიული ეფექტი.

პროცედურა ტარდება ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ, უმტკივნეულოა და იკავებს 40–50 წუთს.

პროცედურის შედეგად, კოლაგენის გაძლიერებული გამომუშავების და აღდგენის ხარჯზე, საშოს კუნთები იბრუნებენ პირვანდელ ელასტიურობას, იმატებს საშოს ტონუსი, აღდგება ქსოვილების მიკროცირკულაცია და ლორწოვანი იბრუნებს ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. შედეგად უმჯობესდება ეროგენული მგრძნობელობა, იმატებს ლიბიდო, უმჯობესდება კლიტორული და ვაგინალური ორგაზმი. იმატებს თვითშეფასების დონე და ფსიქოლოგიური კომფორტი.

რეაბილიტაციის პერიოდი, სხვა ლაზერებისგან განსხვავებით, 3–4 დღეა. ამ პერიოდში თავი უნდა შეიკავოთ სქსობრივი კონტაქტისგან, საუნის, საცურაო აუზის და ფიზიკური დატვირთვისგან.

პროცედურა წინააღმდეგნაჩვენებია მცირე მენჯის ორგანოების მწვავე ანთებითი ან ონკოლოგიური პათოლოგიების, სისხლის შედედების ფუნქციის დარღვევის, შაქრიანი დიაბეტის დროს, ორსულობის და ლაქტაციის, ასევე მშობიარობის შემდგომი პერიოდში (2 თვის განმავლობაში). პროცედურა არ ტარდება საშვილოსნოს ნაწილობრივი ან სრული გამოვარდნის დროს და 60 წ–ზე ზევით ასაკში.

ჩვენება პროცედურის ჩატარებისთვის:

– საშოს ატროფიული პროცესები;
– მშობიარობის შემდგომი ნაწიბურები;
– გარეთა სასქესო ორგანოების ესთეტიკური დეფექტები;
– საშოს მგრძნელობის დავეითება; >

პლასტიკური ქირურგია

საკმაოდ ფართო დარგია და მოიცავს რეკონსტრუქციულ ქირურგიასაც

– მშობიარობის შემდგომ საშოს პირვანდელი ზომების აღდგენა;
– 40 წლის ზემოთ ასაკი – საშოს რელაქსაციის სინდრომის პროფილაქტიკის მიზნით;
– საშოს ატონია და ვაგინალური რელაქსაციის სინდრომი;
– დიდი ზომის საშო.

I. **რის საშუალებას გვაძლევს LVT?**

G.G. სადღეისოდ, LVT – საუკეთესო მცირეინვაზიური და ამავე დროს ბუნებრივი მეთოდია გინეკოლოგიური დაბერების პროცესების საწინააღმდეგოდ.

ეს ინოვაციური მეთოდი საშუალებას გვაძლევს მოხდეს საშოს ლორწოვანის რეკონსტრუქცია, მისი მოცულობის, სიმკვრივის და ტენიანობის ადგენა გვერდითი მოვლენების, მკურნალობის ფარმაკოლოგიური მეთოდების და ტრადიციული ქირურგიული მეთოდების გამოყენების გარეშე.

პროცედურის შედეგად ლაზერული ზემოქმედების გამო, კოლაგენის ბოჭკოები მყისიერად იკუმშებიან თითქმის 2/3–ით, რის გამოც დამუშავებული ქსოვილი მკვრივდება და იკუმშება, იწყება ნეოკოლაგენეზის პროცესები, გამომუშავდება ახალი კოლაგენი, რასაც მოსდევს საშოს ატონიის შემცირება, ელასტიურობის მომატება, ვაგინალური რელაქსაციის სინდრომის ეფექტის შემცირება.

ტუჩები. დღეს სასურველი ფორმის ტუჩების გაკეთების მრავალი ხერხი არსებობს. თქვენთვის მისაღებს და შესაფერისს ინდივიდუალურ კონსულტაციაზე თავად შეარჩევთ. გადაწყვეტილების მისაღებად კი აუცილებელია იცოდეთ – რა გართულება შეიძება მოჰყვეს ამას? რამდენად უსაფრთხოა ტუჩის გაზრდა და რა უკუჩვენებები ახლავს პროცედურას!

ტუჩის კორექცია

საკმაოდ პოპულარული პროცედურაა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ ტუჩების ფორმის შესაცვლელად ოპერაცია იყო აუცილებელი, ამჟამად იმავე ეფექტის მიღწევა ინექციითაც (ნემსით) შეიძლება, თუმცა, გარკვეული დეფექტის აღმოსაფხვრელად ზოგჯერ მაინც დგება ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა.

გია გვარამია
კლინიკა

განიახლეთ
შეგრძნებები!

ტუჩის გასადიდებლად იყენებენ გელს, ბიოთავსებად პრეპარატებს, პაციენტისავე ცხიმს, სილიკონს და კონტურულ მაკიაჟს.

კონტური თავისი პრინციპით ძალიან ჰგავს სვირინგს. კონტურული (პერმანენტული) მაკიაჟის გაკეთებისას კანქვეშ სპეციალური ინსტრუმენტების მეშვეობით სხვადასხვა ფერის პიგმენტი შეჰყავთ. ეფექტი – 3–5 წლამდე ძლებს. ამ ხნის განმავლობაში პიგმენტი (შეფერილობა) თანდათან უფერულდება და საბოლოოდ – გაიწოვება. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ პერმანენტული მაკიაჟი ბუნებრივი, არაალერგიული მცენარეული პიგმენტით სრულდება, თუმცა, მიუხედავად ამისა ალერგიული რეაქციის ალბათობა მაინც არსებობს.

ტუჩის შევსება ბიოაქტიური პრეპარატით კიდევ უფრო უსაფრთხო მეთოდად არის მიჩნეული, რადგან მასალა, რომლის საფუძველზეც მზადდება პრეპარატი, ალერგიულ რეაქციას ნაკლებად იწვევს, ვიდრე საღებავი. წლის განმავლობაში ასეთი ნივთიერება გაიწოვება და ტუჩი პირვანდელ სახეს იბრუნებს. პროცედურა ტარდება ადგილობრივი გაუტკივარებით.

ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო მეთოდად ითვლება ტუჩის შევსება პაციენტის ცხიმოვანი უჯრედებით. ასეთ დროს შესაძლოა განვითარდეს შეშუპება, თუმცა ეს დროებითი მოვლენაა და რამდენიმე დღეში კანი დაცხრება.

გვერდითი მოვლენები: ინფექცია – სანდო და თავისი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტთან ეს გართულება, ფაქტობრივად, გამორიცხულია. ცხიმის შეყვანა ერთჯერადი ნემსით ხდება. ასეთ დროს კი ინფიცირება გამორიცხულია.

დღესდღეობით საკმაოდ დიდი მოთხოვნაა სილიკონის გამოყენებაზე. სილიკონი ბაგეებს სამუდამო ეფექტს აძლევს და ამ პროცედურას გვერდითი მოვლენები ფაქტობრივად არ ახასიათებს. ერთის გარდა – ასაკის მატებასთან ერთად ტუჩები ცოტათი არაბუნებრივად გამოიყურება. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი ისაა, რომ სილიკონი არ გაიწოვება დროებითი პრეპარატების მსგავსად და თუ შედეგმა არ დაგაკმაყოფილათ, მაშინ ექიმთან ხელმეორედ მისვლა მოგიწევთ. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, კარგ სპეციალისტთან წინასწარი დეტალური კონსულტაციის და კომპიუტერის დახმარებით სასურველი ფორმის შერჩევის შემთხვევაში ამ უსიამოვნებისგანაც დაზღვეული იქნებით.

LVT ოპერაციის გარეშე:

ა) ამცირებს საშოს ზომას 20%-მდე; ბ) ზრდის საშოს მგრძნობელობას 95%-მდე; გ) ზრდის ორგაზმის დროს შეგრძნებებს 57%-მდე; დ) ამკვრივებს საშოს კედლებს და ხელს უწყობს ნეოკლაგენეზის პროცესს; ე) მკურნალობის კურსი 2–3 სეანსია, 3–4 კვირის ინტერვალით.

ესთეტიკური მედიცინის მსოფლიო ექსპერტებმა LVT აღიარეს როგორც ინტიმური პლასტიკური ქირურგიის ალტერნატივა, ჭეშმარიტად გამაოცებელი და შთამბეჭდავი შედეგებით.

I. რას ურჩევდით ჩვენს მკითხველ ქალბატონებს? რა არის საჭირო სილამაზისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად?

G.G. ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა – ეს სიტყვები მუდმივად გვესმის, თუმცა ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მანამ, სანამ რაიმე პრობლემის წინაშე არ დგება. უმეტესწილად, გვიან ვხვდებით დაშვებული შეცდომების ფასს და სინანულით ვამბობთ – კარგი იქნებოდა ნაკლები მომეწია, მეტი მევარჯიშა. გაუფრთხილდით უძვირფასეს – თქვენს ჯანმრთელობას! ადრეული ასაკიდანვე იზრუნეთ ჯანმრთელობაზე და მისდიეთ ცხოვრების ჯანსაღ წესს!

ნინო ლომიძე

ჯანსაღი კვება = ჯანსაღ სხეულს

როგორ დავემშვიდობოთ არასწორი კვების ან უმოძრაობის შედეგად მიღებულ ზედმეტ კილოგრამებს? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჯანმრთელობასაც არ მივაყენოთ ზიანი და ამასთან, სწრაფად ჩავდგეთ ფორმაში? სტატიაში სწორედ ამ საკითხებზე გვექნება საუბარი.

წონა და ჯანმრთელობა

პირველ რიგში, იმ რისკებზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც ჭარბ წონას თითქმის ყოველთვის ახლავს თან. გარდა კოსმეტიკური და ესთეტიკური პრობლემისა, რაც ხშირად დეპრესიას, ჩაკეტილობას, კომპლექსებს აყალიბებს, სიმსუქნე უამრავ დაავადებასთან ასოცირდება: გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რეპროდუქციული ასაკის ქალბატონებში შვილოსნობასთან დაკავშირებული პრობლემები, შაქრიანი დიაბეტისა და ლიპიდური ცვლის დარღვევის რისკები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, ხერხემლისა და სახსრების დაზიანებები – ეს ყველაფერი არასრული ჩამონათვალია იმ „სიკეთეებისა“, რაც წონის მატებასთან ერთად იჩენს თავს. ამ მიზეზებს დამატებული ვიზუალური ეფექტი საკმარისი საბაბია მოტივაციისთვის. რატომ არ უნდა დავნებდეთ ჭარბ წონას – უკვე ვიცით. ახლა იმაზე ვიზრუნოთ, როგორ მოვიშოროთ საძულველი ზედმეტი წონა.

საჭირო გზებისა და სტრატეგიების შერჩევამდე აუცილებლად უნდა გამოვავლინოთ ზედმეტი წონის წარმოშობის მიზეზი. მნიშვნელოვანია, დროულად დადგინდეს – სიმსუქნე პირველადია, უმოძრაობით, ჭარბი საკვების მიღებითა და არასწორი ცხოვრების წესითაა განპირობებული, თუ რომელიმე ენდოკრინული პათოლოგიის ბრალია. წონის მომატება ხშირად თან სდევს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებას. ამ დროს ადამიანი, რაც არ უნდა სწორად იკვებებოდეს, მაინც მოიმატებს. იგივე შეიძლება ითქვას თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგიებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოკვლევის შედეგებს მკურნალობისთვის და წონის შემცირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. >

PHOTO: Patrick Demarchelier for Vogue russia
30
КУДА ЕХА
ХУДЕТ
МОЛОД
И ХОРО
ISSN 1560-2
1560 252000

ნუ ენდობით თქვენთვის უცნობ წყაროებს, რჩევებს და მაცდურ სარეკლამო მოწოდებებს, ჯადოსნური აბებისა თუ ტრენაჟორების შესახებ, რომლებიც ერთი კვირის შემდეგ წარმოუდგენელ შედეგებს გთავაზობენ.

სტრატეგიები

ალბათ, ყველას აინტერესებს რამდენად რეალურია ამ პრობლემასთან დამოუკიდებლად, სპეციალისტების ჩარევის გარეშე გამკლავება? ერთნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ამ კითხვაზე რთულია, რადგან გასათვალისწინებელია უამრავი ფაქტორი: ადამიანის ნებისყოფა, მისი განათლება სამედიცინო სფეროში, პასუხისმგებლობა და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი. ასეთ დროს მნიშნელოვანია, სწორად შეაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები და თავად გადაწყვიტოთ, რა სტრატეგიას აირჩევთ – ექიმთან და სხვა სპეციალისტებტან ვიზიტებს დაგეგმავთ თუ თავად შეიარაღდებით „რკინის ქალამნებით" და გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანთ. რა გზასაც არ უნდა დაადგეთ, უნდა გახსოვდეთ:

ყვითელ პრესაში, ბულვარულ ჟურნალ–გაზეთებში და საეჭვო რეპუტაციის მქონე საიტებზე ხარისხიანი ინფორმაციის მოპოვება წარმოუდგენელია. ნუ ენდობით თქვენთვის უცნობ წყაროებს, რჩევებს და მაცდურ სარეკლამო მოწოდებებს, ჯადოსნური აბებისა თუ ტრენაჟორების შესახებ, რომლებიც ერთი კვირის შემდეგ წარმოუდგენელ შედეგებს გთავაზობენ. ასევე დაუშვებელია ახლობლების, ნათესავების, მეზობლებისა და მეგობრებისთვის შედგენილი ინდივიდუალური დიეტის საკუთარ თავზე მორგებაც. გახსოვდეთ, სპეციალისტები ყველა კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით არჩევენ კვების რაციონს გარკვეული ადამიანებისთვის და ის, რაც მოუხდა ნაცნობს თუ მეგობარს, შესაძლოა, არ გამოგადგეთ თქვენ.

ასევე დაუშვებელია შიმშილობა, სამ, ხუთ და ათდღიანი „ერთჯერადი" დიეტების დაცვა, წონაში სწრაფად დაკლების მიზნით. ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება უარყოფითად აისახება ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორგანიზმს აქვს უნარი შიმშილის დროს რაც შეიძლება ნაკლები ენერგია გასცეს, ეს კი ნიშნავს, რომ როგორც კი საკვების რაოდენობას მკვეთრად შევამცირებთ, ორგანიზმი ენერგიის ხარჯვის ეკონომიურ რეჟიმზე გადაერთვება და მცირე რაოდენობის საკვებიდანაც შეეცდება რაც შეიძლება მეტი „შეირგოს" და შეითვისოს.

ვჭამ იმისთვის, რომ ვიცოცხლო და არ ვცხოვრობ იმისთვის, რომ ვჭამო!

სოკრატეს ეს სიტყვები მშვენიერი ეპიგრაფი და დევიზია იმათთვის, ვინც სწორედ ახლა გადაწყვიტა ჭარბ წონასთან გამკლავება. ფსიქოლოგიური განწყობა, მოტივაცია და ემოციური ფონი უმნიშნელოვანესი სტიმულია მიზნის მიღწევის რთულ გზაზე. რამდენჯერ გქონიათ შემთხვევა, რომ ორშაბათიდან, ხვალიდან ან მომავალი კვირიდან დაგიგეგმავთ ცხოვრების ჯანსაღ წესზე გადასვლა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო განუსაზღვრელი მომავლისთვის გადაგიდიათ? ასე რომ არ მოხდეს, კიდევ ერთ ბრძნულ გამონათქვამს შეგახსენებთ: ძველი ჩინელები ამბობენ – ათი ათასი ლიეს გზა იწყება – ერთი ნაბიჯით. გადადგით ეს ერთი ნაბიჯი ახლა და დაუყონებლივ, ნუ დაელოდებით მისტიკურ ორშაბათს და სხვა ხელსაყრელ დროს ჯანმრთელობის აღსადგენად. დაიწყეთ რთული, დაბრკოლებებით და საცდურებით სავსე ათი ათასი ლიეს მანძილი თუნდაც, სტატიის დასრულებისთანავე.

ჯანსაღი კვება– ბალანსირებული რაციონი

ჯანსაღი კვება გულისხმობს პროდუქტების მრავალფეროვნებას, ბალანსირებულ რაციონს, გემრიელი და ამასთანავე სასარგებლო კერძების ჩართვას ყოველდღიურ მენიუში. სწორი კვება საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ ქრონიკული დაავადებების რისკი, შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და მიმზიდველი გარეგნობა, დავრჩეთ მოხდენილები და გამოვიყურებოდეთ ახალგაზრდულად.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ადვილად მოახერხებთ, თუ სისტემატურად იქნებით დაკავებული იმ ფიზიკური აქტივობით, რაც ყველაზე მეტ სიამოვნებას გგვრით. ამ მხრივ ცურვა, ველოსპორტი, აერობიკა და სპორტ დარბაზები შეუცვლელი მეგზურებია. არ დაიზაროთ, არ გადადოთ ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც ახლავე შეგიძლიათ, დაიწყეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ახლავე და ისიამოვნეთ ჯანსაღი სხეულით!

ნინო ლომიძე

5 რჩევა

თუ როგორ მოვიდეთ ფორმაში გაზაფხულისთვის

ზამთარში დაგროვილი ზედმეტი წონის მოშორება ყველას სურს. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს ისე, რომ დიეტებით ორგანიზმი არ დავაზიანოთ? დიეტოლოგები და ფიტნესინსტრუქტორები პრიორიტეტად რამდენიმე მეთოდს მიიჩნევენ...

1 JOGGING

ჯოგინგი ჩვეულებრივი სირბილის განვითარებული ვერსიაა, რომელიც უფრო მეტად იცავს ადამიანის ჯანმრთელობას. მთავარი პრინციპი არის არა ის, თუ რამდენად სწრაფად გაირბენთ მანძილს, არამედ დისტანცია - რაც მეტია კილომეტრების რაოდენობა, მით უფრო სწრაფად დაკარგავთ ზედმეტ კილოგრამებს. ჯოგინგით დაკავება შეგიძლიათ როგორც სპორტულ დარბაზებში, ისე პარკებში, სტადიონებზე, ან უბრალოდ ეზოში. გაითვალისწინეთ, რომ სირბილი არამხოლოდ გახდომაში გეხმარებათ, არამედ აჯანსაღებს მთელ სხეულს.



2 LATIN-AMERICAN DANCES

ლათინო-ამერიკული ცეკვების სავარჯიშოს შესრულება განსაკუთრებით კარგად აისახება ხერხემალსა და მუცლის პრესზე; ასევე კარგია ფეხის კუნთებისთვისაც. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თქვენს სხეულს მოიყვანს ფორმაში და გახდის ბევრად უფრო პლასტიურს. ამასთან ერთად, მთელი დღის განმავლობაში გაგყვებათ კარგი განწყობილება და ენერგიულობა

სავარჯიშოს ხანგრძლივობა: 60 წუთი.

3 AQUA-AEROBIC

აქვააერობიკის სავარჯიშოს შესრულების დროს მუშაობს კუნთოვანი ქსოვილების უმეტესობა. ვარჯიში მიმდინარეობს აუზში, ენერგიული მუსიკის ფონზე და მოიცავს მრავალგვარ მოძრაობებს. მნიშვნელოვანია, რომ წყლის პროცედურები არამარტო ამკვრივებს სხეულს, არამედ გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი საშუალება, დაემშვიდობოთ ცელულიტს და ზედმეტ კილოგრამებს. ასევე აუმჯობესებს იმუნურ სისტემას, და როგორც უცხოელი ექსპერტები წერენ, სასარგებლოა ორსულებისათვის.

ვარჯიშის ხანგრძლივობა: 45 წუთი.

4 STEP AEROBICS

სთეფაერობიკა დინამიკური სავარჯიშოა, რომელიც უზრუნველყოფს თქვენი ფიგურის წესრიგში მოყვანას და ამავდროულად ძალიან სასარგებლოა გულისა და სასუნთქი სისტემისთვის. უმჯობესია, სთეფაერობიკა შეასრულოთ ენერგიული, მხიარული მუსიკის თანხლებით. ეს სავარჯიშო წაადგება თქვენს მუცლის პრესსაც.

ვარჯიშის ხანგრძლივობა: 60 წუთი.

5 TAE BO

ტაიბო აზიელი სპეციალისტების მიერ შემუშავე-ბული ფიტნეს პროგრამა დინამიკური მოძრაობების ერთიანობაა: აერობიკის, ბოქსის, ტაიკვანდოსი... ეს სავარჯიშოები დაგეხმარებათ, მოიხსნათ სტრესი და გააჯანსაღოთ ორგანიზმი. ძალიან კარგია სისხლძარღვებისათვის და ცხიმოვანი ადგილების გამკვრივებისთვის

ვარჯიშის ხანგრძლივობა: 45 წუთი.

FlitMedia publishing house

• MAGAZINE FOR SMART, STRONG AND TASTEFUL MEN •

WINTER ISSUE

AVON
the company for women

შენ ალამაზებ სამყაროს

ჩვენ მუდამ ძიების პროცესში ვართ, ვეძებთ უცხო, გამორჩეულ ფერებსა და სურნელს, არჩევანს უამრავ ნივთებს შორის იმ ერთადერთზე ვაკეთებთ, რომელიც მუდამ ჩვენი გახდება...

MAKEUP SETTING SPRAY

სპრეი მაკიაჟის სასაფიქსირებლად უნაკლოდ იცავს მაკიაჟს. მსუბუქი ფორმულა თანაბრად ფარავს სახეს, არ ტოვებს კვალს. შეიცავს A, C და E ვიტამინებს. გამოიყენეთ როგორც მაკიაჟის დამასრულებელი შტრიხი.

ეივონი

კომპანია ქალებისათვის

GLIMMERSTICS

წარბების ფანქარი

ფერი: მუქი ყავისფერი

CC CREAM

დამატენიანებელი მაკორექტირებელი საშუალება ტონალური ეფექტით, რომელიც აკორექტირებს კანის ყოველგვარ ნაკლოვანებას.

ფერი: ბეჟი

ULTRA GLIMMERSTICKS

ტუჩის ფანქარი

ფერი: კანისფერი

GLIMMERSTICK DIAMONDS

თვალის ფანქარი

ფერი: ქლიავისფერი

ALWAYS ON POINT

თვალის ფანქარი

ფერი: შავი

IDEAL FLAWLESS

სახის კანის კორექტორი იდეალურად ფარავს კანის ყოველგვარ ნაკლოვანებას

ფერი: ღია კანისფერი

AEROVOLUME

დამატენიანებელი წამწამების ტუშის სპეციალური ფორმულა ბოჭკოებით აორმაგებს წამწამების მოცულობას მათი ყოველგვარი დამძიმების გარეშე, ხოლო ინოვაციური დიზაინის ფუნჯი უზრუნველყოფს წამწამების მაქსიმალურ განცალკევებას.

ფერი: შავი

AVON GLOW

ბურთულებიანი რუჟი გასაოცარ ოქროსფერ ტონს ანიჭებს ლოყებს.

სახის კანის რუჟი

ლოყებს ანიჭებს ჯანმრთელ ფერს, აბრეშუმისებრი ტექსტურა ხელს უწყობს იდეალურ აპლიკაციას.

ფერი: კლასიკური

PERFECT KISS

ტუჩსაცხი

ფერი: ტუჩისფერი

MAGIX

სახის კანის ფუძე იდეალურად ათანაბრებს კანის ფერს.

თვალის წყალშეუღწევადი ფუძე

თვალის ოთხფერიანი ჩრდილი

ფერი: იისფერი

თვალის ორმხრივი ფუნჯი სპონჭით

უზრუნველყოფს ჩრდილების თანაბრად წასმას.

სახის ფუნჯი

სიგრძე: 18,3 სმ

რუჟის წასასმელი ფუნჯი

სპეციალური ფორმის დახმარებით ფუნჯი თანაბრად ანაწილებს რუჟს სახეზე.

სიგრძე: 17,5 სმ

თვალის ოთხფერიანი ჩრდილი

ფერების მდგრადობა ხელს უწყობს თვალის პროფესიონალური მაკიაჟის გაკეთებას

ფერი: მოკა

თვალის ოთხფერიანი ჩრდილი

ფერი: ბუნებრივი სილამაზე

5 მაკიაჟის ფონი

მათთვის, ვინც მას ვერ იტანს

მაკიაჟის უამრავი არატრადიციული ფონი არსებობს, რომელიც ადვილია გამოსაყენებლად და რაც მთავარია, უნაკლოდ და შეუმჩნევლად ედება თქვენს კანს. წარმოგიდგენთ 5 ვარიანტს, რომლებიც დაგიბრუნებთ რწმენას მაკიაჟის ფონთან მიმართებაში.

NARS
Radiant Cream
Compact Foundation

მოდის ბევრი რედაქტორის საყვარელი პროდუქტი გახდა და ამის მიზეზიც არსებობს. მისი კრემისმაგვარი ფორმულა არასდროს ედება კანს სქელ ფენად და ძალიან ადვილია წასასმელად. მრავალჯერადი გამოყენების შეფუთვას მოყვება ღრუბლები, თუმცა სტრატეგიული დაფარვისთვის ფუნჯი ბევრად მოსახერხებელია.

ფერი: 20

AMORE PACIFIC
Cushion Compact

ცოტა ძნელია მისი აღწერა. აპლიკატორი შეფუთვის ღრუბლისმაგვარ ძირს უნდა დააჭიროთ და პროდუქტიც მოგეწოდებათ. წარმოუდგენლად მსუბუქი და გამჭვირვალეა.

ფერი: 4

L'OREAL PARIS
Magic Nude Liquid Powder

ეს სწორედ ის პროდუქტია, რომელმაც ათვალწუნებული მაკიაჟის ფონისკენ ისევ მიმახედა. ის მართლაც ჯადოსნურია. ბევრად თხელია, ვიდრე ტრადიციული ფონი და გაშრობისას მსუბუქ, აბრეშუმისმაგვარ ტექსტურას იძენს. დიდი ნაწილების დასაფარად სულაც არ გჭირდებათ დიდი რაოდენობა.

ფერი: 12

ARMANI
Maestro

ეს არის მაკიაჟის ფონი მათთვის, ვისაც სძულს მაკიაჟის ფონი. ის ძალიან გავს L'Oreal-ის ნაკლებ ძვირიან ვერსიას, თუმცა ბევრად უფრო მდიდრულია და მისი აპლიკატორი მნიშვნელოვნად ამცირებს ნარჩენებს.

ფერი: 18

LORAC
Touch Up to Go
Concealer/Foundation Pen

ეს არაჩვეულებრივი პატარა ინსტრუმენტი უაღრესად პოპულარული ფუნჯიანი ტონალური კრემების უფრო დიდი ვერსიაა, ოღონდ მას მსუბუქი ფორმულა აქვს, რაც საშუალებას გაძლევთ, გამოიყენოთ სახის სრულად ან ცალკეული ადგილების დასაფარად. ძალიან ადვილი სატარებელია.

ფერი: 12

ego Elit Club

GEORGIA

2014 წლის გაზაფხული/ზაფხულის თმის აქსესუარების ტენდენციები

იდეალურ გარეგნობაზე საუბრისას ყველა დეტალს თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს, თუ სასურველი ეფექტის მიღწევა გსურთ. გათვალისწინებული უნდა იყოს ყველაფერი, დაწყებული ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილით, როგორიც სამოსია და უმცირესით დასრულებული, როგორიც აქსესუარები და დიზაინის სხვა ელემენტებია. ვარცხნილობა ამ სიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია, განსაკუთრებით კი შესაბამისი დეტალებით გაფორმებული ვარცხნილობა. შესაბამისად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ **2014 წლის გაზაფხული/ზაფხულის ტენდენციებში აშკარად შეიჭრა ბრწყინვალე სიახლე**, რომელიც განსაკუთრებით კარგად თმის აქსესუარებში გამოიხატება. ამ მოტივების მთავარი ფილოსოფია მშვიდი და უდარდელი დამოკიდებულებაა, რომელმაც ძალიან მარტივ, მაგრამ საყვარელ და ქალურ იერს დაუდო საფუძველი. ამ იერის შესაქმნელი მეთოდები და ტექნიკა ძალიან მრავალფეროვანი და შემოქმედებითია – გასული ტრადიციების კარგ გადათამაშებას გულისხმობს, ახალ ინტერპრეტაციებთან ერთად. სტილი, რომელსაც ეს საშუალებები ქმნის, ძალიან მრავალფეროვანია.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲯᲘ

ბრტყელი სარჯის სახეცვლილი ვერსია ეფექტური და მშვენიერი ვარცხნილობების შექმნის კიდევ ერთი საინტერესო საშუალებაა. ეს ჯადოსნური იერი ZAC POSEN-ის კოლექციის ყურადღების ცენტრში მოექცა. დიზაინერმა წარმატებით შეძლო ყვავილების ბაღით შთაგონებული თემა ფერიებს მიმსგავსებული მოდელების გარეგნობის მთავარ ატრიბუტად ექცია.

ᲛᲮᲘᲠᲔ ᲗᲝᲛᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲐᲥᲪᲔᲡᲣᲐᲠᲔᲑᲘ

ეს ყვავილების თემის გამოყენების ყველაზე მიმზიდველი ხერხია. ტენდენცია განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი HONOR-ის კოლექციაში, სადაც ფერადი ყვავილების ნაბი წინწკლები ზღაპრულ იერს ქმნის და ქალური ვარცხნილობის ძალიან შთამბეჭდავ მაგალითებს გვთავაზობს.

ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲒᲓᲐᲡᲐᲠᲐᲕᲘ

ყვავილების თემატიკის დემონსტრირების ყველაზე ცხადს მეთოდს EMERSON-ი გვთავაზობს. აქ უზარმაზარი ყვავილების მორთულობა, რომელიც ყველაზე ხშირად იასამნისფერია, შავ-თეთრი საბოსის სრულყოფისთვის გამოიყენება. ყვავილოვანი დეტალები მომრგვალებულია და უამრავი პაწაწინა ყვავილის ერთიანობით არის შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარიანტი არცთუ ისე შესაფერისია ხშირი გამოყენებისთვის, ნამდვილი გარანტიაა იმისა, რომ აუცილებლად მიიპყრობთ „ყურადღებას“ ნებისმიერ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რომელზეც არაჩვეულებრივად უნდა გამოიყურებოდეთ.

ᲰᲘᲞᲣᲠᲘ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ: ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲖᲘᲛᲓᲕᲔᲚᲘ!

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ეს არაჩვეულებრივი ჰიპური ინტერპრეტაცია, რომელიც ANNA SUI-ს კოლექციაში გვხვდება. ეს არის სახვევების ბოჰემური ფორმა, რომელიც ყვავილებითაა მორთული და იდეალურად ეხამება მოოქროსფრო თმის ტალღოვან ვარცხნილობას.

ყვავილიანი სარჭი: პრაქტიკული და ლამაზი

ყვავილების თემის თმის აქსესუარებში გადმოტანის კიდევ ერთი ხერხია მათი სარჭებზე დამაგრება, რომლებიც ძალიან მოსახერხებელია სხვადასხვა ვარცხნილობის, ახალი და განუმეორებელი იერის შესაქმნელად. ასეთი ალტერნატივების მაგალითები **JENNY PACKHAM**-ის კოლექციაში მოიძებნება. აქ ეს ტექნიკა სქელი და ძალისცხმევის გარეშე მიღებული ვარცხნილობისთვის დამატებითი აქცენტის მისაცემად არის გამოყენებული.

უკრძესად ძალური და ძალიან ლამაზი ყვავილებული ვერტების აქსესუარები

DOLCE&GABBANA-სგან ყველაზე შემდეგი ინტერპრეტაცია ყვავილების თემის ძალურ ვარიანტებად მოიაზრება. ასეთი აქსესუარები ელეგანტური კომპანიმენტია. აქ ყვავილები დელიკატური მორთულობაა, რომელსაც ანტიკურ ბერძნულ და რომაულ დროში გადავყავართ რომანტიკული განწყობით და გაბაფულის ელემენტებით.

ოქროს ციებ-ცხელება

ამ სეზონის კიდევ ერთი ყველაზე პოპულარული ტენდენცია ოქროსფერი დეტალების გამოყენებაა, რაც შესანიშნავ მდიდრულ კომპოზიციებს ქმნის შესაბამის სამოსთან კომბინაციაში.



მცირეოდენი ოქრო დიდი ეფექტისთვის

DRIES VAN NORTEN-მა კომპოზიციაში ოქროსფერი ბრწყინვალების გამოყენების მდიდრული და მიმზიდველი გზების ახალი და უნიკალური ინტერპრეტაცია მოიფიქრა. ოქროსფერი დეტალები მან პატარა და თხელ ბოლებად მოდელების თმას გაავოლა, რამაც ვარცხნილობას ბრწყინვალების შესამჩნევი ხიბლი შესძინა.

“primeclass” CIP სამსახური
თქვენი პირადი
დამხმარე აეროპორტში

ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას

მებარგულის
მომსახურება

პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას

პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები

TAV
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

YOUNG VISION AWARD 2012 VOGUE X TALENTS

ინტერვიუ
ნინო სეფიაშვილთან

NINO SEP

INTERVIEW. **როდის გადადგით მოდის სფეროში პირველი ნაბიჯები?**
NINO SEPIASHVILI. მოდა ყოველთვის მაინტერესებდა და ხელოვნების სფეროსთანაც ყოველთვის მქონდა შეხება. მამაჩემიც არტისტია და თუნდაც ამიტომ, ეს სფერო არ ყოფილა ჩემთვის უცხო. სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, მედიახლოვნებაზე. მოგვიანებით მოდის სფეროს შესწავლა დავიწყე, რადგან ე.წ. „ფეშენი" ყოველთვის მიზიდავდა.

I. **ჟურნალმა Vogue-მა თავის ტალანტად დაგასახელათ. როგორ აღმოჩნდა თქვენი ნამუშევრები ამ გამოცემის რედაქტორებთან?**
N. S. აკადემიაში სადიპლომო ნამუშევარი გავაკეთე, სახელწოდებით „კავკასიური ჩარჩო", რომელიც საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა. ეს იყო არამარტო მოდა, არამედ არტიც. ნამუშევრები Fashion Week-ზეც გაიტანეს და მედიამაც გააშუქა. ერთ დღესაც, პროექტი იტალიური Vogue-ის რედაქტორს, სარა მაინოს, გადავუგზავნე, რომელმაც მომწერა, რომ ძალიან მოეწონა. 8 თვის შემდეგ კი შემატყობინეს, რომ „კავკასიური ჩარჩო" წლის ერთ-ერთ საუკეთესო პროექტად დასახელდა.

I. **როგორ ფიქრობთ, რითი დააინტერესეთ Vogue?**
N. S. კონცეფციით. ჩემი პროექტი შეეხებოდა თანამედროვე კავკასიელ ქალებს, რომლებიც ჩარჩოში არიან მოქცეულები და ვერ თავისუფლდებიან, ვერ ახდენენ ბოლომდე ინტეგრაციას დასავლურ სივრცესთან. უნდათ, ცდილობენ, მაგრამ რაღაც აბრკოლებთ. სწორედ ეს არის კავკასიური ჩარჩო. Vogue-ს მსგავსი სივრცეები ძალიან აინტერესებს, თუნდაც კავკასია, თუნდაც აღმოსავლეთი. რაღაც თვალსაზრისით, ეს სივრცეები ინკუბატორებია. მათ აინტერესებთ, ვინ ხარ და როგორ განვითარდები, რის კეთებას შეძლებ მათ სოციუმში, როდესაც შენს სივრცეში რაღაცის შექმნა უკვე მოახერხე.

ჩემ შთაგონების წყაროდ იქცნენ

კავკასიელი ქალები

რომლებმაც ძალიან მძიმე პერიოდი გაიარეს ...

I. ძირითადად რაზე მუშაობთ – არტზე თუ მოდის დიზაინზე?
N. S. ალბათ, უფრო ინსტალაციებს ვაკეთებ. ჩემი ბოლო ნამუშევარია „რეინკარნაცია;" წარმოვადგინე ჩემი შექმნილი კოსტიუმი და ამავე თემაზე ვაჩვენე ვიდეო, რომელშიც მამაჩემის სკეჩებიც მქონდა გამოყენებული. ეს იყო მოდა, როგორც მოძრავი ობიექტი.

I. რომელი იყო პირველი მასშტაბური ექსპოზიცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეთ?
N. S. ლონდონის მოდის კვირეულის ფარგლებში სამხატვრო აკადემიამ მოაწყო შოუ-ქეისი, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული კოსტიუმების რეკონსტრუქცია. საქართველო იყო ერთ-ერთი იმ 27 ქვეყანას შორის, რომელიც ამ ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. ჩემ გარდა შოუქეისში კიდევ 7 დიზაინერი წარმოადგენდა საკუთარ ნამუშევრებს. ჩვენებას დიდი გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ჩვენთან კონცეფტუალურ მოდასა თუ არტს ძალაინ კარგი ნიადაგი აქვს და ამ ყველაფერს განვითარება სჭირდება.

I. რა არის თქვენი ინსპირაციის წყარო?
N. S. „კავკასიური ჩარჩოს" მაგალითზე გეტყვით, რომ ჩემ შთაგონების წყაროდ იქცნენ კავკასიელი ქალები, რომლებმაც ძალიან მძიმე პერიოდი გაიარეს და, რაღაც თვალსაზსირით, კავკასია გადაარჩინეს. ეს ქალები დღეს ვერ ახერხებენ ბოლომდე >

ჩვენთან
კონცეფტუალურ

მოდასა თუ არტს

ძალაინ კარგი
ნიადაგი აქვს

დასავლეთთან ინტეგრაციას. გამოცდილებები კი ილექება და ქალებსაც უჭირთ მათგან თავის დაღწევა. დასავლეთი უცბად შემოიჭრა ჩვენთან და ქალებმაც გააცნობიერეს, რომ არიან ამ კულტურის ნაწილი, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ მოახერხეს ყველაფრის შესისხლხორცება.

***I.* რამდენად დიდია მამათქვენის გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?**

N. S. როდესაც ერთ ოჯახში ორი ხელოვნების პროდუქტი იქმნება, შეუძლებელია, მათ ერთმანეთზე გავლენა არ ჰქონდეთ. ვინც მამაჩემის შემოქმედებას იცნობს, მიხვდება, რომ ჩვენს ნამუშევრებს კავშირი ნამდვილად აქვთ. თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სივრცეებში ვმუშაობთ და ერთად არაფერს ვქმნით.

I. სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ? რამდენად ადვილია თქვენს სფეროში კარიერის გაკეთება საქართველოში?

N. S. ძალიან რთულია, რადგან, პირველ რიგში, ფინანსური თვალსაზრისით ეს სფერო ძალიან არამომგებიანია. არ არსებობს მოდის ინდუსტრია, რადგან ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს. ხალხი პირველადი მოხმარების საგნების შეძენას ძლივს ახერხებს, დიზაინერის პროდუქტზე ხომ საუბარიც ზედმეტია. რაც შეეხება შეძლებულ ფენას, მათ ურჩევნიათ, რომელიმე ცნობილი ბრენდის ნაწარმი შეიძინონ, ვიდრე დიზაინერს მისცენ შეკვეთა.

ამჟამად, ერთ-ერთი ფრანგული გამოცემის, Image Noire-ისთვის ვმუშაობ და Georgian Art Platform-ს ვაშუქებ, ანუ იმას, თუ რა ხდება ქართულ არტსივრცეში. საინტერესო სამუშაოა, რადგან ძალიან ბევრ ნიჭიერ ადამიანს ვხვდები, რომლებსაც განვითარების დიდი პოტენციალი აქვთ.

სამომავლოდ რას ვიზამ არ ვიცი, განსაკუთრებით კი ადგილობრივ სივრცეში. ალბათ უცხოეთში წავალ და ვიმუშავებ როგორც არტისტი.

დათო ფარულავა



რა გავლენას ახდენენ ფერები ჩვენზე

ფერების სიმბოლიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ადამიანები უძველესი დროიდან საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ფერთა ენის გაშიფრვას. ამის ამოკითხვა შეგვიძლია უძველეს მითებში, ხალხურ თქმულებებში, ზღაპრებში და ასე შემდეგ. მაგალითად, ასტროლოგიაში შვიდი ძირითადი ფერი ასოცირდება შვიდ პლანეტასთან: წითელი – მარსი, ლურჯი – ვენერა, ყვითელი – მერკური, მწვანე – სატურნი, ალისფერი – იუპიტერი, სტაფილოსფერი – მზე, ხოლო იისფერი – მთვარე. ამასთან ერთად, ფერები ასოცირდებიან არამხოლოდ პლანეტებთან და მათ ზემოქმედებასთან, არამედ ადამიანის სოციალურ მდგომარეობასთან, გარკვეულ ფსიქოლოგიურ თავისებურებასთან. ეს მკვეთრად იგრძნობა სხვადასხვა ნაციონალურ კოსტიუმებსა და რიტუალებში. გარკვეულ ერებს თავისი შეხედულება ჩამოუყალიბდათ ფერთა სიმბოლიკასთან დაკავშირებით. ინფორმაციამ ჩვენამდეც მოაღწია.

უძველესი დროიდან ადამიანები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ წითელი ფერის მიმართ. ზოგიერთ ენაში ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება წითელი და ყველაფერი ლამაზი, მშვენიერი. პოლინეზიელები ამ სიტყვით მოიხსენიებენ სატრფოს, ჩინელები გულახდილ, გულწრფელ ადამიანს წითელ გულს ეძახიან, ხოლო ბოროტსა და არასანდოს – შავს.



La fuite des nymphes
(ფრაგმენტი),
Henri-Edmond Cross
ზეთი, ტილო, 73x92 სმ
1906
Musée d'Orsay

წითელი ფერი, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება ცეცხლთან და სისხლთან. მისი სიმბოლური მანიშნებლები საკმაოდ მრავალმხრივი და ურთიერთგამომრიცხავიც კია. თუ ერთი მხრივ წითელი ასოცირდება სიხარულთან, სილამაზესთან და სიყვარულთან, მეორე მხრივ იგივე ფერით გამოიხატება შუღლი, შურისძიება და ომი. წითელ ფერს უძველესი დროიდან უკავშირებენ აგრესიას და სექსუალურ მოთხოვნილებებს.

საინტერესოა რომ აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის გარკვეული ტომები ბრძოლაში წასვლის წინ სხეულს და სახეს წითლად იღებავდნენ. კართაგენელები ბრძოლის მსვლელობისას წითელ აბჯარს ხმარობდნენ. ძველ ბიზანტიაში მხოლოდ დედოფალს ჰქონდა უფლება, წითელი ფეხსაცმელი ცმოდა, იმპერატორი კი ბრძანებას ყოველთვის ალისფერი მელნით წერდა. მისი ტახტი მეწამული ფერის იყო.



აფრიკულ თქმულებებში

ნაყოფიერების სიმბოლო სწორედ შავია.

თეთრი ფერი სისუფთავის, უმწიკვლოების, სიკეთის და სიხარულის სიმბოლოა, ასოცირდება დღის შუქთან და ყველანაირ საწყისთან.

ძველ რომში, ანტიკურ ხანაში თეთრი ფერი გახლდათ განდეგილობის და სულიერი უბრალოების სიმბოლო. ქრისტიანულ ტრადიციებში თეთრი ფერი გახლავთ ღვთიური შუქისა და სიხარულის სიმბოლო. თეთრში არიან გამოსახულები ანგელოზები და წმინდანები. ხოლო ზოგ უძველეს ცივილიზაციაში თეთრ ტანისამოსს იყენებდნენ მხოლოდ დღესასწაულების დროს.

ზოგიერთ აზიურ და აფრიკულ ტომებში თეთრი ფერი გლოვის სიმბოლოც გახლდათ. მათ თქმულებებში დასასრულის, სიცარიელის, დამარცხების სიმბოლო სწორედ თეთრი ფერია. >

La Danseuse jaune
Alexis Mérodack-Jeanneau
1912
Musée des beaux-arts
d'Angers

შავი, ერთი შეხედვით, სიკვდილის, უბედურების და გლოვის სიმბოლოა. თქმულებებში და ზღაპრებში ბოროტი ძალები სწორედ შავ ფერში არიან გამოსახულები; ითვლება შურისა და ხიფათის სიმბოლოდ. თუმცა ამ მოსაზრებას მკვეთრად ეწინააღმდეგება აფრიკული ტომების უმრავლესობა. მათი აზრით, შავი ყველაზე მიმზიდველის და სასურველის სიმბოლოა, შესაბამისად, იგივე ტომები განსაკუთრებულად მუქი კანის მქონე ქალებს საუკეთესო საყვარლებად და სასურველ ცოლებად მიიჩნევენ. არაბებთან გამოთქმა შავი თვალი ნიშნავს სატრფოს, ხოლო შავი გული სიყვარულს.

გამოდის, რომ შავ ფერსაც საკმაოდ მრავალგვარი განმარტება აქვს. ქვეყნებში, სადაც წყლის პრობლემაა და ძლიერი სიცხისგან იტანჯებიან, შავი ღრუბლები ღვთიურ საჩუქარს ნიშნავს. აფრიკულ თქმულებებში ნაყოფიერების სიმბოლო სწორედ შავია. მფარველ სულს, რომელსაც მათთვის წვიმა მოაქვს, მსხვერპლად სწორედ შავ ხარს ან თხას სწირავენ.

ყვითელი მზის შუქის, სიმდიდრის და მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლო. სწორედ ყვითელი ფერით გამოხატავდნენ მრავალი საუკუნეების მანძილზე ადამიანები ბედნიერების შეგრძნებას.

სწორედ ყვითელი ფერით გამოხატავდნენ მრავალი საუკუნეების მანძილზე ადამიანები ბედნიერების შეგრძნებას

სხვადასხვა კულტურებში მაღალი ფენის წარმომადგენლები ყვითელ სამოსს ატარებდნენ, რათა ხაზი გაესვათ თავიანთი სტატუსისთვის თუმცა ვხვდებით საპირისპირო დამოკიდებულებასაც. აზიის კონტინენტის ცალკეულ ქვეყნებში ყვითელი არის სევდისა და განშორების სიმბოლო. ხოლო ევროპაში ყვითელი ან შავ-ყვითელი დროშა ნიშნავს კარანტინს, ყვითელი ჯვარი კი – ჭირს. სლავებთან ეს ფერი ღალატისა და შურის სიმბოლო.

როგორც ხედავთ, ფერთა ფსიქოლოგია საკმაოდ მრავლმხრივი და ხშირად ურთიერთგამომრიცხვია. ასე რომ, ჯობს დავტკბეთ მათი სილამაზით, ხოლო უარყოფითი მანიშნებლები უბრალოდ გვახსოვდეს.

ნინო ლომიძე

გემრიელი და სასარგებლო
ᲙᲘᲚᲝ
ჟურნალისტებისთვის
სცენაზეა... ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ!

„თანამედროვე თეატრი მუდმივად დროს უნდა მისდევდეს, რაც, პირველ რიგში, თანამედროვე თემებზე საუბარს გულისხმობს. თეატრი არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ სოციალური სივრცეც გახლავთ და ჟურნალისტების ჩართულობის გარეშე ის წარმოუდგენელია. თქვენი მოსაზრებები და შეხედულებები ჩვენთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია," – ასეთი სასიამოვნო მიმართვა მიიღეს ჟურნალისტებმა კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრისგან.

ოვეში ერთხელ ამ სივრცეში მხოლოდ ჟურნალისტებისთვის იქნება ნაჩვენები სპექტაკლი. ამ მშვენიერი წამოწყების საპატიო „წითელი ლენტი" იაპონელი ავტორის, კოკი მიტანოს პიესის ლევან წულაძისეული ვერსია გახდა.

სპექტაკლი ბევრი რამის გამო იყო უჩვეულო, უცხო და არაჩვეულებრივი (ამ სიტყვების როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით). პირველი, რაც აუცილებლად აღსანიშნავია, ის არის, რომ მსახიობები სცენაზე არ თამაშობენ; მსახიობები არც ფოიეში თამაშობენ, არც ლოჟაში და არც პარტერში; პარტერის სკამებზე სპეციალურად კონსტრუირებულ მცირე, კამერულ სცენაზე ხდება მოქმედება.

მაყურებლები კი – სცენაზე სპეციალურად მოწყობილ ხის კონსტრუქციაზე სხედან.

ასე, უჩვეულო და უცნაურ, თავდაყირა ამოტრიალებულ გარემოში მოხვედრილ მაყურებელს თითქოს ასეთივე უჩვეულო და უცნაური, ამოყირავებული და ამოტრიალებული სამყაროს ხილვის მოლოდინი უჩნდება. სცენის ჩაბნელებამდე რამდენიმე ვერსია გაიელვებს

თავში, ერთმანეთზე ფანტასმაგორიული და დაუჯერებელი, მაგრამ სცენა ნათდება და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დეკორაციები „იხატება" თვალწინ: სკამები, მაგიდა, თაროების იმიტაცია, ნათურა, ტუმბო. სულ ესაა. სხვათა შორის, ამ დეკორაციებს არც არაფერი აკლდება, აღარც არაფერი ემატება. არადა სპექტაკლის ქრონომეტრაჟი, ანოტაციის მიხედვით, ას ხუთ წუთს ითვლის. გგონიათ, მოგბეზრდებათ? ოდნავაც არა. იმიტომ, რომ მსახიობები – ნატო მურვანიძე და ნიკა კუჭავა სცენიდან, ბოდიში, პარტერიდან უფრო ზუსტად, პარტერზე სპეციალურად კონსტრუირებული სცენიდან საინტერესო, შთამბეჭდავ, საჭირბოროტო, დრამატულ, ტრაგიკულ, სახალისო, სასაცილო და საჭირო ამბებს გვიყვებიან. დასაფიქრებელს, გასაანალიზებელს, სასარგებლოს.

ჟოლო წითელია და მომჭავო

სპექტაკლს ჰქვია „ჟოლო“, თუმცა ეს ერთგვარი „თვითნებობაა“ და მიტანოსეულ ორიგინალში პიესას სულ სხვა სათაური აქვს. პიესის ავტორი, როგორც უკვე აღინიშნა, იაპონელია, თუმცა არც მიზანსცენებში, არც რეკვიზიტებში, არც მსახიობთა ჩაცმულობაში (კოსტუმების მხატვარი ნინო სურგულაძეა), არც გარეგნობასა და არც დეკორაციებში ნაციონალურ იდენტობაზე მიმანიშნებელი არაფერია. გასაგები ამბავია – სპექტაკლში აქცენტირებული პრობლემები ზოგადსაკაცობრიოა და იაპონელი საშუალოსტატიკური მოქალაქითვისაც ისეთივე აქტუალური, როგორიც ჩვენი თანამემამულესთვის.

ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ დაწერილი პიესის სიუჟეტი მარტივია – დრამატურგი ცუბაკი (ნიკა კუჭავა) მკაცრ, შეუვალ, ხისტ და შეუგნებელ ცენზორს, ნეოს (ნატო მურვანიძე) საკუთარ კომედიას

მიუტანს. ცენზორი უარს აცხადებს დადგმის ნებართვის გაცემაზე. პიესა არც მის პირად გემოვნებაში ჯდება და სახელმწიფო ინტერესებსაც ეწინააღდეგება (ყოველ შემთხვევაში, სასიკეთოს არაფერს უქადის ამ უკანაკსნელს). ბოლოს ცუბაკის ხვეწნა-მუდარა ჭრის, ცენზორი შესწორებების შეტანას იწყებს პიესაში და აქ იწყება ის, რაც სიზიფეს შრომის ილუსტრაციად გამოდგება ნებისმიერისთვის, ვისაც ამ ფრაზეოლოგიზმზე წარმოდგენა არ აქვს (სიზიფე ბერძნული მითოლოგიის გმირია. ის დასჯილია. საბრალოს უზარმაზარი ქვის ლოდის ათრევა ევალება ციცაბო აღმართზე. მწვერვალზე ატანილი ლოდი, ზევსის ნებით, ისევ უკან ვარდება. სიზიფე ყველაფერს თავიდან იწყებს. წინდაწინ იცის, რომ მისი შრომა განწირულია, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლია...)

ნეო სულ ახალ და ახალ, დაუჯერებელზე დაუჯერებელ, აბსურდულზე აბსურდულ შენიშვნებს იგონებს, ცუბაკიც, ნერვული აფეთქების ზღვარზე მისული, ასწორებს და ასწორებს ტექსტს. თანდათან ცუბაკის და ნეოს ურთიერთობა ტრანსფორმირდება. ტრანსფორმირდება ნატო მურვანიძის გმირიც, ცენზორი ნეო, რომელიც პირველივე სცენიდან მაყურებელში ზიზღს და „შეჯანჯღარების“ სურვილს იწვევს (მსახიობის ოსტატობა მაყურებლის ემოციაზე დაკვირვებით რომ ფასდება, ცნობილი ამბავია. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, ნეოს გულისგამაწვრილებელი „შენიშვნების“ მოსმენისას ჩემსავით არაერთ მაყურებელს გაუჩნდა ხმამაღლა ამ პიტალო ცენზორის ჩაჩუმების დიდი სურვილი). თავისებურად იცვლება ნიკა კუჭავას პერსონაჟი, ცუბაკიც. თავიდან გაწამებულ, აფორიაქებულ ყუველაფერზე წამსვლელ დრამატურგს ვხედავთ. მისი მთავარი მიზანი პიესის სცენაზე გადატანა და მაყურებლების გახალისებაა. ის ქრთამის მიცემასაც კი იკადრებს, ოღონდ ცენზორის გული მოალბოს და მას თბილი, სურნელოვანი ჟოლოს მურაბიანი ფუნთუშებით „აბამს“... ბოლო სცენებში კი...

...იცით რა, ფინალის მოყოლას და სიუჟეტის სხვა, საინტერესო წიაღსვლების გამხელას არ ვაპირებ. უბრალოდ, გეტყვით, რომ სპექტაკლი სავალდებულოდ სანახავ სპექტაკლთა სიაში აუცილებლად უნდა მოხვდეს.

ნინო ლომიძე

Ellen Degeneres

ოსკარი

პიცის ორომტრიო

ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალი წითელი ხალიჩით იწყება. ყოველ წელს მილიონობით ადამიანი სწორედ საყვარელი მსახიობების თუ რეჟისორების გამოჩენას წითელ ხალიჩაზე ელის. კინოს მოყვარულებისთვის ეს დღე ისეთივე დღესასწაულია, როგორც ახალი წელი ან შობა. ამ დროს არ ისვენებენ ფოტოგრაფები და ჟურნალისტები. წლიდან წლამდე ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალზე ერთი რამ არ იცვლება – იმედგაცრუებული ლეონარდო დი კაპრიო. ცერემონიალი წელს 86-ედ ჩატარდა, „დოლბის" თეატრში. დავიწყოთ ტრადიციულად: როგორც წესი, ცერემონიალის შემდეგ მიმოიხილავენ ვარსკვლავების ჩაცმულობას. კრიტიკის ქარცეცხლში მანდილოსნებს კაცებზე მეტად ატარებენ. ადგენენ სიებს, წერენ ქულებს და კარგიდან – ცუდისკენ აფასებენ მათ. ეს სია, რა თქმა უნდა, პირობითია. წელს წითელ ხალიჩაზე ქალბატონები, ძირითადად, სხვადასხვა ფერის, გრძელი კაბებით გვევლინებოდნენ. მამაკაცები კი, რა თქმა უნდა, კოსტიუმსა ან სმოკინგში იყვნენ გამოწყობილნი.

ოსკარის დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზატორებმა საუკეთესო არჩევანი გააკეთეს და წამყვანად, უკვე მეორედ, ელენ დეჯენერსი შეარჩიეს. არც შემცდარან. ცერემონიალის დროს ელენი პიცის დასარიგებლად სცენიდან დარბაზში ჩამოვიდა. სცენარის მიხედვით, პრედ პიტმა თეფშებისა და ხელსახოცების ჩამორიგება დაიწყო, სხვები კი სიამოვნებით მიირთმევდნენ პიცას.

ცერემონიალის ყველაზე პოპულარული ფოტო ბრედლი კუპერმა გადაიღო. ელენის ინიციატივით, მისივე მობილური ტელეფონით. ე.წ. „სელფ შოთი" მალევე გავრცელდა „თვითერით" და 2 მილიონამდე „რეტვიტიც" დაიმსახურა. წარმოუდგენელია, ეს ფოტო არ გქონდეთ ნანახი!

ვის გაუმართლა და ვის ისევ ვერ... >

ცერემონიალის ყველაზე პოპულარული ფოტო ბრედლი კუპერმა გადაიღო

Jared Leto, Lupita Nyong'o, Cate Blanchett, Matthew McConaughey

ცერემონიალის შემდეგ მიმოიხილავენ ვარსკვლავების ჩაცმულობას. პრიტიპის ქარცეცხლში მანდილოსნებს კაცებზე მეტად ატარებენ

კარგად ჩაცმულები

1. Angelina Jolie in Elie Saab
2. Cate Blanchett in Armani Privé
3. Penélope Cruz in Giambattista Valli
4. Naomi Watts in Calvin Klein
5. Lupita Nyong'o in Prada
6. Jennifer Lawrence in Dior
7. Charlize Theron in Dior
8. Julia Roberts in Givenchy
9. Meryl Streep in Lanvin

ცუდად ჩაცმულები

10. Veerle Baeten
11. Anna Kendrick
12. Emma Watson
13. Anne Hathaway
14. Chrissy Teigen
15. Pharell Williams
16. Sally Hawkins
17. Jennifer Garner
18. Liza Minnelli
19. Lady Gaga

რა თქმა უნდა, არ გაუმართლა ლეონარდო დიკაპრიოს. მამაკაცის საუკეთესო მთავარი როლის შესრულებისთვის ის უკვე მეხუთედ იყო ოსკარზე წარდგენილი. ცერემონიალამდე, სოციალურ ქსელში კარიკატურაც კი გავრცელდა, ლეოს სიზმარი, სადაც ოქროსფერი კაცუნები ცეკვავდნენ.

სამაგიეროდ, ძალიან გაუმართლა, თან პირველივე ჯერზე, მეთიუ მაკკონაჰის. ფილმში „დალასის შემსყიდველთა კლუბი" ის აივ ინფექციით ინფიცირებულის როლს ასრულებს. პერსონაჟის ცხოვრებით ინსპირირებულმა ოსკაროსანმა მსახიობმა სამადლობელო სიტყვა ასე დაასრულა: „თქვენთვის, ვინც არ უნდა იყოთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ და ვიზეც არ უნდა ოცნებობდეთ, თქვენთვის ვამბობ, ყველაფერი რიგზეა, გააგრძელეთ ცხოვრება".

იმავე ფილმში მეორე ხარისხოვანი როლის შესრულებისთვის დააჯილდოვეს ჯარედ ლეტოც. მან ჯილდო დედას მიუძღვნა: „მადლობ, რომ მასწავლე ოცნება".

უკვე მეორე ოსკარი მიიღო ქეით ბლანშეტმა. ვუდი ალენის ფილმი – „სევდიანი ჟასმინი" – მისთვის წარმატების მომტანი აღმოჩნდა. მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის კი დაჯილდოვდა ლუპიტა ნიონგ'ო. ფილმისთვის „12 წელი მონად". მისი კონკურენტები იყვნენ: ჯულია რობერტსი, ჯენიფერ ლოურენსი და სხვები. წელს ცერემონიალის სამადლობელო სიტყვებში ოცნებების ახდენა აქტუალური თემა იყო. 31 წლის მსახიობი გამოტყდა, რომ ოქროსფერი ქანდაკება მისი ბავშვობის ოცნება იყო.

8


9

„თუკი წელსაც მიიღებ ოსკარს, ჩვენ მოგიტანთ"– უთხრა ელენმა ჯენიფერ ლოურენსს, მას მერე, რაც წითელ ხალიჩაზე მეორედ წაიქცა. შარშან ამ ფაქტს ჯილდოს მიღება მოჰყვა, წელს კი – მხოლოდ ელენის სიტყვები და ბევრი სიცილი.

წლის საუკეთესო ფილმად „12 წელი მონად" დასახელდა. ფილმმა კინოაკადემიის ჯილდო , „საუკეთესო ადაპტირებულ სცენარისთვისაც" მიიღო. „ორიგინალური სცენარისთვის" კი სპაიკ ჯონსი დააჯილდოვეს, ფილმისთვის – „მისი". სხვათა შორის, ფილმის გულშემატკივრები იმედგაცრუებულები იყვნენ. ხოაკინ ფენიქსს ნამდვილად ეკუთვნოდა მამაკაცის მთავარი როლისთვის ოსკარზე ნომინირება.

წლევანდელ ცერემონიალზე ჯილდოების სიმრავლით გამოირჩეოდა „გრავიტაციაც". ფაქტობრივად, მან ყველა ტექნიკურ ნომინაციაში გაიმარჯვა; გამარჯვებულთა სიაში არიან: „გაყინულები" – საუკეთესო ანიმაციისთვის; კოსტიუმებისა და საუკეთესო მხატვრობისთვის – „დიდი გეთსბი"; საუკეთესო უცხოურ ფილმად კი – „დიადი სილამაზე" დაასახელეს.

ის, რაც მთელი წლის განმავლობაში იქმნებოდა, ერთ ღამეში კინო აკადემიის მიერ ჯილდოვდება. წლევანდელ ცერემონიალს დი კაპრიოს უოსკარობის გამო, ცრემლებისა და იმედგაცრუების გემო ჰქონდა. წამყვანისა და სცენარისტების გადაწყვეტილებით კი, ცრემლებს პიცის გემო ანეიტრალებდა...

ოსკარი 2015 წლამდე გემშვიდობებათ.

თაკო ფოლადაშვილი

10

11

12

13

14

15

16

17

17

19



კინო ოსტუმები

1949 წელს ამერიკის კინო აკადემიამ პირველად გადასცა ოსკარი საუკეთესო კინოკოსტიუმისთვის. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა 2 ნომინაცია – საუკეთესო შავ-თეთრი და ფერადი ფილმისთვის. შავ-თეთრი ფილმის კოსტიუმებისთვის ჯილდო გადაეცა როჯერ კემბელ ფერსტს (Roger Kemble Furse), ხოლო ფერადი ფილმის კოსტიუმებისთვის – დოროტი ჯეკინსს (Dorothy Jeakins) და ვარვარა კარინსკაიას (Barbara Karinska). ერთი წლის შემდეგ თავისი პირველი ოსკარი მიიღო ედიტ ჰედმა (Edith Head). ეს ქალბატონი 1897 წელს დაიბადა სან – ბერნანდინოში და თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არც მეტი, არც ნაკლები, რვა ოსკარი და 35 ნომინაცია მოიპოვა. ეს აბსოლიტური რეკორდი გახლავთ ყველაზე პრესტიჟული კინოჯილდოს არსებობის ისტორიაში.

Kemble Furse

Edith Head

Dorothy Jeakins

Barbara Karinska

Jack Sparrow (johnny depp)

ინგლისის დედოფალი ელისაბედ I კორონაციისას
1559 წლის დაკარგული ორიგინალის კოპია,
შესრულებული 1600–1610 წლებში

კინომატოგრაფის არსებობის პირველივე წლებიდან კოსტიუმები ფილმის მხატვრული ქსოვილის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. სამოსი ხშირად თავად მსახიობებზე არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, გვხიბლავს, გვიზიდავს, განწყობას გვიქმნის და გავლენის ქვეშაც კი გვაქცევს. გავიხსენოთ თუნდაც ქეით ბლანშეტის (Cate Blanchett) კოსტიუმი ისტორიულ ფილმში „ელისაბედი" (Eelizabeth), ან ჯონი დეპის (johnny depp) კაპიტანი ჯეკ ბეღურა (Jack Sparrow).

თავად მსახიობებსაც მრავალჯერ აღუნიშნავთ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული კოსტიუმი. გრიმთან ერთად ჩაცმულობა უადვილებს მსახიობს, პერსონაჟის გათავისების პროცესს. >

ქეით ბლანშეტის
კოსტიუმები ფილმში
„ელისაბედი"

Keira Knightley and Jacqueline Duran

The Tramp (Charlie Chaplin)

2012 წელს, ლონდონში, ვიქტორიას და ალბერტის სახელგანთქმულ მუზეუმში გაიმართა ასი საუკეთესო კინოკოსტიუმის გამოფენა. დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, ენახათ მერილინ მონროს (Marilyn Monroe) სახელგანთქმული ფრიალა კაბა, ასევე ჯუდი გარლენდის (Judy Garland) კლასიკური პერსონაჟის, დოროთის ქოშები ფილმიდან „ჯადოქარი ოზის ქვეყნიდან" (Wizard of Oz).

ბოლო წლების მანძილზე სახელი გაითქვა ჯაკლინ დიურანმა (Jacqueline Duran), რომლის ნამუშევარიც 2013 წლის „ანა კარენინაში" (Anna Karenina) ნამდვილად გამორჩეულია.

ხოლო მეოცე საუკუნის ყველაზე ცნობილ კინოკოსტიუმად, რაღა თქმა უნდა, რჩება განუმეორებელი ჩარლი ჩაპლინის (Charlie Chaplin) ჩაცმულობა ფილმში „მაწანწალა" (The Tramp).

ლევან ბუაძე

დოროთის ქოშები ფილმიდან „ჯადოქარი ოზის ქვეყნიდან" (Wizard of Oz)

საგამოფენო ცენტრი

ექსპო ჯორჯია

ტურისტულ გამოფენას მასპინძლობს

უკვე წლებია, რაც მრავალ-პროფილიანი გამოფენების ცენტრი „ექსპო ჯორჯია“ სხვადასხვა ღონისძიებას მასპინძლობს. 11-დან 13 არილის ჩათვლით, საგამოფენო სივრცე მე-16 საერთაშორისო ტურისტულ და საქმიანი ტურიზმის კონფერენციების მე-3 საერთა-შორისო გამოფენას დაეთმობა.

დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა, შეიტყოს საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, გაეცნოს შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციებს და ამავდროულად, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისთვის სასურველი ტურის ეფექტურად დაგეგმვისთვის.

„ექსპო ჯორჯია“ წელს მეთექვსმეტედ იღებს ტურისტული ინდუსტრიის მრავალ წარმომადგენელსა და დამთვალიერებელს. გამოფენა ყოველწლიურად სულ უფრო საინტერესო და შედეგიანი ხდება ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული კომპანიებისათვის. ეს არის ინდუსტრიის მესვეურების, სახელმწიფო სააგენტოებისა და უამრავი დამთვალიერებლის მონაწილეობით შექმნილი საქმიანი, შემეცნებითი და ამავე დროს ხალისიანი ღონისძიება.

პროექტის მენეჯერი, თიკო ჩიქვანაია, აღნიშნავს, რომ გამოფენა მიზნად ისახავს, მომხმარებელს მიაწოდოს მრავალფეროვანი და სრულყოფილი ინფორმაცია სხვადასხვა ტურისტული მიმართულებისა და კომპანიების სერვისების შესახებ. „ყველას, ვისაც სურს, დაგეგმოს ზაფხულისა თუ ზამთრის დასვენება ან კორპორატიული ღონისძიება, >

ფოტო: მარი სეხნიაშვილი

ტურიზმის გამოფენა

არის სიახლეებითა და სიურპრიზებით დახუნძლული საგაზაფხულო ღონისძიება

ეძლევა საშუალება, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე და ტურისტული ორგანიზაციების დახმარებით წინასწარ დაგეგმოს დასვენება საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ".

წლევანდელი გამოფენა ღირსშესანიშნავია, რადგან წარმოადგენს უამრავ ქართულ კომპანიას და ასევე უცხოურ კომპანიებს, რომლებიც წელს პირველად სტუმრობენ საქართველოს. ქართველ დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია შვეიცარიის, ჩეხეთის, ტაილანდის, თურქეთის, სომხეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების ტურისტული პოტენციალის, ტურისტული კომპანიების, სასტუმროების, საინტერესო ადგილებისა და სხვა საკითხების შესახებ.

გამოფენა დააკმაყოფილებს სხვადასხვა დამთვალიერებლის მოთხოვნებსა და გემოვნებას, რადგან წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ტურისტული პროდუქტი: კულტურული, ისტორიული, ღვინის,

ფოტო: ბაბი სხირტლაძე



აგრეთვე ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურები. დამთვალიერებელი შეძლებს შეარჩიოს, შეადაროს და შეისყიდოს სასურველი მომსახურება, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საოცნებო მოგზაურობის შესახებ. მონაწილე კომპანიები სიამოვნებით უპასუხებენ შეკითხვებს და შესთავაზებენ საჩუქრებსა თუ სახალისო გათამაშებებს.

პროფესიონალებს საშუალება ექნებათ, გაიცნონ ახალი ტურისტული კომპანიები რეგიონებიდან და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ახალი შესაძლებლობებისა და სერვისების შესახებ, დაამყარონ კავშირები ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან, გამოიკვლიონ მომხმარებელი, მიიღონ ინფორმაცია თანამედროვე ტენდენციების შესახებ. საქმიანი ტურიზმის მე-3 საერთაშორისო გამოფენის დამთვალიერებელი გაეცნობა ამ დარგის წარმომადგენლებს, რაც უზრუნველყოფს მომავალი ღონისძიებების ეფექტურ დაგეგმვას.

CTF CAUCASUS Tourism FAIR

დაცული ტერიტორიების სააგენტო

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

Georgia

რამდენადაც გამოფენა ყოველწლიურად ტარდება, „ექსპო ჯორჯია“ მთელი წლის განმავლობაში აგროვებს ინფორმაციას ტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და ტენდენციების შესახებ, შედეგად კი გამოფენაზე ხდება ფასდაუდებელი ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა. როგორც თიკო ჩიქვანაია აღნიშნავს, გამოფენის გეოგრაფია იზრდება და ყოველწლიურად სულ უფრო მეტი კომპანია გამოთქვამს ამ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილს.

ტურიზმის გამოფენა არის სიახლეებითა და სიურპრიზებით დახუნძლული ლამაზი საგაზაფხულო ღონისძიება, რომელიც დამთვალიერებელს 11, 12 და 13 აპრილს, გამოფენების ცენტრის მე-11 პავილიონში ელის.

MetLife
100

I ♥ NY

NY by BAIA DAVITAIA

მეგაპოლისი, რომელსაც ყოველწლიურად დაახლოებით 40 მილიონი უცხოელი და ამერიკელი ტურისტი სტუმრობს.

ავტორი
ბაია
დავითაია

New York

ის ქალაქია, რომელის შესახებაც თითქოს ამ პლანეტაზე მცხოვრებმა ყველა ადამიანმა იცის. თუ ვინმე სიტყვათშეთანხმება „მსოფლიოს დედაქალაქს" ახსენებს, განათლებული ადამიანს პირველად ამ მეგაპოლისის სახელი გაახსენდება. ეს არის ქალაქი, რომელსაც უბრალოდ ჭკუიდან გადაჰყავხართ, გაჯადოვებთ, შოკს გგვრით, თავს გაყვარებთ, ხანდახან გაშინებთ, მოკლედ, ყველანაირ ემოციას იწვევს, გულგრილს კი ნამდვილად არ დაგტოვებთ.

გასართობი ადგილების და სანახაობების სია მართლაც უზარმაზარია, განსაკუთრებით, თუ რესტორნებსაც ჩავრთავთ.

თუ დავუშვებთ, რომ მოგზაურობის ერთადერთი მიზეზი შეიძლება გასტრონომიული შთაბეჭდილებების მიღება იყოს, დედამიწაზე არსებული ასობით ადგილიდან მხოლოდ ერთია შესარჩევი: ქალაქი ნიუ იორკი. საუკეთესო ჩინური, ვიეტნამური, ტაილანდური, ფრანგული და იტალიური, მექსიკური და არგენტინული რესტორნები სწორედ აქ არის.

ნიუ იორკში დაახლოებით 50 000 ადგილია სადაც გემრიელად ჭამა შეიძლება. მხოლოდ ამ რიცხვის გათვალისწინებითაც შეიძლება დავასვკვნათ, რომ საკვები ნიუ-იორკელებისათვის ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. >

LAVO
39 E 58th St

იტალიური ბისტრო, რომელშიც XIX საუკუნის დასასრულის ატმოსფეროა – მეგა პოპულარული ადგილი საშუალო ასაკის თანამედროვე ნიუ იორკელებს შორის. შაბათის ბრანჩი Lavo-ში მანჰეტენის უმთავრესი ელიტური ღონისძიებაა. სპაგეტი „ჯობე-ბიფისგან" (მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, იაპონური მარმარილოსებრი ხორცისგან) დამზადებული ხორცის ბურთულებით. მაყვლისა და ბანანის ალადების 30 სანტიმეტრიანმა დასტამ მეც კი აღმაფრთოვანა – დესერტების მიმართ სრულიად გულგრილი ადამიანი.

MASA
Time Warner Center, 10 Columbus Circle, 4th fl.
(60th St. at Broadway)

ეს მსოფლიოს ყველაზე ძვირიანი რესტორანია. აქ მხოლოდ საჭმელად მოდიან. რესტორანი სულ რაღაც 26 ადამიანზეა გათვლილი და შეფ მზარეული თითოეულ სტუმარს პირადად ხვდება. ყველა პროდუქტი იაპონიიდანაა. აქ მზადდება სუში, საშიმი და ზღვის პროდუქტების სრულიად არაჩვეულებრივი კერძები.

GRAMERCY TAVERN
42 E. 20th St.
(bet. Broadway & Park Ave. S.)

ეს რესტორანიც არ არის, ტავერნაა. არა იმდენად დასახელებიდან გამომდინარე, არამედ დაწესებულების ატმოსფეროს და დიზაინის გათვალისწინებით. ამასთან, აქაური კერძების ხარისხი ღირსეულ კონკურენციას გაუწევს მსოფლიოს საუკეთესო რესტორნებს. ეს ტავერნა ბევრი ვარსკვლავის საყვარელი ადგილია. ვუდი ალენს, ალეკ ბოლდვინს და სხვებს ძალიან უყვართ აქ ვახშმობა.

DANIEL
60 E. 65th St.
(bet. Madison & Park Aves.)
20 წელიწადზე მეტია, რაც ეს რესტორანი ქალაქში საუკეთესო მომსახურებით და ფრანგული სამზარეულოს უგემრიელესი კერძებითაა სახელგანთქმული. თანამედროვედ შესრულებული კლასიკური ინტერიერი და ძალზედ კამერული ატმოსფერო ამ რესტორნის მთავარი მახასიათებლებია. Daniel უმაღლესი საზოგადოების წევრი სტუმრების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს: უნაკლო სამზარეულო, მსუბუქი განათება, ჩუმი საუბრები და იდეალური სერვისი.

BROOKLYN FARE
200 Schermerhorn St.
(Hoyt St.), Brooklyn
ეს არის ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ექსტრავაგანტული რესტორანი. აქ ერთდროულად მხოლოდ 18 ადამიანი თავსდება. სტუმრებს ორ ჯგუფად ანაწილებენ – პირველი ჯგუფი ვახშამს 6:30-ზე იწყებს, ხოლო მეორე – 7:15-ზე. შეფ მზარეული სტუმრებისთვის ნამდვილ შოუს აწყობს, ყველა კერძი მათ თვალწინ მზადდება. ვახშმის საფასური კერძებზეა დამოკიდებული, კერძები კი – შეფ მზარეულის განწყობაზე. აქ არ არსებობს ფიქსირებული მენიუ, და ადგილები 8-9 თვით, ხანდახან კი მთელი წლით ადრე უნდა დაიჯავშნოს (არ ვაზვიადებ).

HATSUHANA
17 E 48 st
ნიუ იორკში ათობით დაწესებულებაა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს

საუკეთესო იაპონური რესტორნის წოდებაზე. ყოველ მათგანს ყავს გულშემატკივრების თავისი ჯგუფი. ჩემთვის, ეს არის Hatsuhana. ყველა სუში, რა თქმა უნდა, ყველგან ახალია, მაგრამ Hatsuhana განთქმულია ოთხი სახის ტოროთი (დამზადებული მუცლის ყველაზე სრულყოფილი და ცხიმიანი ნაჭრისგან).

CHINA GRILL
60 W 53rd St
ქალაქის ლეგენდაა რესტორანი China Grill, რომელიც 1987 წელს გახსნა ჯეფრი ჩოდოროუმ. დასახელების მიუხედავად, მას ჩინეთთან ფრიად არაპირდაპირი კავშირი აქვს. მრავალი წლის შემდეგ სწორედ მის სამზარეულოს მოიხსენიებენ სიტყვით –

„ფიუჟენ“.
საკეში დამარინადებული „მთვრალი“ ქათამი, ოსობუკო მაროკოული ბატკნისაგან, ალუბლის გლაზურში, შანხაური ლობსტერი ჯანჯაფილი – გამაოგნებელია.

CENTRAL PARK

CENTRAL PARK

ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი, მანჰეტენის რაიონში ადგილობრივი მაცხოვრებლების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დასასვენებელი ადგილია... აქ მუდმივად იდგმება უფასო სპექტაკლები და კონცერტები. აუცილებლად შეიარეთ Eataly-ში (3,4,5,6) – ეს გურმანისა და ელექტრონიკის ყველაზე დიდი გამყიდველის, ოსკარ ფარინეტის შექმნილი გასტრონომიული პროექტია, რომელიც რესტორნებისა და უზარმაზარი გასტრონომის სიმბიოზს წარმოადგენს. ნიუ-იორკის Eataly, რომლის პარტნიორიც პოპულარული იტალიელი შეფ მზარეული, მარიო ბატალი გახდა, ყველა სახის პასტას, იტალიურ ძეხვეულს, ყველს, ზეთებს და ღვინოს გვთავაზობს.

New York-ის თითოეული

მუზეუმი ყურადღების ღირსია. სამწუხაროდ, ერთი ვიზიტის ფარგლებში ყველა მათგანის მონახულება შეუძლებელია. >



THE METROPOLITAN MUSEUM OF ART
1000 Fifth Avenue

ყველაზე ცნობილი სამუზეომო მოედანი ქალაქში არის უდიდესი და ყველაზე ცნობილი, ნიუ იორკის მეტროპოლიტენი, მხატვრობისა და ქანდაკებების

ყველაზე მდიდარი კოლექციით.
იგი დაარსდა 1870 წელს გაერთიანება The Union League Club of New York-ის მიერ. მუზეუმში ორ მილიონზე მეტი ნაშრომია, რომლებიც მოიცავს 5 ათას წლიან პერიოდს.

MOMA
11 W 53-rd Street

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (The Museum of Modern Art (MoMA)). მისი

შენობა აგებულია 2004 წელს იაპონელი არქიტექტორის, იოსი ტანიგუტის პროექტის მიხედვით და მუზეუმის ცალკეული ექსპონატია.



THE BROOKLYN MUSEUM
200 Eastern Parkway
Brooklyn

ბრუკლინის მუზეუმში გამოფენილია ძველი ეგვიპტური ნივთები და ფრანგი იმპრესიონისტების ნამუშევრები. აქვე იმართებოდა ნიუ იორკის ყველაზე სკანდალური გამოფენები. ამავე მუზეუმში იხილავთ XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქანდაკებებს.

WHITNEY MUSEUM OF AMERICAN ART
945 Madison Avenue
Manhattan

უიტნის ამერიკული ხელოვნების მუზეუმში

ინახება მეოცე საუკუნის ამერიკული ხელოვნების ნიმუშების ყველაზე დიდი კოლექცია – საინტერესოა, როგორც შენობა (ერთ-ერთი „ბაუჰაუზელის“ ქმნილება), ისე აქ გამართული დროებითი ექსპოზიციებიც.

THE SOLOMON R. GUGGENHEIM MUSEUM
1071 Fifth Avenue
(at 89th Street)

სოლომონ გუგენჰაიმის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი 60-იანი წლების მიწურულს გაჩნდა, მაშინ როდესაც სოლომონ გუგენჰაიმმა

მეცენატობის სიკეთეები აღმოაჩინა. მუზეუმის საცავებში მოთავსებულია XIX-XX საუკუნის შედევრების ყველაზე დიდი კოლექცია (დაახლოებით 6000 ექსპონატი). მათ შორისა კანდინსკის, შაგალის, პოლაკის, სერას, უორჰოლის, ვან გოგის, გოგენის და პიკასოს ნამუშევრები.

MUSEUM OF SEX
233 Fifth Avenue

5th Avenue და 27th Street-ზე სექსის მუზეუმია (Museum of Sex) – ნიუ იორკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მუზეუმი (გაიხსნა 2002 წელს). მიუხედავად ამისა, ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია დამთვალიერებლებისთვის. მუზეუმის ექსპოზიციები სექსის ისტორიის, ევოლუციის და კულტურის შესახებ მოგვითხრობს. ყველაფერი ძალიან კულტურულადაა მოწყობილი.

SONY WONDER TECHNOLOGY LAB
550 Madison Avenue

Madison Avenue-ს და 56-ე ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობს Sony Wonder Technology Lab. ეს ოთხსართულიანი შენობა მთლიანად ადამიანების მიღწევებს ეძღვნება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რომლებიც ინტერაქტიული პრეზენტაციების ფორმითაა წარმოდგენილი. აქ შეგიძლიათ ნახოთ, მაგალითად, როგორ კეთდება გულის ოპერაცია, და ვირტუალურად შეითავსოთ ქირურგის როლი. აქვე შეიძლება გაიგოთ როგორ კეთდება კომპიუტერული ანიმაცია და თქვენით სცადოთ პერსონაჟების „გაცოცხლება“; ნახოთ, როგორ აწყობენ რობოტებს და რა არის ნანოტექნოლოგია.

NEW MUSEUM
235 Bowery

ახალი მუზეუმის კონცეფცია ორიენტირებულია ახალგაზრდა ხელოვანების ფართო აუდიტორიისთვის დემონსტრირებაზე; მისი

შენობა თავისთავად იმსახურებს ყურადღებით დათვალიერებას და – აღფრთოვანებასაც. ის კაზუიო სეჯიმას და რიუე ნიშიზავას ბრწყინვალე დუეტმა დააპროექტა; მათ ამ შენობით ბოუერის ქუჩის მოწყენილი ნაგებობის რიგი გადაახალისეს.



HIGH LINE PARK

ეს ყველაზე უნიკალური ადგილია მანჰეტენზე, ჩელსის რაიონში. Park Avenue (1,2) მიწიდან 10 მეტრზე, ნიუ იორკის ელექტრომატარებლის ყოფილ ხაზზეა გაშენებული. მიტოვებული რკინიგზის ხაზები Javits Convention Center-სა და Meatpacking District-ს შორის ნამდვილ ოაზისად და მწვანე გამზირად იქცა.

7

8

Columbus Circle-ში

(9) აუცილებლად შეიარეთ. Jazz at Lincoln Center (8) მთელი წლის მანძილზე ძალიან მდიდარ საკონცერტო პროგრამას ატარებს. აქ სამი საკონცერტო დარბაზია - Rose Theater, Dizzy's Club და The Allen Room (7). ამ უკანასკნელის მონახულებას განსაკუთრებულად გირჩევთ – სწორედ ამ დარბაზიდან იშლება ფანტასტიკური ხედი ცენტრალურ პარკზე. >

9

10

11

Zinc კლუბსაც ეწვიეთ, გაისეირნეთ 5th Avenue (12) და Park Avenue-ზე (13), წადით საყიდლებზე უდიდეს უნივერმაგებში – Bergdorf & Gudman, Barneys NY. მიდთაუნში (14) ყველაფერი ახლოსაა ერთმანეთთან. ყველა ცნობილი ბრენდი და ფეშენებელური ბუტიკი Madisson და 5th Avenue-ზეა!!!

შეიარეთ Prada-ს მაღაზიაში (15,16), Broadway-ზე. ბუტიკი რემ კოლჰასმა დააპროექტა – ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორი და ნიუ იორკის დიდი მოყვარულია. >

12

13

14

15

16



PS1 გალერეის ეზოში (21,22) მოუსმინეთ მუსიკას. კუნისში, თანამედროვე ხელოვნების ეს კოლექცია ყოფილი სკოლის შენობაშია წარმოდგენილი. ივლისიდან აგვისტოს ჩათვლით, ყოველ შაბათს, ყოფილი სკოლის ეზოში დიჯეი უკრავს.

გადახედეთ ცენტრალურ პარკს მეტროპოლიტენ მუზეუმის სახურავიდან (11), გაისეირნეთ ჩელსიში; დღესდღეობით დასავლეთ ჩელსი ნიუ იორკის ხელოვნების ცენტრად მიიჩნევა.

აუცილებლად გაიარეთ ბრუკლინის ხიდზე (17)... დატკბით ნიუ იორკით ბორანიდან (ჰობოკენიდან, ნიუ-ჯერსი, ყოველ 10-20 წუთში ერთხელ გადის ბორანი).

მოინახულეთ Financial district (18,19,20)... გაისეირნეთ ჩაინა თაუნში (25). დალიეთ ფინჯანი კაპუჩინო little Italy-ში (26)... გასინჯეთ კანოლი, საცხობში Rocco's Pastry Shop (24) (აქ იყიდება უგემრიელესი ადგილობრივი კანოლი, რომელსაც შეგიძლიათ ესპრესო მიაყოლოთ). შეიძინეთ სუვენირები და საჩუქრები Bookmarc-ში (27). მიირთვით უგემრიელესი სუში Tomoe sushi-ში (23), რომლიც 172 Thompson St.-ზე მდებარეობს.

ესტუმრეთ ექსკლუზიური დიზაინის ავეჯის და აქსესუარების უდიდეს უნივერმაგს – ABC Carpet, აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ საოცარი საშობაო სათამაშოები, ჭურჭელი და ნაძვის ხის არაჩვეულებრივი დეკორაციები.

ჩამოუარეთ ანტიკვარების მაღაზიებს, უზარმაზარ ბაზარს THE ANTIQUES GARAGE. მისამართი: 112 West 25th Street, 6th და 7th Avenue. სამუშაო საათები: შაბათ-კვირა 9:00-17:00. >

21

22

23

24

26

25

27

28

30

31



29

Time Square

-ს საღამოს ესტუმრეთ (36). იქ ამ დროს ჩქეფს სიცოცხლე; ყველაზე დიდი და ბრწყინვალე ბილბორდები, რაც ოდესმე გინახავთ. ხალხის ასეთი თავშეყრას ვერცერთ ევროპულ ქალაქში ვერ ნახავთ. აქვე შეიძინეთ ტკბილეული მაღაზიაში, სადაც კანფეტები, ჭერამდეა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. M&M's World (33) Broadway-ს და 49-ე ქუჩის გადაკვეთაზეა და მუშაობს ყოველდე, დილის 10 საათიდან შუაღამემდე – კანფეტების 3 სართული!!!

ღამით წადით Meatpacking district-ში (34), სადაც ადგილობრივები სტუმრებთან ერთად დილამდე ერთობიან!

Williamsburg – ნამდვილი სამოთხე მათთვის, ვისაც გემრიელი საჭმელი, სასმელი და კარგი მუსიკა უყვარს.

დატკბით Sugar Hill-ის რაიონით (30,31,32), სადაც მთებზე ულამაზესი ძველებური სახლები და ეკლესიებია აღმართული.

ჩამოუარეთ მუსიკალურ დაწესებულებებს, რომელთაგან ყველაზე ცნობილი აპოლოს თეატრია (Apollo Theater) (29), სადაც კარიერის დასაწყისში მღეროდა მაიკლ ჯექსონი...

32

33


34

35

36

Empire State Building (35) – ეს ცათამბჯენი ცალსახად ნიუ-იორკის სიმბოლოა, თუმცა იქ ასვლა – საკმაოდ მოსაწყენია და უამრავი დრო მიაქვს. ბევრად საინტერესოა მისი შორიდან ცქერა, მაგალითად Rainbow Room-იდან რომელიც ცნობილი GE Building-ის (30 Rockefeller Plaza) 65-ე სართულზე მდებარეობს.

Liberty (28) – ამ პატარა კუნძულზე საკეთებელი საერთოდ არაფერია, უმჯობესია, მანჰეტენიდან სტეიტენ აილენდამდე (Staten Island) უფასო ბორანით იმგზავროთ და თავისუფლების ქანდაკებით შორიდან დატკბეთ.

ქალაქში ტაქსით გასეირნება უმჯობესია შაბათს ან კვირას, დილის 5 საათისთვის. პირველ რიგში, ნიუ იორკელი ტაქსის მძღოლები, როგორც წესი, კოლორიტული ფიგურები არიან; მეორეც, ნიუ იორკი მოსვენებული და სრულიად ცარიელი დღის არცერთ სხვა მონაკვეთში არ არის. ამ დროს კი სრულიად სხვა ქალაქია.

აი, სულ ეს არის, ყველაზე მოკლე სია იმისა, რაც შეიძლება ნახოთ და შეიგრძნოთ ნიუ იორკში.

Bohema GRILL & WINE

კოტე თოლორდავა

პროფესიით მსახიობი კარგი მზარეული აღმოჩნდა. კულინარიულმა ფანტაზიამ გაამართლა. საჭმლის მომზადების პროცესში ხშირად მიმართავს იმპროვიზაციას. გურმანია, უყვარს გემრიელად ჭამა. მის მიერ მომზადებული კერძების პირველი შემფასებელი მისი მეუღლე, განო მელითაურია. დეგუსტატორები კი, როგორც თავად ამბობს „ჩემი ცოლის დაქალები“ არიან. რუბრიკის სტუმარია მსახიობი, კოტე თოლორდავა.

INTERVIEW. **საინტერესოა, როგორია ოჯახში მსახიობი კოტე თოლორდავა?**
KOTE TOLORDAVA. ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე, თუ მაქვს ბედნიერება, ვიყო ოჯახში ვცდილობ, ბავშვებს ყველა სურვილი შევუსრულო და თბილი მამა ვიყო. მოსიყვარულე ადამიანი ვარ, მემგონი უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ მე ჩემს მეუღლეზე, განიკოზე, ვგიჟდები, ჩვენ ორი შვილი გვყავს. პირველი ქორწინებიდან მე უფროსი ვაჟი, ბუკა მეზრდება. ზოგჯერ მკაცრი და მომთხოვნი მამა ვარ. თავისუფალ დროს, ბავშვებს და ოჯახს ვუთმობ.

I. **როგორც მამაკაცი, უპირატესობას ალბათ ხორციან კერძებს ანიჭებთ...**
K. T. ნამდვილად მიყვარს ხორციანი კერძები. აუცილებელია, ხორცს გარნირი მოყვებოდეს ან ჰაეროვანი სოუსი ამშვენებდეს. სტეიკი ჩემი სისუსტეა; თან თუ ნაღებით და სოკოს სოუსით არის ხომ, საერთოდ გონება მებინდება. ორი წელი გერმანიაში ვიცხოვრე იქ ე.წ. „ბუტერბროდების“ ჭამას მივეჩვიე, პრეტენზიული მჭამელი არ ვარ, უბრალოდ მიყვარს ყველაფერი ის, რაც გემრიელი და მადის აღმძვრელია.

I. **რეპეტიციიდან სახლში დაბრუნებულს თავად თუ მოგიმზადებიათ კერძი?**
K. T. ხშირად ვამზადებ, ისევე, როგორც თეატრში, სცენაზე, საჭმლის მომზადების დროსაც მიყვარს იმპროვიზაცია. ჩემი მეუღლე არ ჭამდა ხორცს, მას შემდეგ, რაც დავქორწინდით, ისეთი გემრიელი ხორციანი კერძი მოვუმზადე, რომ შემიძლია ვთქვა, ხორცის ჭამა მე დავაწყებინე. აი, ესეთ გემრიელობებს ვქმნი, როდესაც დრო მაქვს და სასწაულებს ვახდენ.

I. **გურმანი ხართ?**
K. T. კი, ნამდვილად, მეც და ჩემი მეუღლეც, ორივე გურმანები ვართ. მიყვარს ჭამა, ზომიერად ვჭამ, მაგრამ ჩემთვის აუცილებელია ყველაფერს გემო ჩავატანო. პრინციპში სოკოს ნაღების სოუსი რომელ კერძსაც მოყვება გარნირად, ყველაფერი ჩემთვის „გურმანულია“.

KOTE TOLORDAVA

I. რომელი ქვეყნის სამზარეულოს გამოარჩევდით?
K. T. გამოვარჩევდი ფრანგულ სამზარეულოს, ასევე იტალიურ სამზარეულოს, ძალიან მიყვარს ლაზანია, პიცა და პასტა.

I. სადილის დროს, რა უნდა იდოს მაგიდაზე აუცილებლად?
K. T. მაგიდაზე მრავალფეროვან საკვებთან ერთად აუცილებელია, იდოს პური, არ აქვს მნიშვნელობა თეთრი იქნება თუ რუხი და გრაფინით წყალი.

I. თქვენი საყვარელი კერძი, რომელიც არასდროს გბეზრდებათ?
K. T. ეს ჩემი ბავშვობის ტკბილი მოგონებაა და ზუსტად ვიცი, რომ ამის ჭამა არასდროს მომბეზრდება – კარაქიანი პური და წითელი ხიზილალა ან კარაქიანი პური და ყველი.

I. მეუღლეს თუ ეხმარებით სამზარეულოში?
K. T. იმ შემთხვევაში, თუ სამზარეულოში ფუსფუსი გვიწევს, ორივე ერთმანეთს ვეხმარებით.

I. გაიხსენეთ თქვენს მიერ პირველად მომზადებული კერძი... >

K. T. კვერცხის შეწვა არც ისეთი მარტივი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ჩემს მიერ პირველად მომზადებული კერძიც კვერცი იყო. თავდახურულ ტაფაზე ისე უნდა შეწვა, რომ „გაიბეროს“ და „ფუმფულა“ გახდეს, მერწმუნეთ, ასე უფრო გემრიელია.

I. რას აქცევთ დიდ ყურადღებას საჭმლის მომზადების პროცესში?

K. T. პირველ რიგში სისუფთავეს. საჭმლის მომზადების პროცესი ჩემთვის რიტუალია, ამიტომ აუცილებლად უნდა მეკეთოს წინსაფარი. ჩემს სამუშაო მაგიდაზე კი ის საჭირო ნივთები და ინგრედიენტები უნდა იყოს დალაგებული, რომელიც იმ მომენტში დამჭირდება. მიყვარს, როდესაც მომზადების პროცესში მაყურებელი მყავს. ჩემს მიერ გაკეთებული კერძის დეგუსტატორები ჩემი განიკოს, ანუ ჩემი ცოლის დაქალები არიან.

I. რომანტიკული ვახშამი – რამდენად ხშირად უწყობთ საკუთარ თავს და მეუღლეს?

K. T. მე მზად ვარ, რომანტიული ვახშამი ყოველდღიურად მოვუწყო განიკოს, მაგრამ არ გამომდის დროის დეფიციტის გამო, ხშირად ვერ ვაკეთებ იმას, რაც მსურს. თუმცა ესეთი დღეები არც ისე იშვიათად გვაქვს. შეიძლება ძალიან გვიან, მაგრამ ერთად ვახშმობას სახლში მაინც ვახერხებთ.

I. რა რჩევებს აძლევთ მეუღლეს კერძის მომზადების დროს?

K. T. არ ვერევი, ვენდობი და ძირითადად, სულმოუთმენლად ველოდები ხოლმე მის მიერ მომზადებულ კერძს. ზომიერების შეგრძნება აქვს განიკოს ყოველთვის ყველაფერში და ამიტომ საჭმელიც უგემრიელესი გამოსდის.

I. დღეს რა მოგვიმზადეთ?

K. T. დღეს მოგიმზადეთ ყველის სალათი ექსპრომტად, რომელიც სეზონურია გაზაფხულზე, ფერადი, მარტივად მოსამზადებელი და გემრიელია.

I. რამდენად დატვირთული დღის გრაფიკით გიწევთ მუშაობა?

K. T. ჩემი დღე ქაოსურია, ვთამაშობ სპექტაკლებს, პალიტრა ტვ-ს ეთერში მე და ჩემი მეუღლე ახალ პროექტს ვიწყებთ, წინ სამი თეატრალური პრემიერა მელოდება – ლევან წულაძის – „რომეო და ჯულიეტა“; ოთარ ბაღათურიას „ამიკო“ და თამაზ ბაძაღუას „ღამე და თუთიყუში“. ვახმოვანებ თურქულ სერიალებს მაესტროს ეთერში, ტელეკომპანია იმედის ახალ პროექტში – „ორი ვარსკვლავი“ – ვმონაწილეობ, ნინი ბადურაშვილთან ერთად და ა.შ. ჩემი დილა იწყება 8 საათზე და როდის მთავრდება მეც არ ვიცი. დასასრული არ უჩანს ხოლმე.

I. ახერხებთ თუ არა ჯანსაღად კვებას?

K. T. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ. ძირითადად სწრაფი კვების საშუალებით ვიკვებები, მაგრამ ვაპირებ, კონტეინერებით სიარული დავიწყო, რომლებშიც ჯანსაღი საკვები მედება.

I. დიეტისთვის თუ მიგიმართავთ?

K. T. რუსი რეჟისორები მიღებდნენ ფილმში, რომლისთვისაც 15 კგ დავიკელი. დიეტოლოგთან არაერთხელ ვყოფილვარ. არ დაგიმალავთ და ეხლაც ვაპირებ რამდენიმე კილოს დაკლებას.

I. დაბოლოს, „ხელმარჯვე ოსტატი“ ხართ?

K. T. მეხერხება ნათურის გამოცვლა, ბოლტის დაჭერა, ლურსმნის დაჭედება. ბავშვობაში ლეგოს ვშლიდი, თუმცა აწყობით უკვე ვეღარ ვაწყობდი. გამოდის, რომ არც ისეთი ხელმარჯვე ადამიანი ვარ.

სოფიო დვალიშვილი

ყველის სალათი ექსპრომტად

ინგრედიენტები:
1 სტაფილო;
5-7 ნაჭერი ყველის ფირფიტები;
1 კბილი ნიორი;
3 სუფრის კოვზი მაიონეზი;
1 კონა ოხრახუში;
მწვანე სალათის ფურცლები;
მარილი გემოვნებით.

მომზადება:
გავხეხოთ სტაფილო და მოვათავსოთ ჯამში. დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ნიორი. ვუყოთ მაიონეზი და მარილი. ავურიოთ კარგად. ავიღოთ ყველის ფირფიტები და გადავახვიოთ მასში მიღებული მასა. გავაფორმოთ სალათის ფურცლებით.

Cafe Kala acid bar K&B still watching you

kala.ge



რესტორანი პასტორალი

მეგრული სამზარეულო



MENGRELIAN CUISUNE

PASTORAL RESTAURANT

New!

Fantastic Duhan

8 Chanturia st.

Tel: 592 681166

6 Erekle II str. T: 599 31 19 19, 2 99 90 19

Kala group

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. **Cafe KGB:** 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488
Acid Bar /1/: 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238. **Acid Bar /2/**: 37 Abashidze str. tel: 591 681 000
Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 131. **Acid Bar /4/:** Gldani 2 Mkr. building N24.T: 592 411980

ბერძნული

სამზარეულოს საიდუმლოებები

მსოფლიო სამზარეულო ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად სამყარო. ყოველ ერს აქვს ნაციონალური კერძები, რომლებშიც, კარგად თუ დავუკვირდებით, საკმაოდ მარტივად აღმოვაჩენთ თვისობრივ კავშირს მზარეულსა და კერძს შორის, ეროვნული მახასიათებლებით.

ბერძნული მარილი

ზღვის მარილს ორგანიზმზე ნაკლები დამაზიანებელი მოქმედება გააჩნია. ნაკლებად იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, ნაკლებად მოქმედებს წნევასა და თირკმელებზე.

გეოგრაფიულ კულინარიაში გარკვეული ნიშა ჩვენც გვიჭირავს, ეს სადაო ნამდვილად არ არის. ამას აღიარებენ როგორც ავტორიტეტული გურმანები, ისე ჩვენი ქვეყნის რიგითი სტუმრებიც. მაგრამ ამჯერად, მოდით, სხვა ქვეყნების სამზარეულოს გადავავლოთ თვალი, და გასტრონომიული ექსკურსი ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან დავიწყოთ!

ბერძნული კერძები, ერთი შეხედვით, გვაგონებს მეზობელი იტალიის, ან საფრანგეთის სამზარეულოს. თუმცა, განსხვავებები მრავლად არის. ჰერაკლესა და აქილევსის შთამომავლები თითქმის ნებისმიერ საჭმელში იყენებენ ზეითუნის ზეთს. ეს, შეიძლება ითქვას, რომ მათი კულინარიული სავიზიტო ბარათია. ასევე, ბერძნულ კერძებში ხშირად შეხვდებით სანელებლებსა და ბოსტნეულს. არეგანო, პიტნა, სალათის ფურცლები, ნიორი, ხახვი და, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობით ბერძნული მარილი. სამხრეთ რაიონებსა და კუნძულებზე ხორცის კერძებში ძალიან ხშირად შეხვდებით ეგრეთ წოდებულ ტკბილ სუნელებს, მაგალითად, დარიჩინს, ან მუსკატის კაკალს. ხოლო თავად ხორცი, ძირითადად, ცხვრის ან ღორისაა. რა თქმა უნდა, ადგილობრივები თევზეულისა და ზოგადად ზღვის პროდუქტების მომზადებაშიც არიან დაოსტატებული.

არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ სახელგანთქმული ბერძნული ყველი – ფეტა, რომელიც ცხვრისა და თხის რძისგან კეთდება.

პიტნა

პიტნის ფოთოლი და ყვავილედი შეიცავს ეთეროვან ზეთს, რომლის ძირითადი კომპონენტი მენთოლია.

ძველი დროის საბერძნეთში ყველაზე პოპულარულ კერძად ითვლებოდა კრეოკაკავოსი – ღორის ხორცი მწარე თაფლის სოუსში.

ზეითუნის ზეთი

მდიდარია მონოუჯერი მჟავებით. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ოლეინისა და პალმიტინის მჟავები, რომლებიც წარმოებაში, შესაბამისად, ომეგა-9-ისა და ომეგა-7-ის სახელწოდებით აღინიშნება.

ხახვი

შეიცავენ აზოტის შემცველ ნივთიერებებს, სხვადასხვა შაქრებს (გლუკოზას, ფრუქტოზას, სახაროზას, მალტოზას), ინულინის პოლისახარიდს, ფიტინს, ფლავონოიდ კვერცეტინი და მისი გლუკოზიდები, ცხიმები, სხვა და სხვა ფერმენტები, კალციუმის, ფოსფორის მარილები, ფიტონციდები, ლიმონისა და ვაშლის მჟავები, ვიტამინები A, B1, B2, PP, C.

სალათის ფურცლები

შეიცავს ბეტა-კაროტინს, E, C, P და B1, B2, B5 ჯგუფის ვიტამინებს, სხვადასხვა ორგანულ მჟავებს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს. ასევე დიდი რაოდენობით არის კალიუმი, ფოსფორი, კალციუმი, ნატრიუმი, სპილენძი და იოდი, გარდა ამისა ფოლიუმის მჟავა და პექტინები.



φέτα

ყველი ფეტა

ექსპოზიციის დრო ყველი არის არანაკლებ 3 თვის განმავლობაში. ცხიმოვნება 30-დან 60%. ყველი როგორიცაა ფეტა წარმოებული მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთში – საბერძნეთი, ბულგარეთი, ბოსნია და ხორვატია, რუმინეთი, თურქეთი, ისრაელი და ეგვიპტე.

თუ საბერძნეთში მოხვდებით, გირჩევთ, აუცილებლად გასინჯოთ ბერძნული სამზარეულოს მთავარი მარგალიტი – მუსაკა, რომლის ძირითადი ინგრედიენტებია ბადრიჯანი ზეითუნის ზეთში, ცხვრის ხორცი პომიდვრებით და სოუსი ბეშამელი. სხვათა შორის, მუსაკა გარდა საბერძნეთისა ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს არაბულ სამზარეულოშიც, სადაც, განსხვავებით ბერძნებისგან, მას ცივად მიირთმევენ.

რაც შეეხება დესერტს, შეგიძლიათ დაასრულოთ ლუქუმით. ესაა თურქული წარმომავლობის ტკბილეული, რომელიც მზადდება ფქვილის, შაქრის და თხილისგან. მეთვრამეტე საუკუნის სტამბულში სულთან მუჰიდან ჰაჯი დეკიმს ეს უგემრიელესი ტკბილეული მიართვა თურქეთის სამეფო კარის მთავარმა კონდიტერმა, ჰაჯი დეკემმა. სულთანმა მისი გემო ღირსეულად შეაფასა, და შემდგომში ლუქუმის საკმაოდ მრავალი სახეობაც კი შეაქმნევინა მცხობელს.

ორეგანო

ორეგანო იგივეა, რაც საქართველოში გავრცელებული თავშავა, რომელსაც გამოიყენებენ სამკურნალო დანიშნულებით.

ამ მშვენიერ ვახშამს, რა თქმა უნდა, ღირსეული სასმელიც სჭირდება. ამ შემთხვევაში ვერაფერი შეედრება ბერძნულ უზოს – ეთილის სპირტისა და სხვადასხვა არომატული მცენარეებისგან დამზადებული ალკოჰოლური სასმელი, რომელიც საკმაოდ ხშირად თურქულ რაკიში ეშლებათ. >

ნიორი

შეიცავს ნატრიუმს, კალიუმს, კალციუმს, მანგანუმს, რკინას, ფოსფორს, მაგნიუმს, იოდს, თუთიას, ვიტამინებს C, B, D, P გოგირდოვანი ნაერთებს

μουσακάς

დარიჩინი

დარიჩინის მოხმარება ამცირებს დიაბეტის და გულსისხლძარღვთა პრობლემებს წარმოქმნას 23%-ით. დაფქული დარიჩინი კერძს ბოლოს უნდა დავამატოთ, რადგან ჩხირებისგან განსხვავებით, ის თერმულ დამუშავებას ვერ იტანს და მწარდება.

მუსკატის კაკალი ანუ ჯავზი

განსაკუთრებული არომატის გამო მუსკატის კაკალი ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიასა და კვების მრეწველობაში. ჯავზი შეიცავს სასარგებლო ეთერზეთებს, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით გამოყენებამ, შესაძლოა, ინტოქსიკაცია გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა ზომიერების დაცვა.

საინტერესოა, რომ უზოს შექმნის ისტორია ისეთივე უცნობია, როგორც თავად დასახელების წარმომავლობა. თუმცა, ზუსტად არის დადგენილი, რომ ჯერ კიდევ ძველ ბიზანტიაში უზო ამავე სახით არსებობდა და საკმაოდ პოპულარული გახლდათ. რაც შეეხება დასახელებას, ლეგენდის მიხედვით, ერთ-ერთ მეზღვაურს უზო მარსელში მიჰქონდა გასაყიდად. სასმელით სავსე ხის ყუთებზე დიდი ასოებით ეწერა ფრაზა Uso Massalia ანუ – მარსელში მოხმარებისთვის. დროთა განმავლობაში დასახელებიდან სიტყვა მარსელი ამოვარდა და დარჩა მხოლოდ უზო.

მუსაპა

ამ კერძის მოსამზადებლად აუცილებლად ღრმა საცხობი ფორმა უნდა გამოვიყენოთ. ფარშს ან სოუსს შეგვიძლია დავუმატოთ ცოტაოდენი გახეხილი მუსკატის კაკალი, რაც მუსაკას პიკანტურ არომატს მიანიჭებს.

თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ხალხური თქმულება გახლავთ და არანაირი სამეცნიერო მტკიცებულება არ გააჩნია. უფრო სარწმუნო ვერსიად შეგვიძლია მივიჩნიოდ ის, რომ სახელწოდება მოდის თურქული Üzüm-იდან, რაც ნიშნავს ყურძენს. ასევე, ბერძნულში ამ სიტყვით მოიხსენიებენ ანისს – უზოს განუყოფელ ინგრედიენტს.

როგორც ხედავთ, ბერძნული სამზარეულო საკმაოდ დახვეწილია, და ამავდროულად არც თუ ისე რთულად მოსამზადებელი. ნამვილად გირჩევთ ამ მშვენიერი კერძების დაგემოვნებას. მათი გემო, ერთხელ გასინჯვის შემდეგ, აღარ დაგავიწყდებათ.

ლევან ბუაძე

ούζο

უზო (OYZO)

„უზოს" სპეციალური დასაყოლებელიც აქვს, რომელსაც მეზედესი ქვია და ცხარე სუნელებისგან შედგება. როგორც ბერძნები ამბობენ, სასმელის დალევის შემდეგ, რამდენიმე საათის განმავლობაში ადამიანი სულიერ სიმშვიდეს და სიწყნარეს გრძნობს.

ლუქუმი

ამ ტკბილეულის მრავალი ნაირსახეობა არსებობს. შეზავებული ინგრედიენტების მასას, საბოლოო სახის მისაღებად, ორ დღეს აჩერებენ.

biletebi.ge

რუსთაველის თეატრი

22 აპრილი, სამშაბათი
19:00 (მცირე სცენა)

მტრის ნიღაბი

ამელი ნოტომი
რეჟისორი: რობერტ სტურუა

24 აპრილი, ოთხშაბათი
19:00 (ექსპ. სცენა)



მალე წვიმად მოვალ

ნიკო გომელაური
რეჟისორი: დავით საყვარელიძე

25 აპრილი, პარასკევი
19:00 (დიდი სცენა)

თორმეტი განრისხებული მამაკაცი

რეჯინალდ როუზი
რეჟისორი: რობერტ სტურუა

26 აპრილი, შაბათი
19:00 (დიდი სცენა)

პრინცი ჰამბურგი

ჰაინრიხ ფონ კლაისტი
რეჟისორი: გოშა გორგოშიძე

27 აპრილი, კვირა
19:00 (დიდი სცენა)

ნადირობის სეზონი

ოთარ ჭილაძე
რეჟისორი: რობერტ სტურუა

29 აპრილი, სამშაბათი
19:00 (მცირე სცენა)

მოხუცი ჯამბაზები

რონალდ ჰარვუდი
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე

მარჯანიშვილის თეატრი

22 აპრილი, სამშაბათი
19:00 (ახალი სცენა)

ქალი ძაღლით

ანტონ ჩეხოვი
რეჟისორი: ლევან წულაძე

23 აპრილი, ოთხშაბათი
19:00 (სარდაფი)

საწვავი

ამელი ნოტომი
რეჟისორი: თათა პოპიშვილი

24 აპრილი, ხუთშაბათი
19:00 (სარდაფი)

შთაგონების რეცეპტი

პიტერ შეფერი
რეჟისორი: ნინო ახვლედიანი

25 აპრილი, პარასკევი
19:00 (სარდაფი)

შევხვდებით სამოთხეში

ალექსანდრე ჰელეგი
(ელიგულაშვილი)
რეჟისორი: ალექსანდრე ელოშვილი

26 აპრილი, შაბათი
19:00 (სარდაფი)

ფაუსტი

იოჰან ვოლფგანგ გოეთე
რეჟისორი: ლევან წულაძე

ილიაუნის თეატრი

24 აპრილი, შაბათი
20:00

ჭალას ჩიტი მომკვდარიყო

თამაზ ჭილაძე
რეჟისორი: დავით ანდღულაძე

25 აპრილი, პარასკევი
20:00

ოპერა მაფიოზო

ვასილ სტანილოვი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე

biletebi.ge

26 აპრილი, შაბათი
20:00

ბრიყვთა ვახშამი

ფრანსის ვებერი
რეჟისორი: ოთარ ეგაძე

27 აპრილი, კვირა
20:00

ანტიგონე

ჟან ანუი
რეჟისორი: გაგა გოშაძე

გრიბოედოვის თეატრი

25 აპრილი, პარასკევი
18:00

დოსტოევსკი.ru

რეჟისორი: ანდრო ენუქიძე

26 აპრილი, შაბათი
18:00

გეტო

ჯოშუა სობოლი
რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი

27 აპრილი, კვირა
12:00

ემილიას ბედნიერება

ხალხური
რეჟისორი: გოგი თოდაძე

თბილისი ივენთ ჰოლი

27 აპრილი, კვირა
20:00

VICTOR WOOTEN BAND

TBILISI JAZZ SERIES

კინოთეატრი რუსთაველი/ამირანი

აპრილი/მაისი

დივერჯენთი

რეჟისორი: ნეილ ბარგერი
როლებში: ქეით უინსლეტი, შეილენ ვუდლი,თეო ჯეიმსი

წარმოუდგენელი ადამიანი ობობა 2

რეჟისორი: მარკ ვები
როლებში: ემა სტოუნი, ჯეიმი ფოქსი, ენდრიუ გარფილდი

გოძილა

რეჟისორი: გარეტ ედვარდსი
როლებში: ელიზაბეტ ოლსენი, ბრაიან კრანსტონი, აარონ ტეილორ-ჯონსონი

მისია-თხილი

რეჟისორი: პიტერ ლეპენიოტისი
როლებში: უილ არნეტი, ბრენდან ფრეიზერი, ლაიამ ნისონი

X ადამიანები- მომავლის განვლილი დღეები

რეჟისორი: ბრაიან ზინგერი
როლებში: პატრიკ სტიუარტი, ჰიუ ჯეკმანი, იან მაკკელანი

გამრეკელი გალერეა

22-30 აპრილი

ლოტუსი

ფოტოგამოფენა
ქეთი პავალსკი

ძოძა თბილისი

28 მარტი
აპრილი

ახალი სიცოცხლე

NEW LIFE

საქველმოქმედო გამოფენა

5. თვის სუნამო
Balmain – Extatic – აღმოსავლური ვარდი,მსხალი და ქაშმირის ხე;

4. თვის სიახლე მელომანებისთვის
U2-ს ახალი ალბომი (მზადების პროცესშია);

3. MUST HAVE
სპორტული ეკიპირება – *Nike pro* – შორტი, ტოპი, ბოტასი და წყლის ბოთლი);

2. თვის აქსესუარი
შლიაპა – *Maison Michel;*

1. თვის სალათი
ავოკადო, მანგო და კრევეტები.

ᲥᲝᲜᲓᲘᲠᲘᲝᲜᲘ

10. თვის პერსონა
მეთიუ მაკ'კონაჰი (*Matthew McConaughey*);

9. თვის წიგნი
შურისძიება ატარებს პრადას ეშმაკის დაბრუნება (*Revenge Wears Prada*) (*The Devil Returns*), ავტორი – ლორენ ვაისბერგერი (*Lauren Weisberger*);

8. თვის ტური
ეგზოტიკური მაროკო;

7. თვის ფილმი
უპირატესობა (*Transcendence*), მთავარ როლებში – ჯონი დეპი (*Johny Depp*) მორგან ფრიმანი (*Morgan Freeman*);

6. თვის სპორტული მვთავარი მოვლენა
Monte Carlo Rolex Tennis Masters;

Make your every day
a **holiday**

ego|events
EVENT MANAGEMENT AGENCY
Contact us: 2 946 446 | info@ego.com.ge | anuki@flit.ge

Flit Advertising | Flit Media | Flit Production

სარეკლამო-საკომუნიკაციო ჯგუფი

flit Flit group

გრაფიკული და საკომუნიკაციო დიზაინი | ოფსეტური, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა | სარეკლამო კონსტრუქციების წარმოება და მონტაჟი

რეკლამა პრესაში | ღონისძიებების ორგანიზება

flit.ge

საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციის წევრი